PRIME Time
N25 (326) ორშაბათი, 29 ივნისი, 2015 წ.
ყოველკვირეული გაზეთი
ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015
GINO ჯინო PARADISE ფერადისი

ყველაზე მასშტაბური სტიქიის ზონაში

როგორი იყო ხელისუფლების რეაქცია, რა მასშტაბების სამუშაოები ჩატარდა, სად იჩინა თავი ფორსმაჟორმა...

გიგლა აგულაშვილი: „აქ მეწყრის პროგნოზირება და დროის თვალსაზრისით გათვლა თითქმის წარმოუდგენელია“



მინდია ჯანელიძე: „სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭომ შეძლო კრიზისის მართვა“

დავით ნარმანია: „რეაგირება დროული, ოპერატიული და მაქსიმალურ შედეგზე გათვლილი იყო. რაიმე ჩავარდნა არ ყოფილა“

EXCLUSIVE

შოკისმომგვრელი ვერსიები

- რატომ დაჭრა 16 წლის მოზარდმა დედა სასიკვდილოდ
- რატომ მოიკლა თავი 11 წლის ბავშვმა

რას უყვებიან „პრაიმტაიმს“ და რატომ ელოდებიან ექსპერტიზას EXCLUSIVE

რა ხდება პანკისის ხეობაში, რა მოთხოვნები აქვთ დედებს და ვინ დააკავეს აეროპორტში

„ჩვენ შვილებს „ისლამურ სახელმწიფოს“ არ ვუზრდით...“

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია
ევროპელი ექიმები „ევექსში“

კაბელების საქმეზე სკანდალი გრძელდება

რატომ არ არის ალასანია თავდებში და რა უნდა გაირკვეს სასამართლოზე

საერთაშორისო სკანდალი

რადიოაქტიური ნივთიერება საქართველოს საზღვარზე

„აშშ-ს შეიარაღებული ძალებიდან ჩამოსული იყო სპეციალური ჯგუფი და საიდუმლო ოპერაცია ჩაატარა“

ციფრული მაუწყებლობის საagenტო

ყურადღება! 2015 წლის 1-ლი ივლისიდან ანალოგური საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობა ქვეყნის რეგიონების მიხედვით ეტაპობრივად გაითიშება.
1-ელ ივლისს, დილის 10 საათიდან თბილისში, საგარეჯოში, კოჯორში, მარნეულსა და რუსთავში, ქართული ტელეპროგრამების ღია ეთერით მიღება მხოლოდ ციფრულ ფორმატში იქნება შესაძლებელი. ამასთან, გაითიშება გარდაბნის, მარნეულის, საგარეჯოს, მცხეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები. სხვა რეგიონების გათიშვის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეეთერის, ცხელი ხაზის (1480), პრესისა და ვებგვერდის www.digitaltv.ge -ს საშუალებით.
(A)

Time-მა პატრიარქის ხმაურიან განცხადებაზე დოკუმენტები მოიპოვა

EXCLUSIVE

რა კავშირი აქვს ზოოპარკს საეკლესიო ზარებთან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თბილისის მერის თვალით დანახ

„ყველამ კარგად ნახა, რ

როგორი იყო ხელისუფლების რეაქცია, რა მასშტაბების სამუშაოები ჩატარდა

და სად იჩინა თავი ფორსმაჟორმა

„სამარცხვინოა მათი განცხადებები და რეალობისგან საკმაოდ შორსაა“

„სჯობს, საგამოძიებო ორგანოებმა დაადგინონ ყველაფერი“

ქეთი ხატიაშვილი

ასეთი მასშტაბური სტიქიური უბედურება დედაქალაქში, შეიძლება ითქვას, არ მომხდარა. შესაბამისად, საქართველოში არც ერთ ხელისუფლებას მსგავს სიტუაციაში სტიქიის მართვის გამოცდილება არ აქვს. ახალი ხელისუფლებისთვის ეს ნამდვილი გამონვევა და რთული გამოცდა იყო.

როგორ აფასებს, რა ხარვეზებს ხედავს და რამდენად ეფექტური იყო ხელისუფლების რეაგირება სტიქიაზე. „პრაიმტაიმს“ თბილისის მერი დავით ნარმანია ესაუბრა:

– ბატონო დავით, პირველ რიგში, რა სამუშაოები შესრულდა და განისაზღვრა, როგორც აუცილებელი და გადაუდებელი, და რა სამუშაოები იგეგმება მომავალში სტიქიის ზონაში?

– პირველი რიგის ამოცანა სტიქიის შემდეგ, ჩვენი გადაწყვეტილებით, ეს არის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება. ვერეს ხეობა და საცხოვრებელი სახლები უნდა გაიწმინდოს და ეს მიგვაჩნია გადაუდებელ ამოცანად. ამიტომაც ძალიან სწრაფი ტემპით დავიწყეთ სამუშაოები, რომელიც დასასრულს უახლოვდება. თუმცა, რამდენიმე დღე კიდევ დაგვჭირდება. რომ ტერიტორია სრულად გაიწმინდოს. ვფიქრობთ, მომდევნო კვირის შუაში ამ ტერიტორიის გაწმენდას მოვრჩებით.

ასევე, მნიშვნელოვანი იყო და პირველი რიგის ამოცანა გახლდათ, გაგვეკეთებინა მოსახლეობის აღწერა – რომელ ოჯახებს მიადგათ ზიანი, ჩავატარეთ დაზიანებული საცხოვრებელი სახლების მდგრადობის შეფასებაც.

ამის შემდეგ ჩვენ მოქმედების შემდეგ ეტაპზე გადავედით, რაც უკვე გულისხმობს ტერიტორიების აღდგენას და მოსახლეობის განსახლების გეგმის გაკეთებას. მანამდე კი ყველა დაზარალებული ოჯახი, რომელსაც საცხოვრებელი არ ჰქონდა, ქირით გადავიყვანეთ სასტუმროებში. ამ თანხებს მუნიციპალიტეტი ფარავს.

აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელმაც სტიქიით დაზარალებულებს უკვე სხვადასხვა სახის დახმარება გაუწია, დაწყებული საკვები პროდუქტებით და დასრულებული პირადი მოხმარების ნივთებით.

ამჯერად, გვსურს უბინაო ადამიანებისთვის ეტაპობრივად დავიწყოთ საცხოვრებელი ბინების შესყიდვა. პირველ რიგში დაკმაყოფილდებიან იმ სახლების მეპატრონეები, რომლებიც წყალმა წაიღო ან აღდგენას არ ექვემდებარება. სახლებს, რომლებიც გამაგრებას ექვემდებარება და საშიშ ზონაში არ არის, რაიონული გამგეობების მეშვეობით მოვაწესრიგებთ და ამ ადამიანებს საკუთარ საცხოვრებლებში დავაბრუნებთ. ვაკისა და საბურთალოს რაიონულ გამგეობებს ამ სამუშაოების ჩასატარებლად უკვე მივეცით შესაბამისი დაფინანსება.

პარალელურად მდინარე ვერეს ხეობაში დავიწყეთ აღდგენითი სამუშაოები. ჩვენი მთავარი ამოცანაა სექტემბრისთვის გზის აღდგენა. თამარაშვილი-გმირთა მოედნის გზა უნდა გაიხსნას, რათა ქალაქში სატრანსპორტო კოლაფსი არ მივიღოთ. ამისთვის დაზიანებული გზის მონაკვეთების აღდგენა-გამაგრება დავიწყეთ, ისევე როგორც საყრდენი კედლის ჩასხმა წყნეთის ქუჩაზე, რათა იმ უბნის მოსახლეობისთვის იქ ცხოვრება საფრთხეს აღარ წარმოადგენდეს.

– სახლების შესყიდვა ახსენეთ, ადრე თითქოს მიწის გამოყოფაზე იყო საუბარი... ბინების შესყიდვა ქალაქის ცენტრში მოხდება?

– განსახლების გეგმის დოკუმენტის ძირითადი ნაწილი დასრულებულია. ამის შემდეგ მისი განხილვა მოხდება კრიზისების მართვის საბჭოს სხდომაზე პრემიერთან. გადაწყვეტილება სწორედ მაშინ მიიღება და შემდგომში ამის საფუძველზე ვიმოქმედებთ.

რაც შეეხება ტერიტორიის გამოყოფას, ეს ერთ-ერთმა დონორმა მოითხოვა, თუმცა ის უფრო გრძელვადიანი პროექტია. ყოველდღიურად ირიცხება ანგარიშზე შესაბამისი დაფინანსება და ამ დაფინანსების ფარგლებში შეგვიძლია შესყიდვების დაწყება, ცენტრში იქნება თუ სად, ამაზე შევჯერდებით. გეგმის მიღების შემდეგ დავიწყებთ ქმედებას. არც ერთი ოჯახი არ დარჩება უსახლკაროდ და უყურადღებოდ.

– შესყიდვა კერძო სამშენებლო კომპანიებთან ერთად მოხდება?

– ყველაფერი გეგმის დამტკიცების შემდეგ გადაწყდება...

– მკითხველს რომ უფრო მკაფიო წარმოდგენა შეექმნას... თქვით, რომ ახალი გზის გახსნას სექტემბრისთვის ვარაუდობთ, თამარაშვილი-გმირთა მოედნის დამაკავშირებელი გზა ასეთი დაზიანებულია, რომ ამდენი დრო სჭირდება?

– საკმაოდ სერიოზული დაზიანებები აქვს თამარაშვილი-გმირთა მოედნის გზას. ერთი მხრივ, გზის გარკვეული ნაწილი ქვემოდან არის გამორეცხილი. მეორე მხრივ, იქ, სადაც გოფრირებული გვირაბი გასკდა, წყლის დიდი ნნევის გამო, მთლიანად წაიღო როგორც გვირაბი, სერიოზულად დაზიანდა მის ზემოთ გამავალი გზა. საუბარია 20-მეტრიან გზაზე, რომელიც მთლიანი ჩავარდა. ეს ყველაზე რთული მონაკვეთია. გარდა ამისა, საყრდენ კედლებსა და სანაპიროს სჭირდება გამაგრება, რათა შემდგომი წყალდიდობების დროს ზიანი არ მივიღოთ.

– ჩვენ დაზარალებულ მოსახლეობას ვესაუბრეთ, მათ საყვედურები არ უთქვამთ. ბრალდებები მხოლოდ ოპოზიციის მხრიდან ისმის, – მერმა რეაგირება დააგვიანაო... ერთკაციანმა პარტიებმა პროკურატურაში თქვენს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს და იმის გამოძიებას ითხოვენ, როგორი იყო რეაგირება თქვენი მხრიდან. გიფიქრიათ ამ თემაზე? ფიქრობთ, რომ რეაგირება დაგვიანეთ, ან რამე ისე არ გააკეთეთ?

– სამარცხვინოა მათი განცხადებები და რეალობისგან საკმაოდ შორსაა. ყველამ კარგად ნახა, როგორი რეაგირება იყო. როგორც კი განგაშის ზარი ატყდა, მაშინვე ყველა სამსახური, იქნებოდა ეს სამაშველო, პოლიცია თუ თბილისის მერიის სამსახურები, ყველა ადგილზე იყო. მე თვითონაც იქ ვიყავი და შესაბამის დავალებებს გავცემდი, ვურეკავდი სხვადასხვა სამსახურებს, ინფორმაციებს ვიღებდი, ვინ სად იყო და რას აკეთებდა. ხალხმა საკუთარი თვალით ნახა – ვინ რას და როგორ აკეთებდა.

ასე რომ, ცალკეული ოპოზიციური პარტიების მხრიდან ამ საკითხებზე აპელირება, მაშინ როცა ხალხს უჭირს, ნაცვლად მათ გვერდით დგომისა, სირცხვილია...

– თუმცა, რამდენად დაიცვა ხელისუფლებამ აქ პოლიტიკური თამაშის წესები? ხელისუფლების მხრიდანაც გაისმა ბრალდებები, რასაც ოპოზიციის საპასუხო ბრალდებები მოჰყვა, პრინციპში...

– ვერ დაგეთანხმებით. აქ საუბარია იმაზე, რაც ახალი არ არის, რაზეც ექსპერტები თავის დროზეც საუბრობდნენ, როცა ვერე კალაპოტში და გვირაბში ჩაისვა. მათ ეს ახლაც გაიმეორეს. ახალი და განსაკუთრებული არაფერი თქმულა. კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ თვის დროზე შეცდომა დაუშვეს.

– რაც შეეხება კრიზისსა და ანტიკრიზისული საბჭოს მუშაობას, იყო გარკვეული ხარვეზები მუშაობის დროს? მუშაობის დროს გამოიკვეთა ცალკეული უწყებების სისუსტეები?

– საბჭომ რეაგირება მოახდინა მყისიერად. საბჭომ პირველი სხდომა გამართა და გადაწყვეტილებების მიღება დაიწყო სტიქიიდან სამ საათში. საბჭო რეგულარულად იკრიბებოდა გადაუდებელ შემთხვევებში: ყოველ საღამოს პრემიერ-მინისტრთან და სამუშაო რეჟიმით დღის განმავლობაში ხანდახან რამდენჯერმეც. აქედან გამომდინარე, ყველა საკითხი, რაც დღის წესრიგში იდგა, საბჭოს ფორმატით განიხილებოდა, ნაწილდებოდა დავალებები, ხდებოდა ანგარიშის მოსმენა... ასე რომ, საბჭომ აჩვენა თავისი ქმედითობა.

საბჭომ აჩვენა, რომ ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია – კოორდინაციასთან დაკავშირებული საკითხები, შესაძლო რისკების ანალიზი, პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებები და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი საკმაოდ ეფექტურად შესრულდა საბჭოს ფორმატში. კოორდინაცია მაღალი იყო.

– თუმცა, რიგ შემთხვევებში ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს გუნდურობა დაირღვა და თვითგადარჩენაზე აიღო ყველამ ორიენტაცია...

– რას გულისხმობთ?

– გაურკვეველ განცხადებებს, რომელიც მტაცებელი ცხოველების შემთხვევაში გაკეთდა. ხელისუფლებამ ჯერ თქვა, რომ მტაცებლები ზოოპარკის გარეთ არ იყვნენ, მერე აღმოჩნდა, რომ ეს განცხადება ზოოპარკის ადმინისტრაციას ეკუთვნოდა, მოგვიანებით გაირკვა, რომ შსს-ს ჰქონდა ერთ დაკარგულ ვეფხვზე ინფორმაცია... ამან ცოტა ქაოსური ვითარება შექმნა...

– გასათვალისწინებელია ერთი რამ: რა რაოდენობის ცხოველები იყო ზოოპარკში, იცოდა მხოლოდ ზო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ული სტიქიური უბედურების ზონა

...ოგორი რეაგირება იყო“



EXCLUSIVE

„ფორსმაჟორულ სიტუაციას ყოველთვის ახლავს არაპროგნოზირებადობა“

ოპარკის ადმინისტრაციამ. მეორე მხრივ, ბოლომდე არ იყო ცნობილი, რა რაოდენობის ცხოველი იყო დაკარგული, ვინაიდან განმენდითი სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე, ზუსტი შედარება ვერ მოხერხდა. ეს იყო მთავარი მომენტი. თუმცა, ვინმეს ვინმესთვის ეს საკითხი არ დაუბრალებია. ასე რომ, გადაბრალებებისა და ვინმესთვის პასუხისმგებლობის გადაკისრების თემა არ ყოფილა, შედგა შესაბამისი საკოორდინაციო შტაბი და მყისიერად მოხდა მსჯელობა და გაკეთდა შესაბამისი განცხადებები.

ფორსმაჟორულ სიტუაციას ყოველთვის ახლავს არაპროგნოზირებადობა, რაღაც გაურკვევლობა მაინც ყოველთვის არის, რაც არ უნდა მაღალი კოორდინაცია იყოს. ეს შემთხვევა ერთადერთი გამონაკლისი იყო.

– დავაზუსტებ შეკითხვას. დირექტორისთვის პასუხისმგებლობის გადაბრალება არ მიგულისხმია. ვფიქრობ, მას უნდა სცოდნოდა ზუსტი რაოდენობა. სხვა რამ მაინტერესებდა. პირველი, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ხელისუფლებას ასეთი მკვეთრი განცხადება ცხოველების რაოდენობასთან დაკავშირებით არ უნდა გაეკეთებინა? და მეორე, უნდა სცოდნოდა თუ არა ცხოველების რაოდენობა ცხოველების მონიტორინგის სამსახურს?

– ცხოველთა მონიტორინგის სამსახური პასუხისმგებელია გარეთ არსებულ მანანწალა ცხოველებზე, ეს არის ძაღლები და სხვა ცხოველები, ასევე, ქვეწარმავლები. მათ ეს პირდაპირ აქვთ განსაზღვრული დებულებით. პრაქტიკაში არასდროს ყოფილა შემთხვევა, რომ ზოოპარკში არსებულ მტაცებელ ცხოველებს გარეთ ევლოთ. შესაბამისად, დებულებითაც არ არის განსაზღვრული ის, რომ მონიტორინგის სამსახურს მტაცებლის დევნა და მათზე მონიტორინგი ევალებოდეს. თუმცა, პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს ფუნქციაც უნდა ჰქონდეს მას, ისევე როგორც სხვა სამსახურებს, რადგანაც ეს არის ექსტრაორდინარული შემთხვევა.

ჩვენი და შსს-ს სამსახურები 24-საათიან რეჟიმში მუშაობდნენ, ახდენდნენ პატრულირებას, სხვადასხვა ტერიტორიების დათვალიერებას. აქედან გამომდინარე, შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებდნენ.

რაც შეეხება ხელისუფლების მხრიდან გაკეთებულ განცხადებას, მას ჰქონდა თავისი საფუძველი, რაზე დაყრდნობითაც ეს განცხადება გაკეთდა. საფუძველში იყო შეცდომა დაშვებული. ეს იყო ინფორმაციის გადმოცემასთან დაკავშირებული საკითხი, როცა სწრაფად ხდებოდა ინფორმაციის გადაცემა და არ იყო ცხოველთა ზუსტი რაოდენობა დადგენილი...

– საქმეს პროკურატურა იძიებს, არის რაიმე სიახლე ამ მიმართულებით?

– ძიება მიმდინარეობს... ჯერჯერობით დეტალები ცნობილი არ არის. მიმდინარეობს დაკითხვები იმ ადამიანებისა, ვინც ზოოპარკში მუშაობენ, ვინც განმენდით სამუშაოებში არიან ჩართული.

– გჯერათ, რომ ზოოპარკის დირექტორმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ ნაციონალებთან არის დაკავშირებული?

– არა მგონია, შორს ვარ ამ აზრისგან. თუმცა, სჯობს, საგამოძიებო ორგანოებმა დაადგინონ ყველაფერი.

– რაც შეეხება ვეფხვს, რომელსაც ისევ ეძებენ... არსებობს საერთოდ ის?

– მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელია. უახლოეს დღეებში, როცა ზოოპარკის განმენდას დავამთავრებთ, უფრო ნათელი სურათი გვექნება.

– ზოოპარკს არ ჰქონდა ვალდებულება, რომ მერიის შესაბამისი სამსახურისთვის ცხოველების მდგომარეობასა და რაოდენობაზე ინფორმაცია მიეწოდებინა?

– მათ ჰქონდათ ვალდებულება, მიეწოდებინათ ინფორმაცია შესყიდვებსა და ფინანსებზე, რაზეც ანგარიშგება ხდებოდა პერიოდულად კურატორ სამსახურთან, ეს არის მერიის გამწვანებისა და ეკოლოგიის სამსახური. რამდენადაც გავარკვიე, ზოოპარკს ცხოველთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება არ ჰქონდა და არც ანგარიშებია წარმოდგენილი.

– იქნება თუ არა თანამედროვე ზოოპარკი უფრო უსაფრთხო და დააკმაყოფილებს თუ არა თანამედროვე მოთხოვნებს?

– უნდა იყოს თანამედროვე და პროექტი, რომელიც არსებობს, სწორედ თანამედროვე ზოოპარკის შექმნას გულისხმობს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ზოოპარკი ყოველთვის აყენებდა სივრცის პრობლემას – ცხოველები მეტი იყო და ტერიტორია არ ჰყოფნიდათ. გარდა ამისა, იქ არსებული გზაც დისკომფორტს უქმნიდა ცხოველებს. ამის შესახებ ზოოპარკის ადმინისტრაციას ჰქონდა ჩვენთან საუბარი და ამიტომაც დავიწყეთ ჩვენ ეს პროექტი. ზოოპარკის გადატანის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო, ისევე როგორც მისი გადატანის პროცესი გახლდათ დაწყებული. პირველ ეტაპზე ძაღლსაშენი გაკეთდა, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე პირველად ძაღლები გადავიდნენ, ამიტომაც ისინი გადარჩნენ. იგეგმებოდა ცხოველების ეტაპობრივი გადაყვანა, რადგანაც ეს საკმაოდ დიდ რესურსებთან არის დაკავშირებული და მინიმუმ 20-22 მილიონი ევრო ჯდება. სწორედ ამ ღირებულების პროექტი დევს ჩვენთან. ასეთი დიდი რესურსი არ გვქონდა, ამიტომაც დაგეგმილი იყო მისი ნანილ-ნანილ გადატანა.

– ეს ვისი პროექტია – თქვენი თუ წინა ხელისუფლების?

– ეს არის პროექტი, რომელიც აქ დაგვხვდა, ეს არის მერიის დაკვეთით გაკეთებული პროექტი. არსებობს ფონდ „ქართუს“ მიერ გაკეთებული პროექტიც, რომელიც უფრო ძვირადღირებულია და გაცილებით თანამედროვე. ამიტომაც, ახლა ჩვენ ეს პროცესები უნდა დავაჩქაროთ. დონორებთანაც გვაქვს მოლაპარაკებები, ასევე, ჩვენს პარტნიორ ქალაქებთან ევროპაში, რომლებიც მზად არიან, ცხოველებით დაგვეხმარონ. ასე რომ, გვინდა ზოოპარკის ინფრასტრუქტურა განვავითაროთ და დანაკლისი შევავსოთ.

– ბიძინა ივანიშვილმა განცხადა, რომ მზად არის, თავად დააფინანსოს ახალი ზოოპარკის მშენებლობა. ამ შემთხვევაში ფონდ „ქართუს“ პროექტი დაფინანსდება?

– ჩვენთან სამუშაო ჯგუფია შექმნილი და ორივე პროექტს სწავლობს. რადგანაც ბიძინამ თქვა, დარწმუნებული ვარ, სათანადო მხარდაჭერას გაგვიწევს.

სხვათა შორის, ფონდმა „ქართუმ“ სერიოზული შენატანი – 2 მილიონი გადარიცხა დაზარალებული ოჯახების მხარდასაჭერად.

– ასეთი მასშტაბის სტიქიის მართვის გამოცდილება არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონია საქართველოში. ეს იყო პირველი შემთხვევა, ამიტომ გკითხეთ, არსებობდა თუ არა რამე სისუსტეები, ხარვეზები, რაზეც მომავალში უნდა გაკეთდეს აქცენტი, იგივე მაშველების მიმართულებით. თქვენ ნანახი გაქვთ პუმას ვერტმფრენები, რომელიც სამაშველოდ არ გამოიყენეთ...

– ასეთი სტიქიის მართვის გამოცდილება მართლაც არ არსებობდა აქამდე – დედაქალაქში ასეთი სტიქია არასდროს მომხდარა. 60-იან წლებში ადიდებულა მდინარე ვერე, თუმცა მაშინ განსხვავებული მდგომარეობა იყო, ასეთი მნიშვნელოვანი ზიანი და ასეთი მოცულობის წყალმოვარდნა არ ყოფილა. და ეს არის ჩვენი მძიმე ჯვარი, რომ ჩვენს დროს მოხდა ეს.

რაც შეეხება სამაშველო სამსახურებს ან კოორდინაციას, ამასთან დაკავშირებით რაიმე სახის პრობლემა არ დაფიქსირებულა. მთავარი პრობლემა ჩვენთვის არის ის, რომ წყლის, ანუ მდინარე ვერეს, მართვის სისტემა არ არსებობდა, ანუ წყლის დონის რეგულირებასთან დაკავშირებული, გარკვეული დოზით მის გაშვებასთან დაკავშირებული სისტემა არ არსებობს, რამაც არ მოგვცა საშუალება, რომ მდინარე ვერედან ერთბაშად წამოსული წყალი შეგვეკავებინა და გვირაბების გამტარუნარიანობის კვალობაზე ეტაპობრივად მომხდარიყო წყლის მიწოდება და ჩაშვება შემდეგ მდინარე მტკვარში.

მდინარე ვერეს განვითარების ერთ-ერთი კომპონენტი წყლის დამცავი ნაგებობის მშენებლობაა და ამ საკითხზე დისკუსია მიმდინარეობს.

პუმას ტიპის ვერტმფრენები არ არის სამაშველო სამუშაოებზე გათვლილი. ეს არის ნინა ხელისუფლების დროს შეძენილი და კომფორტისთვის განკუთვნილი ვერტმფრენები... მე არ ვარ სპეციალისტი, მაგრამ ეს არ არის სამაშველო ფუნქციის მქონე, არის სხვა ტიპის და დანიშნულების და ამასთან დაკავშირებით განცხადებებიც გაკეთდა.

რაც შეეხება სამაშველო ოპერაციებში ვერტმფრენების ჩართვას, ეს შეუძლებელი იქნებოდა სამი ფაქტორის გამო: ძლიერი ნალექი, ცუდი ხილვადობა და ხეობის სპეციფიკა.

– ანუ ხელისუფლების რეაგირებით კმაყოფილი ხართ?

– რეაგირება დროული, ოპერატიული და მაქსიმალურ შედეგზე გათვლილი იყო. ამ თვალსაზრისით რაიმე ჩავარდნა ან ხარვეზი, რაც მომავალში უნდა გამოსწორდეს, არ დაფიქსირებულა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პანკისელი დედები პოლიციის გააქტიურებას დადებითა



„ჩვენ შვილებს „ისლამურ სახელმწიფოს“ არ ვუზრდით...“

ირაკლი მამალაძე

ტერორისტული ორგანიზაცია (ISIS) საზღვრებს აფართოებს. „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფების ცნობით, ერაყისა და სირიის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაშიც ექნებათ საკუთარი პროვინცია. ამის თაობაზე განცხადება ტერორისტულმა ორგანიზაციამ გააკეთა. ახალი ვილაიეთის მმართველად ამირი აბუ მოჰამადი გამოცხადდა. მანამდე ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი დაჯგუფებების რამდენიმე მეთაურმა „ისლამური სახელმწიფოს“ ერთგულების ფიცი დადო.

ტერორისტულ ორგანიზაციას მებრძოლები და მხარდამჭერები პანკისის ხეობაშიც ჰყავს. ადგილობრივები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ კავკასიის საზღვრებში ტერორისტული ორგანიზაციის პროვინციის შექმნა მათი შვილებისთვის საფრთხის შემცველია და ახალგაზრდების გადაბირების პროცესი ისევ გაქტიურდება.

ერთ-ერთი ადგილობრივი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ 10 დღის წინ ხეობიდან ორი ახალგაზრდის გაყვანა იგეგმებოდა, თუმცა მათ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საზღვრის გადაკვეთის უფლება არ მისცეს. არსებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე პანკისის ხეობაში სიმშვიდეა.

თუმცა, უფრო მეტი უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის მოსახლეობა ხელისუფლებისგან კიდევ რამდენიმე ადამიანის განეიტრალებას ითხოვს. ეს ის ადამიანები არიან, ვინც ISIS-სთან კავშირზე უშუალოდ იმყოფებიან. ადგილობრივები მათ დაპატიმრებას მოითხოვენ.

პარალელურად გავრცელდა შს მინისტრის განცხადება. ვახტანგ გომელაურის თქმით, ამ მიმართულებით შსს აქტიურად მუშაობს:

„...ჩვენ, რა თქმა უნდა, უფრო მეტად ჩავერთვებით. ჩვენ ვმუშაობდით როგორც „ისლამური სახელმწიფოს“, ასევე კავკასიის მიმართულებით. რა თქმა უნდა, მომავალშიც მაქსიმალურად გავაგრძელებთ კონტროლს და უფრო მეტად გავამკაცრებთ საზღვრებს. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ერთ-ერთი ყველაზე კარგად დაცული საზღვარი არის თურქეთის მიმართულება“.

პანკისელი დედები პოლიციის გააქტიურებას დადებითად აფასებენ და უკვე ღიად გამოხატავენ უკმაყოფილებას იმ გავლენიანი პირების მიმართ, რომლებსაც ნათესაური და პირადი კავშირები აქვთ ISIS-ის მებრძოლებთან. 14 ივნისს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად პოლიციამ აიუფ ბორჩაშვილი და კიდევ ხუთი პირი დააკავა. ასამდე სპეცრაზმელმა ხეობის ოთხ სოფელში ერთდროულად ჩაატარა საცხოვრებელი სახლების ჩხრეკა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაკავებული ექვსი პირიდან მხოლოდ აიუფ ბორჩაშვილი დატოვა პატიმრობაში. მას გამოძიება ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირსა და ტერორისტული ორგანიზაციისთვის ახალგაზრდების გადაბირებას ედავება.

პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ საპროტესტო აქციებიც დაანონსდა, რომელიც ბორჩაშვილის მხარდასაჭერად უნდა გამართულიყო, თუმცა აქცია ჩაიშალა. ამის მიზეზად კი პანკისელი დედების აქტიურობა სახელდება, რომლებიც ღიად დაუპირისპირდნენ ბორჩაშვილის მომხრეებსა და აქციის ორგანიზატორებს. პანკისელი დედები უკვე ღიად აცხადებენ, რომ ისინი შვილებს „ისლამური სახელმწიფოსთვის“ არ ზრდიან და ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირში მყოფ აიუფ ბორჩაშვილს უნდობლობა გამოუცხადეს. „პრაიმტაიმთან“ საუბარში ერთ-ერთი ქალბატონი, რომელსაც ვაჟი სირიაში ბრძოლის დროს გარდაეცვალა, აცხადებს, რომ ტერორისტული ორგანიზაციის მოკავშირეები პანკისში ისევ რჩებიან და არალეგალურ გზებს ეძებენ ახალგაზრდების საქართველოდან სირიაში გასაყვანად. **სოფელ დუისში მცხოვრები ქალბატონი, რომლის ვინაობასაც შეგნებულად არ ვსახელებთ, აუდიოჩანაწერში დეტალურად ყვება პანკისში ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების შესახებ.**

– სპეცოპერაციამ, რომელიც ხეობაში ჩატარდა, შედეგი გამოიღო. დაკავეს ის ადამიანი, ვინც ნამდვილად თანამშრომლობდა ტერორისტებთან და პანკისიდან ახალგაზრდების გაყვანის სანაცვლოდ თანხას იღებდა. მართალია, დღეს მხოლოდ აიუფ ბორჩაშვილია პატიმრობაში, მაგრამ იმედია, მხოლოდ მასზე არ გაჩერდებიან, რადგან სხვებიც არიან დასაჭერები.

– ამ სპეცოპერაციის შედეგად სულ 6 პირი დააკავეს. როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა ისე, რომ მხოლოდ ბორჩაშვილი დატოვეს პატიმრობაში?

– ბორჩაშვილი კი დაიჭირეს, მაგრამ ეგ არ არის საკმარისი. ძალიან უნდოდათ აქციების გამართვა ბორჩაშვილის დასაცავად, მაგრამ არ გამოუვიდათ.

– ვინ იყო ამ აქციების ორგანიზატორი და რატომ არ გამოუვიდათ?

– აქციების გამართვის სურვილი ბორჩაშვილის ნათესავებსა და ახლობლებს ჰქონდათ. მათ შორის ერთ-ერთ დაკავებულსაც – ჯოყოლა აჭიშვილსაც ძალიან უნდოდა დაძაბულობა ხეობაში, მაგრამ ამის უფლება არ მივეცით ჩვენ, პანკისელმა დედებმა. ქალები მაგრად დგანან. ამბობენ, ჩვენ შვილებს „ისლამურ სახელმწიფოს“ არ ვუზრდითო. შეეშინდათ ასეთი ღია დაპირისპირების და ვეღარ გაბედეს აქციების გამართვა. დღეს აჭიშვილსა და სხვებს, ვინც ბორჩაშვილთან ახლობლობდა, პანკისში ჩამოსვლა ეშინიათ. ეს იმიტომ, რომ ბორჩაშვილი დაიჭირეს და გავლენა დაკარგეს. იმედია, ეს ადამიანები პანკისში აღარ დაბრუნდებიან.

– არის იმის ალბათობა, რომ იგივე აიუფ ბორჩაშვილი გაათავისუფლონ?

– ამაზე ჭორებს ყრიან

რა ხდება პანკისის ხეობაში, რა მოთხოვნები აქვთ დედებს და ვინ დააკავეს აეროპორტში



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Д АФАСЕБЕН

ხეობაში, ვითომ სირიიდან ინფორმაციასა და ფულს ელოდებიან, რომ ბორჩაშვილი გათავისუფლონ; ვითომ გავლენიანი ხალხის ჩამოსვლასაც ელოდებოდნენ პანკისში, მაგრამ არაფერი მსგავსი. ჩვენ დავუდექით პოლიციას გვერდით და მომავალშიც დავუდგებით, თუ ასეთ ხალხს დაიჭერენ, ვინც მართლა დასაჭერია. მაგრამ ამაზე არ უნდა გაჩერდნენ. ხეობაში რჩებიან „ისლამური სახელმწიფოს“ მოკავშირეები და ახალგაზრდებიც ჰყავთ გადაბირებული. 10 დღის წინ 2 ქისტი მოაბრუნეს აეროპორტიდან, გამკაცრებულია საზღვარზე გასვლა, მაგრამ არ არის გამორიცხული, სხვა გზები იპოვონ და ხეობიდან მაინც გაიყვანონ ეს ახალგაზრდები. თუმცა ამ სპეცოპერაციის შემდეგ შიშმა მაინც დაისადგურა და ასე ღიად ვერ გაბედავენ ვერაფერს.

ინფორმაცია სპეცოპერაციის დეტალებსა და აიუფ ბორჩაშვილის ბრალეულობასთან დაკავშირებით შევეცადეთ, ჯოყოლა აჭიშვილისგან მიგვეღო. ის ერთ-ერთია იმ ექვს ადამიანს შორის, რომლებიც 14 ივნისს დააკავეს.

– თქვენ 14 ივნისს დაგაკავეს, მაგრამ მალევე გამოგიშვეს. რა კითხვები ჰქონდა თქვენთან გამოძიებას?

– სახლი გაჩხრიკეს სოფელში, დამაკავეს თბილისში, მაგრამ კითხვები არ დაუსვამთ, მალევე გამათავისუფლეს. როცა მართალი ხარ, რა უნდა გკითხონ.

– აიუფ ბორჩაშვილი პატიმრობაში დატოვეს, თქვენგან განსხვავებით, ანუ ის დამნაშავეა?

– არა, ამას სასამართლო დაადგენს და დარწმუნებული ვარ, რომ გაამართლებენ.

– ჩვენ ვესაუბრეთ ერთ-ერთ ადგილობრივს, რომელიც ამ სპეცოპერაციას მიესალმება, თქვენც ასე ფიქრობთ?

– მე ამ შემთხვევაში მხარე ვარ და აბა, როგორ გითხრათ... რასაც სასამართლო დაადგენს, ისე იქნება. მართალია, ბორჩაშვილს ბრალად წაუყენეს ახალგაზრდების გადაბირება და ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირი, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება.

– მას ხომ უკვე წაუყენეს ბრალი და მოწმეებიც არსებობენ, ალბათ?

– კი, ბრალი წაუყენეს, მაგრამ არსებობს მხოლოდ ერთადერთი მოწმე. ადამიანი, ვინც ხელს ადებს აიუფ ბორჩაშვილს, არის მისი ბიძაშვილი და მეზობელი გიორგი ბორჩაშვილი. რასაც სასამართლო დაადგენს, ისე იქნება.

კაბელების საქმეზე სკანდალი გრძელდება

რატომ არ არის ალასანია თავდებში და რა უნდა გაირკვეს სასამართლოზე

ქეთი ხატიაშვილი

თავისუფალი დემოკრატები ამბობდნენ, მტკიცებულებების გაბათილების შემდეგ კაბელების თემა საერთოდაც დაიხურებაო. სასამართლო მას მსვლელობას არ მისცემს და პროკურატურა წააგებს. აჯობებს, თუ ბოდიშის მოხდისთვის და იმათი თავების დაყრისთვის მოემზადებიან, ვინც ეს საქმე პოლიტიკურად ააწყო და ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენაო. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო ალასანიას გუნდის განწყობა ღია საუბრებში.

თუმცა, საქმის მოსამართლემ კაბელების თემას, როგორც მოსალოდნელი იყო, მსვლელობა მისცა. მომვალ თვეში უკვე არსებითი განხილვა დაიწყება.

პროკურატურამ მაშინვე გააკეთა განცხადება, სადაც განმარტა:

„2015 წლის 26 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის არგუმენტები და დაადგინა, რომ პროკურატურის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისთვის, რომ საქმეზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამდებობის პირების: ნუგზარ კაიშაურის, გიზო ღლონტის, დავით წიფურიას, გიორგი ლობჟანიძისა და არჩილ ალავიძის მიმართ გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და საქმე წარმართა არსებითად განსახილველად. საქმის არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლის 10 ივლისს ჩაინიშნა“.

შეფასებას, რომ მოსამართლემ შეგროვებულ მტკიცებულებებში დანაშაულის ნიშნები უფრო დაინახა და ამიტომაც მისცა საქმეს მსვლელობა, თავად მოსამართლე ჯუღელი არ გამოხმაურებია.

პროკურატურის განცხადებაში კი აქცენტი მტკიცებულებებზეც გააკეთა. გამოძიებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ დაცვის მხარე შეგნებულად ცდილობდა საზოგადოების შეცდომაში შეყვანას:

„ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულების დასაშვებად ცნობამ და საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემამ ცხადყო, რომ თვეების განმავლობაში დაცვის მხარის მიერ გაკეთებული განცხადებები ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებებისა და დანაშაულის არარსებობის თაობაზე იყო უსაფუძვლო. მსგავსი შინაარსის განცხადებები ემსახურებოდა საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და საგამოძიებო ორგანოს საქმიანობის დისკრედიტაციას“.

თუმცა, ახლა უკვე მთელ ამ ისტორიაში მთავარი ინტრიგა გახლავთ ის, რომ მოსამართლე ჯუღელმა წინა სხდომაზე ბრალდებული მაღალჩინოსნები თავდებში გამოუშვა. თავდებში კი ალასანიას გუნდის წევრები დაუყენა. თავდებში მდგომი პირები დეპუტატები არიან. ანუ ისინი, ვინც ბრალდებულებს თავდებში ჩაუდგა, ყველა თავისუფალი დემოკრატი და დეპუტატია. ირაკლი ალასანია თავდებში არ არის. ვარაუდობენ, რომ დაცვის მხარეს ის სასამართლოზე მთავარ მოწმედ გამოჰყავს და შესაძლოა, თავდებშიც ამიტომ არ არის.

დეპუტატები, რომლებმაც სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობა აიღეს, არიან: ნინო გოგუაძე, ირაკლი ჩიქოვანი, ზურაბ აბაშიძე, ვიქტორ დოლიძე, შალვა შავგულიძე.

საინტერესოა, რომ თავდებში დარჩნენ მხოლოდ ალასანიას პარტიის წევრი დეპუტატები, ისიც არასრული შემადგენლობით. მათ შორის არ არიან არც ცაგარეიშვილი და არც ონოფრიშვილი.

მოსამართლემ განჩინების გამოცხადებისას დასაბუთებაში მიუთითა: მიმაჩნია, რომ ამ პიროვნებების, ამ დეპუტატების თავდებოდა და პასუხისმგებლობა უფრო მეტად უზრუნველყოფს ბრალდებულების სათანადო ქცევას, ვიდრე ფული, თუნდაც 10 000 ლარიო.

შაბათს ცნობილი გახდა ნინო გვენეტაძისა და დავით ჯუღელის შეხვედრის შესახებაც. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და კაბელების საქმის მოსამართლის შეხვედრა მტკივნეულად აღიქვეს თავისუფალმა დემოკრატებმა. მათ მაშინვე თქვეს, რომ ჯუღელს მითითებები მიეცა.

„პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მე მაქვს მაღლი თმენის ვალდებულება. არა მარტო მე, მართლმსაჯულების განმხორციელებელ ყველა პირს. ამ ეტაპზე განცხადებას ვერ გავაკეთებ, თუმცა სამართალწარმოების დასრულების შემდეგ გაძლევთ პირობას, რომ ყველა ინფორმაცია, რაც მედიისთვის და საზოგადოებისთვის საინტერესო იყო, ნათელი იქნება“, – განაცხადა, თავის მხრივ, გვენეტაძემ.

არ გამორიცხავენ, რომ ხმაურიანი საქმე კიდევ უფრო სკანდალური გახდეს უკვე არსებითი განხილვის დროს. პროკურატურისთვისაც თავდებში მხოლოდ ალასანიას პარტიის წევრების დატოვება საკმაოდ უცნაურია. მით უფრო იმ ფონზე, რომ გამოძიება ფულის მითვისებაში ედავება სწორედ ალასანიას და მის გუნდს თავდაცვის სამინისტროში. ხომ შეიძლება, რომ ზოგიერთი თანაგუნდელი სასამართლოს ინტერესების ქვეშ თავად მოხვდეს? თუმცა ამ კითხვებს პასუხი უკვე სასამართლო დარბაზში გაეცემა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

წმინდა ადგილი მდინარე ვერეზე და გად

ავთანდილ ჭუმბურიძე

ტრაგედიის დილას, 14 ივნისს, მაშინ როცა საზოგადოება თავსდამტყდარი სტიქიური უბედურებისგან ჯერ კიდევ პანიკაში იყო, ჩვენ პატრიარქის საკვირაო ქადაგება მოვისმინეთ, სადაც უწმინდესმა მომხდარი ტრაგედია, საუკუნის წინ ჩადენილ ვანდალიზმს დაუკავშირა. იმ დღეს საზოგადოების ძალიან დიდმა ნაწილმა პირველად გაიგო იმ ფაქტის შესახებ, რომლის დამამტკიცებელი დოკუმენტებიც არქივებში დღესაც დევს. რა მოხდა 1921 წელს, რა ბრძანება გაიცა საოკუპაციო რეჟიმის მიერ და რას გულისხმობდა პატრიარქი, როდესაც ღვთისგან მოვლენილ განსაცდელზე ქადაგებდა. „პრაიმტაიმი“ ისტორიკოს პროფესორს სერგო ვარდოსანიძეს დაუკავშირდა, რომელმაც ჩვენ ექსკლუზიური ფოტომასალა და ის დოკუმენტები მოგვაწოდა, რაზე დაყრდნობითაც უწმინდესმა 14 ივნისის დილას იქადაგა.



„სწორედ მდინარე ვერეზე სრულდებოდა წყალკურთხევის ცერემონია. ზუსტად ეს ჰქონდა პატრიარქს მხედველობაში, როდესაც განცხადებას აკეთებდა“

„დოკუმენტი, რომელიც 1930 წელს არის გაცემული, სადაც დაფიქსირებულია ის მომენტი, როცა ზოოპარკის კეთილმოწყობისთვის გამოყენებულ იქნა გადამდნარი საეკლესიო ზარები, რომლებიც შემდეგ გაყიდეს და ეს თანხა მოხმარდა ზოოპარკს“

„ეს შემთხვევა დაფიქსირებულია დოკუმენტურად და ინახება საპატრიარქოს არქივში“

სერგო ვარდოსანიძე

- მისმა უწმინდესობამ, 14 ივნისს, სამების საკათედრო ტაძარში, საკვირაო ქადაგებისას განაცხადა ის, რამაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე, უკვე 38 წელია, რაც საქართველოს ეკლესიის საჭეთ მპყრობელია და 52-53 წელია, რაც მღვდელმთავარია. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ამ 38 წლის მანძილზე, რაც პატრიარქი უკვე საჭეთმპყრობელია, არაერთი მისი განცხადება იმ წუთას არაერთგვაროვანი რეაქციის საბაბი გამხდარა, მაგრამ, გასულა დრო, დაწმენდილა ეს ვნებათა ღელვა, დაფიქრებულა საზოგადოება და უთქვამს: „პარტიარქი მართალია“!

უწმინდესმა განსაცდელის გამომწვევ მიზეზებზე ქრისტიანული ეკლესიის პოზიცია გაახმოვანა.ზოგიერთმა ადამიანმა ეს ისე გაიგო, რომ პატრიარქს თითქოს მეორეხარისხოვნად მიაჩნდა ის, რაც იქ მოხდა. ეს რომ ასე არ იყო, შემდეგ უკვე მისმა მოქმედებებმა დაადასტურა, მისცა კურთხევა ყველა მოქმედ ეკლესიას, რომ გაეწიათ დახმარება დაზარალებულებისთვის, თითქმის ყველა ოჯახში მივიდა და პირადად მიუსამძიმრა. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართულმა უნივერსიტეტმა, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, ვიკისრეთ ჩვენს თავზე, რომ ერთ-ერთ დაზარალებულს, მამა გიორგი(ჯიბუტის) ოჯახისთვის დახმარება გაგვეწია, რომ ცოტაოდენით მაინც შევუმსუბუქოთ ის ტკივილი, რაც მას თავს დაატყდა.

მისმა უწმინდესობამ ამის შემდეგ კიდევ გადადგა ნაბიჯი. ერთ მრავალშვილიან ოჯახს გადასცა საპატრიარქოს სახელით ბინა. ამით იმის თქმა მინდა, რომ პატრიარქმა ეს ყველაფერი გულთან მიიტანა და ერს შეახსენა, რომ ამ ყველაფრის მატერიალიზება არ შეიძლება და ადამიანი ღვთისკენაც უნდა მიბრუნდეს. აი, ეს იყო არსებითი, რაც იმ კონტექსტში ითქვა პატრიარქის მიერ.

ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რა იყო ამ განცხადებაში სიმართლე. პატრიარქი, როგორც წესი, არასოდეს აკეთებს ისეთ განცხადებას, რომელიც ისტორიული ფაქტებით არ არის გაჯერებული. მინდა შევეხო 1921 წელს, როდესაც ბოლშევიკური ხელისუფლება შემოვიდა საქართველოში, იმ დროისთვის 1 450 მოქმედი ეკლესია იყო. აქედან 25 მონასტერი და 1600 სასულიერო პირი, რომელიც ქართულ ეკლესიებს ემსახურებოდნენ. 1921 წლის 14 აპრილს გამოვიდა საგანგებო დადგენილება საოკუპაციო ხელისუფლებისა, რამაც საქართველოს ეკლესიას იურიდიული პირის სტატუსი წაართვა და იურიდიული სტატუსის არმქონედ გამოაცხადა. მთელი საპატრიარქოს ქონება გამოცხადდა უპატრონოდ. ამის შემდეგ სახელმწიფომ დაიწყო ამ ქონების შეხედულებისამებრ გამოყენება. ათასობით სასულიერო პირი იძულებით განმოსეს ან დახვრიტეს, ანდა გადაასახლეს. ამის გარდა მათ უამრავი ეკლესია დაანგრიეს და ეკლესიის ადგილებზე მოაწყვეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში სადაც სკოლაა, ან კლუბი, იქ იმ ადგილას ეკლესია იყო.

რაც შეეხება საეკლესიო ნივთებს, მათ ეს ნივთები გამოიტანეს და გაყიდეს. დაიწყეს ამ ნივთების მოხმარება თავიანთი სურვილის შესაბამისად.

რაც შეეხება ეკლესიის ზარებს. მაშინდელი საეკლესიო ზარები ჩამოსხმული იყო სპილენძისგან და ოქროსგან, იმიტომ რომ მას ჰქონოდა სასიამოვნო ჟღერადობა, სხვა ლითონი შესაფერის ხმოვანებას ვერ გამოსცემს. დაიწყეს ამ ზარების დამტვრევა და გადადნობა. მე შემიძლია გაჩვენოთ დოკუმენტი, რომელიც 1930 წელს არის გაცემული, სადაც დაფიქსირებულია ის მომენტი, როცა ზოოპარკის კეთილმოწყობისთვის გამოყენებულ იქნა გადამდნარი საეკლესიო ზარები, რომლებიც შემდეგ გაყიდეს და ეს თანხა მოხმარდა ზოოპარკს. ეს არის ისტორიული ფაქტი, სწორედ ის ფაქტი, რაც მისმა უწმინდესობამ იგულისხმა.

მეორე ისტორიული ფაქტიც არსებობს ვერეს ხეობასთან დაკავშირებით და ესეც დოკუმენტურად დასტურდება. როგორც მოგეხსენებათ, მდინარე მტკვარი 19 საუკუნის მეორე ნახევარში თანდათან დაბინძურდა და დაავადებების გადამტანი გახდა. როდესაც მტკვარი დაბინძურდა მისი დალევა უკვე შეუძლებელი იყო, ამის შემდეგ წყალკურთხევა სრულდებოდა მდინარე ვერეზე. ყოველი წლის 19 იანვარს სრულდებოდა ამ მდინარის კურთხევა. იმდროინდელი ეგზარხოსი კირიონი ასრულებდა ამ ცერემონიას 1918 წლიდან, შემდეგ უკვე ეგზარხოსი ლეონიდე 1919 წლიდან 1921 წლამდე, 1922 წელს კი ეგზარხოსი ამბროსი. 1923 წელს უკანასკნელად დაფიქსირდა წყალკურთხევის ცერემონია და აღნიშნულიცაა, რომ ის აღასრულა ურბნელმა ეპისკოპოსმა, შემდეგ უკვე კათალიკოს პატრიარქმა ამბროსიმ. ეს შემთხვევა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ამდნარი საეკლესიო ზარების ისტორია

„ვერც ერთმა მთავრობამ და საპატრიარქომ ვერ მოახერხა ამ ხალხის ეკლესიებიდან გამოყვანა და ბინებით დაკმაყოფილება“

„მაშინდელი საეკლესიო ზარები ჩამოსხმული იყო სპილენძისგან და ოქროსგან, იმიტომ რომ მას ჰქონოდა სასიამოვნო ჟღერადობა, სხვა ლითონი შესაფერის ხმოვანებას ვერ გამოსცემს. დაიწყეს ამ ზარების დამტვრევა და გადადნობა“

რა კავშირშია 13 ივნისის ტრაგედია საუკუნის წინანდელ ვანდალიზმთან

ჟურნალისტი გოდერძი შარაშია, ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც „ჟურნალისტის დღიურში“, კომუნისტური რეჟიმის მიერ დარბეულ ქართულ ეკლესია-მონასტრებზე გააკეთა ფილმი. დღეს ის „პრაიმტაიმთან“ საუბარში იხსენებს, რომ მიუხედავად არაერთი ნაამბობისა, რომ სიწმინდეების ადგილას დასახლებულ ადამიანებს ათასგვარი უბედურება ატყდებოდათ თავს, ჟურნალისტმა ვერც ერთ ასეთ კონკრეტულ ფაქტს ვერ მიაკვლია. გოდერძი შარაშია დღეს „პრაიმტაიმს“ იმ წმინდა ადგილების შესახებ უყვება, რომელიც კომუნისტებმა საცხოვრებელ სახლებად აქციეს. ასეთი ადგილები თანამედროვე თბილისში ძალიან ბევრია.

გოდერძი შარაშია:

- კრწანისში, შევარდნაძის რეზიდენციას რომ გასცდებით, ბოლოში დასახლებაა და იქ დღემდე ცხოვრობს ხალხი, აქ ადრე ეკლესია და მისი დამხმარე ნაგებობები იყო. პეროვსკაიას დასაწყისში, ორსართულიანი თეთრი სახლი რომ დგას, იქაც ადრე ეკლესია იყო. მეცნიერებათა აკადემიას რომ გავცდებით და სამხატვრო აკადემიისკენ აღმართს ავუყვებით, პირველივე შენობა სადაც დღეს ქსეროქსები და ათასი ოფისებია, აქაც ეკლესია იყო. სანაპიროდან პირიმზისკენ ასახვევში, პირველი კორპუსის შენობის არკაში რომ შეხვალ იქ ნახავთ დარჩენილ გუმბათს, ადრე იქ ეკლესია იყო და ახლა ხალხი ცხოვრობს. ასევე ნაძალადევის რაიონში ეკლესია აბანოდ გადააკეთეს. თბილისის პარლამენტის შენობის ადგილზე, როგორც ცნობილია, რუსული ეკლესია იყო. რეგიონებშიც იყო უამრავი ასეთი ადგილები, მაგალითად: ბოდბის დედათა მონასტერი საავადმყოფოდ გადააკეთეს, ხობის დედათა მონასტერში ერთი პერიოდი მეკურდღლეობის ფერმა იყო, შიომღვიმის მონასტერი კი საკონცერტო დარბაზს წარმოადგენდა.

ასეთი ათეულობით ეკლესია-მონასტერია თბილისში, დაფიქსირებულია დოკუმენტურად და ინახება საპატრიარქოს არქივში.

- ანუ ეს წმინდა ადგილი იყო?

- დიახ, ეს წმინდა ადგილია, რადგან სწორედ მდინარე ვერეზე სრულდებოდა წყალკურთხევის ცერემონია. ზუსტად ეს ჰქონდა პატრიარქს მხედველობაში. როდესაც განცხადებას აკეთებდა, ამ ფაქტებს გულისხმობდა უწმინდესი. და ქადაგების დროს არ იყო იმის აუცილებლობა, რომ ეს თემა ასე ისტორიულად გაეშალა. საზოგადოების ნაწილმა ეს ფაქტი არ იცის და პატრიარქის განცხადებამ მათში შეშფოთება აღძრა.

სადაც კომუნისტების დროს ხალხი შეასახლეს.

თავის დროზე ეს ხალხი კომუნისტურმა რეჟიმმა შეასახლა ისეთ სახლებში და კორპუსებში, სადაც ადრე ეკლესიები იყო, ნაწილიც თვითნებურადაც შევიდა. ფაქტია, რომ ბევრი მათგანი საკურთხეველში ცხოვრობს და იქ თაობები გაიზარდა. ვერც ერთმა მთავრობამ და საპატრიარქომ ვერ მოახერხა ამ ხალხის ეკლესიებიდან გამოყვანა და ბინებით დაკმაყოფილება. მესმის, რომ ეს საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ბევრი მათგანი წუხს, რომ ტაძრის შენობაში უწევს ცხოვრება.



ქუთაისი

სიონი

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების

ქეთი ხატიაშვილი



„ზოგადად, უსამართლო და დაუსაბუთებელი, ტყუილზე აგებული ბრალდება, უფრო მეტსაც ვიტყოდი, ცილისწამება, რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, მაგრამ ჩემთვის მაშინაც და ახლაც მთავარია ის შედეგი, რაც საქართველომ მიიღო“

ექსკლუზიური ინტერვიუ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანთან მინდია ჯანელიძესთან:

– ამ მასშტაბის სტიქიური უბედურება სერიოზული გამოწვევა და გამოცდა იყო ქვეყნისთვის. ჩვენ ბევრი კრიტიკული შეფასება მოვისმინეთ ოპოზიციისგან, გაუგებარია ასეთი მიდგომა, თუმცა ეს სხვა თემაა. მაინტერესებს, თქვენ რა ხარვეზები დაინახეთ ხელისუფლების შემდგომ რეაქციაში? იყო რაიმე, რის დახვეწას ან გამოსწორებას ხელისუფლება სამომავლოდ შეეცდება? როგორ იმუშავეს ცალკეულმა უწყებებმა? რა სახის შეფერხებები არსებობდა, როგორი იყო კოორდინაცია?

– უპირველეს ყოვლისა, საბჭოს აპარატის სახელით ღრმა მწუხარება მინდა გამოვთქვა დაღუპულთა გამო და მათ ოჯახებს მივუსამძიმრო. სტიქია მართლაც უპრეცედენტო მასშტაბებისა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ლოკაციაზე ერთდროულად უწევდათ მუშაობა, პირველადი რეაგირების სამსახურებმა თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენეს და საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი ათეულობით ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს. კოორდინაციასთან დაკავშირებით შემიძლია, ერთმნიშვნელოვანი პასუხი გაგცეთ – სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭომ შეძლო კრიზისის მართვა.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ საბჭო არ არის პირველადი რეაგირების ორგანო. კრიზისების საბჭო ვითარების მართვაში ერთვება მას შემდეგ, რაც უკვე სახეზეა მომხდარი კრიზისი და რომლის შედეგების დაძლევასაც ესაჭიროება პოლიტიკური გადაწყვეტილებები და სხვადასხვა უწყებების ჩართვა. ასეთ დროს საბჭო აწარმოებს კრიზისის დაძლევაში მონაწილე უწყებების კოორდინაციას, რესურსების მობილიზაციასა და განაწილებას, აგრეთვე, ხელისუფლების ინფორმირებას ანტიკრიზისული ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ.

ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მოსახლეობას წარმოვუდგინე იმ უწყებათა არასრული ჩამონათვალი, რომლებიც ჩართულები არიან კრიზისის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში. მასშტაბი რომ წარმოიდგინოთ, ეს არის სხვადასხვა სამინისტროებისა და არასაჯარო დაწესებულებების 30-ზე მეტი უწყება და ათასობით ადამიანი, რომელთა კოორდინაციაც განახორციელა კრიზისების მართვის ეროვნული ცენტრის 20-მდე თანამშრომელმა. შედეგად ძალიან სწრაფად მოხდა გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება. მაგალითად, გმირთა მოედნის ძირითადი არტერიების გახსნა 36 საათში მოხერხდა, წყლისა და შლამისგან განთავისუფლდა დატბორილი ტერიტორიების 90 პროცენტი, დაზიანებული ტერიტორიებიდან უსაფრთხოდ იქნა გატანილი ქიმიური ნივთიერებები, დახოცილი ცხოველების ლეშები, 150 ტონაზე მეტი გაფუჭებული საკვები პროდუქტები, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ძალიან დიდი საფრთხის კერას წარმოადგენდა.

შესაბამისად, კოორდინაცია საკმაოდ მაღალ დონეზე წარიმართა. აქვე მინდა ყველა სამსახურსა და მოსახლეობას დიდი მადლობა გადავუხადო გაწეული შრომისთვის. რასაკვირველია, გაანალიზდება ყველა ხარვეზი, რასაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვება. ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებთან გა-

სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“ და აგრარული უნივერსიტეტის „საქართველოს კულინარიის აკადემია“ თანამშრომლობას იწყებენ

სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“ და „საქართველოს კულინარიის აკადემია“ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ, ამის საფუძველზე აკადემიის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ პრაქტიკული გამოცდილება „სმარტში“ მიიღონ; მომხმარებლებს კი „საქართველოს კულინარიის აკადემიის“ პროფესიონალი კულინარები მასტერკლასებს ჩაუტარებენ სხვადასხვა კერძებისა თუ დესერტების მომზადებაში. ამას გარდა, თანამშრომლობის შედეგად „სმარტის“ წარმოების მენიუ გადახალისდება და ერთობლივად შექმნილი კერძები ჩაეშვება გაყიდვაში.

„სმარტი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საკუთარ კულინარიულ წარმოებას, ამიტომაც „სმარტის“ მზარეულები მუდმივად გადიან პროფესიულ მასტერკლასებს საერთაშორისო გამოცდილების მქონე შეფმზარეულებთან და „სმარტ კაფეში“ მომხმარებლისთვის უმაღლესი ხარისხისა და გემოვნური თვისებებით გამორჩეული, ყოველდღიურად ახალი კერძებისა თუ დესერტების შეთავაზებით წვლილი შეაქვთ კულინარიის დარგის განვითარებაში. შესაბამისად, „სმარტი“ მოხარულია ითანამშრომლოს პირველ პროფესიულ კულინარიულ სასწავლებელთან საქართველოში, და პროფესიული გამოცდილება გაიზიაროს მათი სპეციალისტებისგან. ამავე დროს, „სმარტი“ მზადაა შესაძლებლობა მისცეს „საქართველოს კულინარიის აკადემიის“ სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილება წამყვან სუპერმარკეტების ქსელში მიიღონ“,-აცხადებს „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე.

ნანა თურმანიძე - „საქართველოს კულინარიის აკადემიის“ მენეჯერი:

„საქართველოს კულინარიის აკადემიის“ მთავარი მიზანი ქართული კულინარიის განვითარება და მზარეულობასთან დაკავშირებული სტერეოტიპების დამსხვრევაა. ჩვენ ორი წლის განმავლობაში მოვამზადეთ ასობით ახალგაზრდა, ესენი არიან უნარიანი და ამბიციური ახალგაზრდები, რომლებიც დღეს საქართველოს წამყვან რესტორნებსა და სასტუმროებში მუშაობენ, და ისინი ყოველთვის ცდილობენ, წინ წავიდნენ, შემოიტანონ ინოვაციები ქართულ ბაზარზე და განავითარონ ქართული სამზარეულო. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ყველა მიზნები ბატონი კახა ბენდუქიძის მიერ იყო დასახული. მან შექმნა კულინარიის აკადემია, მანვე დაუსახა ეს მიზნები, ყოველთვის აქეზებდა ჩვენს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, რომ ისინი წასულიყვნენ წინ, ეზრუნათ, პირველ რიგში, ქართული კულინარიის გავითარებისთვის. ეს პროექტი იქნება „საქართველოს კულინარიის აკადემიისა“ და „სმარტის“ მრავალფეროვანი თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც „სმარტის“ მომხმარებელს შეეძლება ბევრ საინტერესო მასტერკლასზე დასწრება და საინტერესო რეცეპტების გაგება.

ჩვენი კურსდამთავრებულები „სმარტის“ მომხმარებელს შესთავაზებენ არამარტო ქართულ, არამედ უცხოური კერძებისა თუ დესერტების რეცეპტებს, და იმედია, ქართველი მომხმარებელი კმაყოფილი დარჩება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მართვის საბჭომ შეძლო კრიზისის მართვა“

მინდია ჯანელიძე: „სამწუხაროდ, ზოოპარკის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასწორი აღმოჩნდა“

მკლავებისთვის მზადყოფნა მუდმივ დახვეწას საჭიროებს, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მოულოდნელი ან მოსალოდნელი შედეგების მასშტაბი.

– რა გაკვეთილი გამოიტანა ამ გამოცდილებიდან ხელისუფლებამ? რა ცვლილებები დაიგეგმა სამომავლოდ? იქნება ცვლილებები მაშველთა კორპუსის მიმართულებით?

– სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო შედარებით ახალი ორგანიზაციაა, მანამდე საქართველოში მსგავსი ტიპის დაწესებულება არ არსებობდა. ჩვენი აპარატი მუდმივ რეჟიმში თანამშრომლობს უცხოელ პარტნიორებთან მათი გამოცდილების გაზიარებისა და სისტემის დახვეწის მიმართულებით. საბჭოს აპარატი, გეგმის შესაბამისად, 2-წლიანი მუშაობის შემდეგ, წლის ბოლოსთვის გახსნის კრიზისების მართვის ეროვნულ ცენტრს. ეს იქნება 1000 კვადრატულ მეტრზე განთავსებული, სპეციალურად აღჭურვილი ე.წ. „სიტუაციური ოთახი“, სივრცე ეროვნული მასშტაბით კოორდინაციის განხორციელების მიზნით. მისი გახსნისთანავე, უცხოელი პარტნიორების დახმარებითა და ზედამხედველობით, წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ ჩატარდება მასშტაბური სწავლება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს კრიზისული სიტუაციების მართვაში ჩართული ყველა უწყება, მათ შორის შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო (ე.წ. „მაშველები“). ყოველი ასეთი სწავლება გამოყენებულ იქნება, როგორც უწყებების შემდგომი განვითარებისთვის რეკომენდაციების შესამუშავებლად, ასევე კოორდინაციის პროცესის შემდგომი დახვეწისთვის.

ამ მომენტში საბჭოს კოორდინაციით დაწყებულია მუშაობა ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების რისკების შემცირების დოკუმენტზე.

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, კვლევითი ინსტიტუტების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით და ის განსაზღვრავს ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირების ღონისძიებებსა და სამოქმედო გეგმას. ხაზს ვუსვამ, ეს უზრუნველყოფს რისკების შემცირებას და არა მათ სრულ პრევენციას.

აგრეთვე, შემუშავების პროცესშია და წლის ბოლომდე უნდა დამტკიცდეს სტიქიური უბედურების შემთხვევაში კონკრეტული უწყებების სამოქმედო გეგმა, რომლითაც ისინი იხელმძღვანელებენ შესაბამისი ღონისძიებების გატარებისას.

– ვინ გააკონტროლებს იმ თანხებს, რომლის მობილიზებაც მოხდა სხვადასხვა ფონდებში სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად?

– თანხების განაწილება და კონტროლი საბჭოს კომპეტენციაში არ შედის.

– დიდი ხმაური ატყდა ზოოპარკის ცხოველებთან დაკავშირებით. ითქვა, რომ არსებობდა შავი ბუღალტერია. ჩვენ დავინახეთ, რომ ზოოპარკის ადმინისტრაცია ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებდა და ცხოველების რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ იყო, შესაძლებელია ამ ფაქტით პროკურატურა დაინტერესდეს? დაფიქსირდა სხვა მსგავსი ფაქტები, როცა ამა თუ იმ უწყებამ არასწორი ან მოუმზადებელი ინფორმაციები მოგაწოდათ?

– ზოოპარკიდან დაკარგული ცხოველების შესახებ ჩვენ ინფორმაციას მუდმივ რეჟიმში ვიღებდით თავად ზოოპარკის ადმინისტრაციისგან, რომელსაც ვამოწმებდით შსს-თან და, ასევე, მერიასთან. ინფორმაცია, რომ მტაცებელი ცხოველები ზოოპარკის გარეთ აღარ იყვნენ, თავდაპირველად მოგვაწოდა ზოოპარკის ხელმძღვანელობამ, რაც გადამოწმდა მერიისა და შსს-ს შესაბამის სამსახურებთან. სამწუხაროდ, ზოოპარკის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასწორი აღმოჩნდა.

– საბოლოოდ, რა შეიძლება თქვათ ანტიკრიზისულ მენეჯმენტზე?

– ანტიკრიზისული მენეჯმენტის არსი არის შექმნილ კრიზისულ სიტუაციაში შესაბამისი საჯარო და არასაჯარო სტრუქტურების ურთიერთშეთანხმებული მოქმედებების უზრუნველყოფა, ანუ იმ უწყებების კოორდინაცია, რომლებიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებენ როგორც კანონით განსაზღვრულ, ასევე მათზე პრემიერ-მინისტრის მიერ დელეგირებულ ფუნქციებს. მიზანი არის მარტივი – ერთობლივი ეფექტიანი ძალისხმევის შედეგად კრიზისული სიტუაციის გამო დამდგარი უარყოფითი შედეგის შემცირება, შედეგი დგება თითოეული ელემენტის გამართულად მუშაობის შემთხვევაში, რაც, ჩემი აზრით, სახეზეა. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ყველა სამინისტროს, უწყებისა თუ დაწესებულების, ასევე, კერძო კომპანიებისა და მოქალაქეების თავდადება და მუხლჩაუხრელი, მრავალდღიანი შრომა საერთო საქმისთვის;

– დაბოლოს, არ შემიძლია, არ გკითხოთ, თავდაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერა დოკუმენტს საჰაერო თავდაცვითი შეიარაღების შესახებ. დოკუმენტი თქვენი მინისტრობის დროს მომზადდა, როგორც ეს თავად ხიდაშელმა თქვა, ადამიანურად, ალბათ, გულდასაწყვეტიც იყო, რადგან თქვენ სწორედ ამ ხელშეკრულების ჩაშლას გაბრალებდნენ. რას იტყვით ამ საკითხზე?

– უპირველეს ყოვლისა, მინდა მივულოცო საქართველოს ფრიად მნიშვნელოვანი ხელშეკრულების გაფორმება, რომლის შესრულებაც უდავოდ გააძლიერებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და მოხარული ვარ, რომ მანამდე დაწყებულ პროცესს ქალბატონი თინა აგრძელებს. ზოგადად, უსამართლო და დაუსაბუთებელი, ტყუილზე აგებული ბრალდება, უფრო მეტსაც ვიტყოდი, ცილისწამება, რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, მაგრამ ჩემთვის მაძინაც და ახლაც მთავარია ის შედეგი, რაც საქართველომ მიიღო. ვერასოდეს მივცემ თავს უფლებას, საკუთარი სიმართლის სადემონსტრაციოდ საფრთხის ქვეშ დავაყენო სახელმწიფო ინტერესები. ჩემთვის საკმარისია იმის განცდა, რომ მართალი ვარ ჩემი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

„გმირთა მოედნის ძირითადი არტერიების გახსნა 36 საათში მოხერხდა, წყლისა და ულამისგან განთავისუფლდა დატბორილი ტერიტორიების 90 პროცენტი, დაზიანებული ტერიტორიებიდან უსაფრთხოდ იქნა გატანილი ქიმიური ნივთიერებები, დახოცილი ცხოველების ლეშები, 150 ტონაზე მეტი გაფუჭებული საკვები პროდუქტები, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ძალიან დიდი საფრთხის კერას წარმოადგენდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დედის მკვლელობის მცდელობა და თვითმკვლელობა – მიზეზები და ეჭვები

სალომე ჩადუნელი

ერთ კვირაში ორ სხვადასხვა ადგილას ორი ტრაგედია დატრიალდა. თბილისში არასრულწლოვანმა შვილმა დედა დაჭრა და შემდეგ თავის მოკვლა სცადა, ხოლო ხარაგაულში 11 წლის ბავშვმა საკუთარ სახლში სიცოცხლე სუიციდით დაასრულა. გაზეთი „პრაიმტაიმი“ დაინტერესდა იმ მიზეზებით, რამაც ერთი მათგანი – თვითმკვლელობამდე, მეორე კი საკუთარი დედის დაჭრამდე მიიყვანა. მიზეზების ძიებაში მხოლოდ ვარაუდები მოვისმინეთ, რომელიც ამ ორი შემთხვევის გარშემო წარმოიშვა. ეჭვი ბევრია, სიმართლე ერთი – არასრულწლოვანთა მიერ გამოვლენილი აგრესია და თვითმკვლელობები გახშირდა. საზოგადოება გამოძიებისა და ექსპერტიზის პასუხებს ელოდება.

დაპირისპირება დედასთან?

20 ივნისს ვაკეში, ჭავჭავაძის #29-ში, 16 წლის მოზარდმა 40 წლის დედის მკვლელობა სცადა. არასრულწლოვანმა დედას ყელი გამოჭრა და შემდეგ მეათე სართულიდან გადმოხტომითა და თვითმკვლელობით იმუქრებოდა. მოზარდი სუიციდისგან ახლობლებმა და სამაშველო სამსახურმა იხსნა. დაჭრილი ქალბატონი ნათია სანაძეა. ის შემთხვევის ადგილიდან რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მისი გადარჩენა ექიმებმა დროული მოქმედებით შეძლეს. დაზარალებულს საძილე არტერია არ ჰქონდა გადაჭრილი და დროულმა სამედიცინო ჩარევამ სიცოცხლე შეუნარჩუნა. ოჯახის ახლობლების ინფორმაციით, დაჭრილის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია და საავადმყოფოდან რამდენიმე დღეში გამონერენ. რაც შეეხება ბრალდებულ არასრულწლოვანს, ის შემთხვევის ადგილზე დააკავეს და გლდანის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

იმ მისამართზე, სადაც შემთხვევა მოხდა, ბრალდებულის ბებია ლიანა მონცელიძე ცხოვრობს, თვითონ ოჯახი კი – აბაშიძის #40-ში. მეზობლების თქმით, ბრალდებული ხშირად მიდიოდა ბებიასთან და ბოლო პერიოდში სულ მასთან იმყოფებოდა. დაჭრილ ქალბატონს სამი შვილი ჰყავს, ბრალდებული ყველაზე უფროსია, შუათანა 15 წლისაა, ხოლო პატარა – ოთხის. სწორედ ისინი შეესწრნენ მოზარდის მიერ დედის მკვლელობის მცდელობის ფაქტს. გაზეთი „პრაიმტაიმი“ თვითმხილველს, ნანა ბურჯანაძეს ესაუბრა. მისი თქმით, სამსახურში იმყოფებოდა, როცა ხმა შემოესმა და შემდეგ სადარბაზოსთან სისხლში მცურავი ქალბატონი დაინახა.

ნანა ბურჯანაძე: „ვმუშაობ „არია იოგაში“, სამუშაოზე ყოფნისას გარედან შემომესმა ხმა. ვნახე, ქალბატონი იყო ჩაკეცილი სადარბაზოსთან, სისხლში ცურავდა. ორი ბავშვი ახლდა, გავარკვიე, რომ შვილი იყო. ამბობდა, დედა, თვალები გაახილეო. უცებ დავიბენი, ვერ მივხვდი, რა უნდა გამეკეთებინა და თანამშრომელს ვთხოვე დახმარება. მთავარი არტერია არ ჰქონდა გადაჭრილი. ჩაუტარეს პირველადი დახმარება, სასწრაფოც მალე მოვიდა. ეს ქალბატონი ცოცხალი იყო, როცა წაიყვანეს. ამასობაში ატყდა ხმაური, მე-10 სართულიდან ვიღაც ხტებოდა. ეს სწორედ ის ბავშვი იყო, რომელმაც დედა დაჭრა. ამ ქალბატონს სულ სამი შვილი ჰყავდა. 4 წლის ბავშვი ამბობდა, „ჩემმა ძმამ მოჭრა დედას ყელიო“. მერე ის ბიჭი იქიდან გადმოხტომას ცდილობდა და შეაჩერეს როგორღაც. ყველა ჩაერია – პოლიცია, ხალხი... არავინ არ იცნობს ამ ოჯახს, მე აქ ვმუშაობ, მაგრამ არასდროს დამინახავს, მიზეზები არ ვიცი, რატომ მოხდა“.

„ატყდა ხმაური, მე-10 სართულიდან ვიღაც ხტებოდა. ეს სწორედ ის ბავშვი იყო, რომელმაც დედა დაჭრა“

ადგილობრივები აცხადებენ, რომ ბიჭს არ იცნობდნენ, ხედავდნენ ხოლმე, თუმცა იმის გამო, რომ აქ არ ცხოვრობდა, ურთიერთობა არ ჰქონიათ.

უბედური შემთხვევის მიზეზებზე მსჯელობისას რამდენიმე ვარაუდი წარმოიშვა, ჩვენ დავუკავშირდით ბრალდებულის ბებიას ლიანა მონცელიძეს. მისი განცხადებით, მოზარდი უკონფლიქტო იყო, მეგობრებთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა და დედა-შვილსაც კონფლიქტი ჩვეულებრივ ისეთ თემებზე ჰქონდათ, რაზეც ნებისმიერ მშობელს აქვს შვილთან.

ლიანა მონცელიძე: „რა მიზეზი უნდა ჰქონოდა, არანაირი მიზეზი არ ჰქონდა. არ იცით, მშობელი შვილს რატომ ეჩხუბება? ისნავლოს, კარგად მოიქცეს და არაფერი ისეთი. ისეთი პრობლემები ჰქონდათ, რაც, ჩვეულებრივ, ყველა ბავშვს აქვს, სახლში როდის მოვიდა, სად იყო, სად მიდის“.

ლიანა მონცელიძის განცხადებით, ბრალდებულს წინასწარი დაკავების იზოლატორში ფსიქიკურ მდგომარეობას უმოწმებენ.

„ჩვენ გვეშინია, რაიმე ფსიქიკური პრობლემები არ იყოს“, – ამბობს ლიანა მონცელიძე.

მედიაში შემთხვევის შესაძლო გამომწვევ მიზეზებზე უამრავი ვარაუდი გავრცელდა, არაერთგვაროვანი იყო მეზობლების კომენტარებიც. გამოითქვა ვარაუდი, რომ ბრალდებული სინთეზურ ნარკოტიკებზე იყო დამოკიდებული, ამის შესახებ ბებიამ იცოდა და ოჯახს ვერ ეუბნებოდა. შესაძლებელია, დაპირისპირების მიზეზი ესეც გამხდარიყო.

ასევე, მეზობლის თქმით, ბოლო პერიოდში ბიჭს დედასთან დაძაბვია ურთიერთობა და სახლში აღარ მიდიოდა. დანაშაულის დღეს მას დედისთვის დაურეკავს და უთქვამს, სასწრაფოდ მოდი აქ, რაღაც მაქვს შენთვის სათქმელი და დღესვე უნდა დავამთავრო ყველაფერიო. დედა და მამა ერთად და სასწრაფოდ მოსულან ნათესავ მამაკაცთან და ორ შვილთან ერთად. უცნობია, რა მოხდა მათი მისვლის შემდეგ სახლში, იქიდან ხმამაღალი ლაპარაკი არავის გაუგია. მეზობლებმა მოულოდნელად კივილის ხმა გაიგეს და საშველად ლიანა მონცელიძის სახლს მიაშურეს. იქ მათ სისხლში მოცურავე ქალი და აივანზე გასული ახალგაზრდა დახვდათ, რომელიც გადახტომას ლამობდა.

ჩვენ მივედით იმ მისამართზე, სადაც ოჯახის მუდმივი საცხოვრებელია. სახლში არავინ დაგვხვდა და კარის მეზობლებმა ჟურნალისტებთან საუბარზე უარი განაცხადეს, თუმცა ჩვენ აბაშიძის #40-ში მცხოვრებ სხვა მაცხოვრებლებს გავესაუბრეთ. მეზობლები ბრალდებულს დადებითად ახასიათებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ჩაკეტილი ოჯახია და მეზობლებთან ურთიერთობა წლების განმავლობაში არ ჰქონიათ.

ლიანა მონცელიძე

გახდა თუ არა ნარკოტიკი დედასთან დაპირისპირების მიზეზი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ულნლოვნები

ვერსია: 11 წლის ბავშვმა სიცოცხლე თვითმკვლელობით მეზობელი მამაკაცის მხრიდან ძალადობის გამო დაასრულა?

„ჩემს თვალწინ გაიზარდა, უკონფლიქტო იყო, გამარჯობას ვერ დაასწრებდი, თუმცა ჩაკეტილი ოჯახი იყო. ჩვენ ძალიან მეგობრული უბანი ვართ, მათ კი ურთიერთობა არავისთან ჰქონდათ, თავისთვის ცხოვრობდნენ, ოჯახიდან ჩხუბის ხმა არასდროს გამოსულა“, – ყვებიან დაჭრილის მეზობლები.

მოძალადე მეზობელი?

გასულ კვირასვე ხარაგაულის რაიონის სოფელ ხულევში 11 წლის ლ.ლ-მ თავი ჩამოიხრჩო. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს, ბავშვი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მეზობლების განცხადებით, ოჯახი სოციალურად დაუცველი იყო, მამა ბათუმში მუშაობდა. სოციალური დახმარება – სამასი ლარი არ ჰყოფნიდათ, რადგან 4 შვილი ჰყავდათ. ლ.ლ. უფროსი შვილი იყო.

მეზობლები და ოჯახის ახლობლები გარდაცვლილს დადებით და უკონფლიქტო ბავშვად მოიხსენიებენ.

„ძვირფასი ბავშვი იყო, გაწონასწორებული, კარგი მოსწავლე, ზრდილობიანი, საქმიანი და ყველანაირად დადებითი ადამიანი. რაც შეიძლება კარგი ითქვას ამ ბავშვზე შემიძლია, ყველაფერი ვთქვა. ოჯახს ძალიან ეხმარებოდა, ნერგიც რომ დაერგა დედას, წყალს ის მიუტანდა. არანაირი პრობლემა არ ჰქონია სკოლაში. გაწონასწორებული ბავშვი იყო“, – ყვებიან ოჯახის ახლობლები.

მათივე განცხადებით, ბავშვისთვის უცნაური არაფერი შეუნიშნავთ, გარდა ფაქტისა, რომ შემთხვევამდე ერთი დღით ადრე თავი სტკიოდა და მთელი ღამე ვერ დაიძინა.

გავრცელდა ვარაუდი, რომ ბავშვი ძალადობის მსხვერპლი იყო, თუმცა ვარაუდის დადასტურება ექსპერტიზის პასუხების გაცნობამდე შეუძლებელია.

დეპუტატი ლენა აბაშიძე, რომელიც ასევე იმ სკოლის დირექტორია, სადაც გარდაცვლილი სწავლობდა, დაზუსტებული ინფორმაციის გავრცელებისგან ექსპერტიზის პასუხამდე თავს იკავებს, თუმცა აღნიშნავს, რომ საუბარია მეზობლის მხრიდან ძალადობის ფაქტზე.

ლენა აბაშიძე: „მეზობელზეა საუბარი, მამაკაცზე, არ არის დაზუსტებული ეს ინფორმაცია, ახლო მეზობელი არ იყო, ბავშვთან რა ურთიერთობა ჰქონდა, ასე დეტალებში არ ვიცი. 10 დღეში იქნება ექსპერტიზის პასუხები“.

გარდაცვლილი ლ.ლ. გუშინ დაკრძალეს. ბოლო 4 თვის განმავლობაში ეს მესამე შემთხვევაა, როცა მცირეწლოვანმა ბავშვმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.



მაგდა კლდიაშვილი

გია გეგუჩაძეს ბექა მახარაძე სურს

როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, თბილისის „დინამოს“ თავკაცს, გია გეგუჩაძეს საკუთარ გუნდში, არა კახა მახარაძის, არამედ მისი ძმის, ბექა მახარაძის ხილვა სურს.

უმცროსი მახარაძე ახლა ბათუმის „დინამოში“ თამაშობს. ის 24 წლისაა და პოზიციით მცველია. სპორტულმა გამოცემებმა „დინამოს“ სახელს უფროსი მახარაძის სახელი დაუკავშირეს, რომელიც უზბეკეთში გამოდის და „პახტაკორის“ კაპიტანიც გახლავთ. თუმცა დაზუსტებული ინფორმაციით, გეგუჩაძეს არა კახა, არამედ ბექა მახარაძის დამატება სურს.

ნუკრი რევიშვილმა „დილა“ „გადააგდო“



საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარემ, ნუკრი რევიშვილმა კონტრაქტი მოლდოვურ „შერიფთან“ გააფორმა.

ვიდრე რევიშვილი მოლდოვაში წავიდოდა, ცნობილი იყო, რომ ის გორის „დილაში“ გამოდიოდა, ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობა გუნდიდან ორივე მეკარის გაშვებას შეელია, რადგან ვარაუდობდნენ, რომ რევიშვილთან კონკურენციის გამო მათ სკამზე მოუწევდათ ყოფნა.

ომარ მიგინეიშვილი „ცხინვალში“ გადავიდა, გიორგი სომხიშვილმა კი ბედი ქუთაისის „ტორპედოს“ დაუკავშირა.

„დილა“ ფორს-მაჟორშია და ახალ მეკარეს ეძებს. დაახლოებით სამ კვირაში კი უჩა სოსიაშვილის გუნდი ევროსარბიელზე პირველ მატჩს გამართავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან კობიაშვილი საარჩევნო კამპანიას იწყებს

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ექსკაპიტანი და ვეტერანი ფეხბურთელი, ლევან კობიაშვილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე აპირებს კენჭისყრას.

კობიაშვილი, საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ბერლინის „ჰერტაში“ დარჩა და ასაკობრივ გუნდში განაგრძო საქმიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ სფფ-ს აღმასკომს ჯერ არჩევნების თარიღი არ დაუთქვამს, არის ვარაუდი, რომ ის 1 ოქტომბერს გაიმართება.

ლევან კობიაშვილი საქართველოში 29 ივნისს დაბრუნდა და აქტიური საარჩევნო კამპანიის წარმოებას აპირებს.

გრიგოლ ბედიაშვილი „ვიტ ჯორჯიაში“ დაბრუნდა

როგორც „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, გამოცდილი მეკარე, გრიგოლ ბედიაშვილი, ისევ „ვიტ ჯორჯიაში“ დაბრუნდა, თუმცა, ამჯერად, მწვრთნელის რანგში.

ბედიაშვილმა „ვიტ ჯორჯიაში“ რამდენიმე წელი ითამაშა და 2008-2009 წლების სეზონში ჩემპიონობაც იზეიმა გუნდთან ერთად. ბედიაშვილს, საქართველოს თასი და სუპერთასიც მოუგია.

რუსთავის „მეტალურგში“ განვითარებული მოვლენების ფონზე, მეკარემ კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო და ამიერიდან, მიღებულ ცოდნას ახალგაზრდებს მოახმარს. მას „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, თუმცა გუნდი უკვე შეიკრიბა და მეკარეებს სწორედ ბედიაშვილი ავარჯიშებს.

გიორგი მერებაშვილი „ვერიაში“ გადადის

28 წლის ქართველი ნახევარმცველი, გიორგი მერებაშვილი, რომელმაც გასული სეზონის მეორე წრე კრეტას „ოფში“ გაატარა, კვლავ საბერძნეთში ბრუნდება.

მერებაშვილის და ლორიას გუნდი, ფინანსური კრიზისის გამო დაიშალა და გავარდა კიდეც სუპერ ლიგიდან. შემტევის ყოფილი გუნდელი, გიორგი ლორია საბერძნეთში დარჩა და „ოლიმპიაკოსთან“ მოაწერა ხელი. როგორც ჩანს, მერებაშვილიც საბერძნეთში აპირებს დაბრუნებას.

ფეხბურთელს „ვერია“ ეპატიჟება, რომელმაც გასული სეზონი მე-14 ადგილზე დაასრულა. ფეხბურთელი ჩასული იყო საბერძნეთში და კლუბის მესვეურებს შეხვდა. „ვერიას“ მერებაშვილთან ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურს. გადავა თუ არა ახალ „ვერიაში“ მერებაშვილი, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა მიზნით გაჰქონდათ თურქეთის საზღვარზე ამოღებული რადიოაქტიური ნივთიერება?!

EXCLUSIVE



ლერი მესხი: „არ არის მიზანშეწონილი ამ საცავზე ხმამაღლა საუბარი“

„აშშ-ს შეიარაღებული ძალებიდან ჩამოსული იყო სპეციალური ჯგუფი და საიდუმლო ოპერაცია ჩაატარა“

მირიან ბოქოლიშვილი

19 ივნისს სარფის საბაჟოზე თურქმა მესაზღვრეებმა საქართველოს ორი და თურქეთის ერთი მოქალაქე რადიოაქტიური ნივთიერების გადატანის ფაქტზე დააკავეს. თურქული მედიის ინფორმაციით, მათ თურქეთის ტერიტორიაზე განსაკუთრებით საშიში ნივთიერება – 236 გრამი ცეზიუმი გადაჰქონდათ. ასევე, ამოღებულია 50 გრამი წითელი ვერცხლის წყალი და ფერადი ქვები, საერთო ღირებულებით 2,5 მილიონი დოლარი.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში თითქმის ყველა რადიაციული კერა გამოკვლეულია და რადიოაქტიური ნივთიერებები სპეციალურ საცავში დიდი ხნის წინათ მოათავსეს, ჩნდება კითხვა, როგორ აღმოჩნდა ამ რაოდენობის ცეზიუმი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე? რა მიზნით გადაჰქონდათ საშიში ნივთიერება თურქეთში და სად იყო ტვირთის საბოლოო დანიშნულების ადგილი? „პრაიმტაიმი“ ამ თემაზე ექსპერტებსა და სპეციალისტებს ესაუბრა, თუმცა მანამდე გეტყვით, რომ თურქმა მესაზღვრეებმა მოქალაქეების ჩხრეკა მას შემდეგ გადაწყვიტეს, როცა სპეციალურმა მონყობილობამ საზღვარზე რადიაციული ფონის მატება დააფიქსირა. ჩამორთმეული ნივთიერებები თურქეთის ბირთვული კვლევის ცენტრში გადაიტანეს, დაკავებული საქართველოს მოქალაქეები კი იზოლატორში მოათავსეს.

ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ხსენებული ნივთიერება საქართველოში ოკუპირებული აფხაზეთიდან, ან ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსულიყო, საქართველოდან თურქეთში, თურქეთიდან კი ტერორისტული დაჯგუფებების, მათ შორის „ისლამური სახელმწიფოს“ ხელში აღმოჩენილიყო.

„მწვანეთა მოძრაობის“ ლიდერი გია გაჩეჩილაძე „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ ჩვენს გარშემო, განსაკუთრებით რუსეთში, უამრავი რადიაციული ნივთიერება და ნარჩენია. ქალაქ გროზნოსთან კი არის დახურული სპეცობიექტი „რადონი“ – რადიაციული ნივთიერებების სამარხი. ყოფილ საბჭოთა კავშირში ის ერთ-ერთ დიდ სამარხად ითვლებოდა. იქ ინახება 1000 კუბური მეტრი რადიაციული ნივთიერება.

„ჩრდილოეთ კავკასიაში არსებობს უზარმაზარი რადიაციული სამარხი, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. იქ ინახება ძალიან დიდი რაოდენობით რადიოაქტიური ნივთიერებები მთელი პოსტსაბჭოთა სივრციდან. არ არის გამორიცხული, სხორედ ამ ობიექტიდან მოხვედრილიყო ვიღაცის ხელში“, – ამბობს გია გაჩეჩილაძე.

ამ კონტექსტში „მწვანეების“ ლიდერი იხსენებს წლების წინათ, საქართველოში იტალიელი ჟურნალისტის, ანტონიო რუსოს მკვლელობას, რომელიც, მისივე ვარაუდით, ჩეჩნეთის რადიაციული სამარხის შესახებ ჟურნალისტის მიერ მოპოვებულ საიდუმლო ინფორმაციას უკავშირდებოდა.

„წლების წინათ საქართველოში მოკლეს იტალიელი ჟურნალისტი ანტონიო რუსო. ის აშუქებდა ჩეჩნეთის ომს. საქართველოში მან ჩამოიტანა ვიდეომასალები და მტკიცებულებები. ჩვენ მაშინ მოვაწყვეთ ჩეჩნეთისა და საქართველოს მწვანეების ერთობლივი კონფერენცია. ამ ღონისძიებაზე გამოვიდა ანტონიო რუსო და წარმოადგინა ეს მასალები, სადაც საუბარი იყო ჭუჭყიან ბომბებსა და რადიოაქტიურ ნივთიერებებზე. ამ კონფერენციიდან მალევე ანტონიო რუსო მოკლეს. სახლიდან მოიტაცეს, გზაზე დააწვინეს და ორჯერ გადაატარეს სატვირთო მანქანა, შესაბამისად, გაქრა მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, ფაილები, კომპიუტერი. აშკარა იყო რუსული „გრუ“-ს ხელწერა“, – აცხადებს გია გაჩეჩილაძე.

ის ასევე არ გამორიცხავს, რომ საქართველოში ცეზიუმი ოკუპირებული აფხაზეთიდან შემოეტანათ, ვინაიდან „იქ არსებობს ერთ-ერთი გასაიდუმლოებული ფიზიკის ინსტიტუტი, სადაც ახლაც ინახება რადიოაქტიური ნივთიერებები“.

გაჩეჩილაძე დასაშვებად მიიჩნევს აზრს, რომ რადიოაქტიური ნივთიერებების გადატანით იგივე ჯგუფი იყოს დაკავებული, ვისაც თურქეთის გავლით საქართველოდან „ისლამურ სახელმწიფოში“ მებრძოლები გადაჰყავს.

„რატომ არ მოხდა ქართული მხარის მიერ აღმოჩენა და შესაბამისი რეაგირება? ეჭვი მაქვს, რომ ეს ოპერაცია შეთანხმებული იყო თურქ კოლეგებთან, რადგან ამ მიმართულებით თურქულ მხარეს გამოძიების უფრო სერიოზული პრაქტიკა აქვს. ეს გადაწყვეტილება, დარწმუნებული ვარ, სუფთა საგამოძიებო, ტაქტიკური მიზნებიდან გამომდინარე იქნა მიღებული. ამ ნივთიერების საბოლოო დანიშნულების წერტილი შესაძლოა, ყოფილიყო რომელიმე ტერორისტული ჯგუფი. ამას, ალბათ, თურქეთის სპეცსამსახურები გაარკვევენ. არ გამოვრიცხავ, ეს იგივე ჯგუფი იყოს, ვინც ისლამურ სახელმწიფოში ხალხის გადაყვანით არის დაკავებული“.

გაჩეჩილაძე ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნევს, რომ რადიოაქტიური ნივთიერება საქართველოში, ყოველ შემთხვევაში ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ყოფილიყო შენახული, რადგან მისი თქმით, სახელმწიფომ ევროკავშირის დახმარებით ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს ჩაატარა მონიტორინგი და ყველა რადიაციული კერის გაუვნებელყოფა მოახდინა.

„ძირითადად იქ, სადაც რუსეთის სამხედრო ბაზები იყო განთავსებული დატოვებული გახლდათ რადიოაქტიური ნივთიერებები. შემდეგ ეს ტერიტორიები გაიწმინდა. ყველაზე საშიში მაინც მცხეთის რეაქტორი იყო, სადაც ურანი ინახებოდა. ის ამერიკელებმა გაიტანეს. აშშ-ს შეიარაღებული ძალებიდან ჩამოსული იყო სპეციალური ჯგუფი და მათ საიდუმლო ოპერაცია ჩაატარეს – ურ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამუკა არეშიძე: „სარწმუნოა, რომ აფხაზეთის გავლით შემოვიდა და გაჰქონდათ თურქეთში“

ანი ამოიღეს და წაიღეს“, – აცხადებს გაჩეჩილაძე.

საქართველოში განლაგებულ რუსეთის სამხედრო ბაზების ტერიტორიაზე რადიოაქტიური ნივთიერებები ნამდვილად რომ იყო ჩამარხული, ამის არაერთი მტკიცებულება არსებობს. 2003 წელს იყო შემთხვევა, როდესაც ვაზიანის სამხედრო ბაზიდან ცეზიმუმ 137-ით დატვირთული სამი კონტეინერი დაიკარგა. ამ ბაზაზე წლების განმავლობაში სწორედ რუსეთის სამხედრო შენაერთები იყო განლაგებული და საშიში ნივთიერებაც, სავარაუდოდ, სწორედ მათ მიერ იქნა დატოვებული. ბაზა საქართველოს ოფიციალურად 2001 წელს გადმოეცა. მაშინ რადიოაქტიური ნივთიერებების გაუჩინარების ფაქტზე სამხედრო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეც აღძრა, თუმცა დღემდე უცნობია, მიეცა თუ არა ვინმე ამ საქმეზე პასუხისგებაში.

ექსპერტი მამუკა არეშიძე „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ საქართველოში რადიოაქტიური ნივთიერებების მცირე რაოდენობით აღმოჩენა ხდება ხოლმე, თუმცა ეს საკმაოდ იშვიათად, რადგან ჩვენი ქვეყნის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სერიოზული კერები აღარ არსებობს. არეშიძე ვარაუდობს, რომ სარფის საბაჟოზე ამოღებული ცეზიუმი, სავარაუდოდ, აფხაზეთის ტერიტორიიდან შემოვიდა.

მამუკა არეშიძე, ექსპერტი:

– არა მგონია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ცეზიუმის წარმომავლობა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უნდა ვეძიოთ. არ გამორიცხავ, რომ ეს იყოს აფხაზეთი ან ჩრდილოეთ კავკასია. უფრო სარწმუნოა, რომ აფხაზეთის გავლით შემოვიდა და გაჰქონდათ თურქეთში. არ არის გამორიცხული აფხაზეთიდან შემოსულიყო, აქ შეეძინათ და შემდეგ გადაჰქონდათ თურქეთში. ეს არის ვერსიები, რომელსაც სამართალდამცავები, ალბათ, ამუშავებენ. ჩემთვის ცნობილია, რომ 90-იან წლებში ასეთი მარშრუტი ნამდვილად არსებობდა. გასულ წლებში, ერთხელ საკმაოდ დიდი პარტია გავიდა თურქეთში.

– საბოლოო დანიშნულების ადგილი რა შეიძლებოდა ყოფილიყო?

– რომელი ქვეყანა იყო ამის მიმღები, უკავშირდება თუ არა ეს ტერორისტულ ჯგუფებს, ჯერჯერობით ამაზე საუბარი ძნელია, თუმცა გამორიცხვა არ შეიძლება. ასეთი ტიპის კონტრაბანდის ძირითადი მიმღები იყო მუსლიმანური, ძირითადად არაბული ქვეყნები, პაკისტანისკენაც წასული კვალი. შესაძლოა, იგივე სქემასთან გვაქვს საუბარი.

„რადიაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების ცენტრის“ ხელმძღვანელი ლერი მესხი კი ვარაუდობს, რომ სარფის საბაჟოზე დაკავებული მოქალაქეები, უბრალოდ, გაუთვითცნობიერებული არიან რადიოაქტიურ ნივთიერებებში, რადგან საუბარი იმაზე, რომ შავ ბაზარზე ცეზიუმის გაყიდვით მილიონები იშოვება, მხოლოდ მითია. სპეციალისტის თქმით, ცეზიუმის გამოყენება რადიაციული ტერორიზმისთვის შესაძლებელია, თუმცა მას ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნია, რომ რეალურად ამ მიზნით გაჰქონდათ ქვეყნიდან აღნიშნული ნივთიერება.

ლერი მესხი, „რადიაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების ცენტრი“:

– საუბარი იმაზე, რომ რაღაც მილიონებთან არის დაკავშირებული ეს ყველაფერი, არის მტკნარი სისულელე და უცოდინრობა. 2000-იანი წლების დასაწყისში მოდაში შემოვიდა ეს ბიზნესი, ფარულად ეძებდნენ მყიდველებს და სინამდვილეში ციხეში მიდიოდნენ. დღეს ცეზიუმის რაიმე მნიშვნელოვანი კერა საქართველოში არ არსებობს. საქართველოში ყველა აქტიური წყარო შეგროვილია და შენახულია სპეციალური ნესით. გარემოს დაცვის სამინისტროში არსებობს სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც ამას უზრუნველყოფდა. ამჟამად უპატრონოდ არსად არ ყრია ეს ნივთიერება. არსებობს ცენტრალური საცავი. დროებითია, მაგრამ იმედი მაქვს, იქნება დაფინანსება და აღდგება სამარხი, სადაც ეს ყველაფერი გადავა.

– მაშინ, როგორ აღმოჩნდა ამ ადამიანების ხელში ეს ნივთიერება?

– საბჭოთა კავშირის შემდეგ ამას ყურადღება საერთოდ არ ექცეოდა. ხალხმა დაიტაცა რაღაც-რაღაცები. ზოგ შემთხვევაში ეს ნივთიერება აღმოჩნდა უცოდინრების ხელში, რომელთაც მოინდომეს, სარგებელი ენახათ, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, დღეს ცეზიუმი არავის არაფერში არ სჭირდება. მცდარი წარმოდგენაა, თითქოს ეს ნივთიერება ურანის წარმოებისთვის გამოიყენება, პირიქით, ეს მიიღება ურანის დაშლის შედეგად. დღეს ამას უფრო ენერგიის მისაღებად იყენებენ, ტექნოლოგიებში, იქნება ეს მილგაყვანილობები, შედუღებების საკონტროლოდ და ა.შ. თუმცა უკვე არსებობს გაცილებით უკეთესი საშუალებები.

– დანაშაულებრივი მიზნებისთვის რამდენად შეიძლება ამის გამოყენება?

– ეს უკვე სხვა საკითხია. სწორედ მაგიტომ ებრძვის მთელი მსოფლიო რადიაციულ ტერორიზმს. მაგალითად, თუ სკამის ქვეშ დაუდებ მანქანაში და ა.შ., კი ბატონო, ასეთი ტერორისტული აქტებისთვის შესაძლებელია გამოიყენონ, 90-იანი წლების დასაწყისში იყო ამის რამდენიმე შემთხვევა რუსეთში. მაგრამ ის, რომ დაადგროვო და ჭუჭყიანი ბომბები გააკეთო, თითქმის გამორიცხულია.

– არსებობს თუ არა საქართველოში სადმე რადიაციული კერა?

– ქვეყანაში არსებობს დროებითი რადიაციული საცავი. ის ისეა დაცული, რომ აბსოლუტურად გამორიცხულია რაიმე გართულება. ეს ტერიტორია ყველანაირად დაცულია, შესაბამისი ტექნიკით, იარაღით, სათვალთვალო აღჭურვილობით. არ არის მიზანშეწონილი ამ საცავზე ხმამაღლა საუბარი.

ჩვენ ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ გარემოს დაცვის მინისტრს გიგლა აგულაშვილსაც. მისი განცხადებით, რადიოაქტიური ნივთიერებებისა და ზოგადად, რადიაციული ფონის თვალსაზრისით ქვეყანაში რაიმე საფრთხეს არ უნდა ველოდოთ.

„ჩვენ გვაქვს კონკრეტული სამსახური და უახლოეს მომავალში გვექნება ცვლილებები ამ მიმართულებით. იგეგმება საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნა. საქართველო ამ თვალსაზრისით მაღალი საფრთხით არ გამოირჩევა, თუმცა კერები არსებობს. რაც შეეხება ცეზიუმს, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: არსებობს ცეზიუმ 137, 135 და 133. ეს რომ ყოფილიყო ცეზიუმ 137, რომლის გამოსხივებაც უფრო ინტენსიურია, ასეთ შემთხვევაში მისი აღმოჩენა ძალიან ადვილია, ანუ ის აპარატურა, რომელიც ჩვენთან არსებობს, მას აღმოაჩენდა. ცეზიუმ 135-ს კი, რომელიც იქნა აღმოჩენილი, არ ახასიათებს ასეთი ინტენსიური გამოსხივება, ამიტომ მისი აღმოჩენა ამ აპარატურით პრაქტიკულად შეუძლებელია. კადრებში, რაც თურქეთის ტელევიზიამ გაავრცელა, ჩანს, როგორ იხსნება კონტეინერი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საუბარია ცეზიუმ 135-ზე, რომლის აღმოჩენისთვის სხვა ტიპის წყაროები და ინფორმაციებია საჭირო. ჩვენ ასეთი საკითხების იდენტიფიცირებისას ვთანამშრომლობთ შსს-თან, უსაფრთხოებისა და უშიშროების სამსახურებთან. ჩვენ რაც გვავალია, ეს არის მონიტორინგი, მათ შორის სამკურნალო დაწესებულებებში, რენტგენოლოგიური აპარატურის, ამ შემთხვევაში არსებობს თავისი წესები, ანგარიშები. შემიძლია ვთქვა, რომ მომატებული საფრთხე ამ თვალსაზრისით ჩვენს მოქალაქეებს არ აქვთ“, – განაცხადა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გიგლა აგულაშვილმა.



გია გაჩეჩილაძე: „არ გამოვრიცხავ, ეს იგივე ჯგუფი იყოს, ვინც „ისლამურ სახელმწიფოში“ ხალხის გადაყვანით არის დაკავებული“

გიგლა აგულაშვილი: „საქართველო ამ თვალსაზრისით მაღალი საფრთხით არ გამოირჩევა, თუმცა კერები არსებობს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ევროპელი ექი

ევექსი

სამედიცინო კორპორაცია

გიორგი ურუშაძე

ევროპელი ექიმები, რომლებიც ქართული მედიცინის განვითარებისთვის იღვწიან, „სამედიცინო კორპორაცია „ევექსში“ მუშაობენ. სამივე მათგანი საკუთარი საქმის პროფესიონალია.

მარია ლიპკა საკუთარ ცხოვრებაზე, პროფესიულ მიღწევებსა და მიზნებზე გვესაუბრა.

კარიერა და უცხოური გამოცდილება

ყოველთვის მინდოდა პედიატრობა და ეს სურვილი ავიხდინე. რეზიდენტურა ვარშავაში, სამედიცინო უნივერსიტეტში დავამთავრე; მერე მუშაობა, თირკმლის გადანერგვის ცენტრში დავიწყე. იქ 8 წელი გავჩერდი, შემდეგ საქართველოში გადმოვედი. ვმუშაობდი ჯერ პედიატრად, შემდეგ უკვე ნეფროლოგის ლიცენზია ავიღე. ახლა ამბულატორიაში ვმუშაობ, როგორც ბავშვთა ნეფროლოგი.

თავიდან პოლონეთში თირკმლის გადანერგვის ცენტრში ვმუშაობდი, იმიტომ რომ, ძალიან მაინტერესებდა ბავშვთა ნეფროლოგია, მაგრამ განათლების სქემა ასეთია, რომ სპეციალიზაციამდე ჯერ პედიატრი უნდა გახდე. ამიტომ, პარალელურად პედიატრად ვმუშაობდი. ადრეული ასაკის ბავშვებს ვმკურნალობდი კლინიკაში და ასევე, რეზიდენტურას გავდიოდი. ერთდროულად ვმუშაობდი უმცროს ექიმად თირკმლის გადანერგვის ცენტრში და მერე, როცა უკვე დავამთავრე სწავლა, იქვე დავიწყე მუშაობა, როგორც ტრანსპლანტოლოგმა. ამას გარდა, პაციენტიებს ვეხმარებოდით თირკმლის დაავადებების მკურნალობაში. ეს იყო თანდაყოლილი ანომალია, ნეფროზული სინდრომები თუ თირკმლის სხვა დაავადებები. 2004-ში დავიწყე მუშაობა პოლონეთში და 2011-ში უკვე საქართველოში გადმოვედი. თუმცა გარკვეული პერიოდი ირლანდიაშიც ვმუშაობდი. იქ ლიცენზირებული ექიმი ვარ. ეს პერიოდი ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

ასევე პოლონეთში, მცირე ასაკისა და მცირე წონის ბავშვებისთვის, საერთაშორისო რეესტრის კოორდინატორი ვიყავი. ვგულისხმობ იმ ბავშვებს, რომლებიც დიალიზზე იმყოფებოდნენ. პოლონეთში ჩვენი ცენტრი მთელი მსოფლიოს და ქვეყნის მასშტაბით იყო ცნობილი. ჩემი თანამდებობა კი ძალიან საპასუხისმგებლო გახლდათ.

„ევექსი“

„ევექსში“ მე ვარ ბავშვთა განყოფილებაში, პედიატრიული მომსახურების კოორდინატორი. ჩვენ ვცდილობთ საქართველოში დავნერგოთ ევროპისა და განვითარებული მსოფლიოს მკურნალობის სტანდარტები. ჩემი სფერო არის პედიატრია. პედიატრიულ პოპულაციაში ყველაზე მთავარი არ არის მკურნალობა, ყველაზე მთავარი არის პროფილაქტიკა. ჩვენი მიზანია, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ბავშვის ჯანმრთელობა. მაგალითად, ნეფროლოგიაში ჩვენი მიზანი არ უნდა იყოს, რომ ბავშვს გადავუნერგოთ თირკმელი, ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რომ ბავშვს ვუმკურნალოთ. ჩვენ ვატარებთ ტრენინგებს პედიატრებისთვის და ოჯახის ექიმებისთვის რეგიონებში, რათა სტანდარტებმა კიდევ უფრო მაღლა აიწიოს. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ჩვენი მომსახურება იყოს მსოფლიო დონეზე. ჩვენი ექიმები სულ მონაწილეობენ კონფერენციებში, ტრენინგებში.

ბუბა კალანდაძე

მარია ლიპკა

თვითონ „ევექსში“ ძალიან მეგობრული გუნდია. მმართველი გუნდი თავადაა დაინტერესებული, რომ „სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ ყველაზე ძლიერი იყოს.

ბუბა კალანდაძე

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 4 წელი ვიყავი ბაკულევის ინსტიტუტში ახალშობილთა კარდიოქირურგიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი ლადო ალექსი-მესხიშვილი.

1993 წელს პროფესორ ლუციო პარენზანის მოწვევით სპეციალიზაციის ასამაღლებლად ჩავედი იტალიაში ბერგამოს კარდიოქირურგიის ცენტრში, სადაც გაიხსნა „International Heart School“, სხვათა შორის, ამ სკოლაში პროფესორმა პარენზანმა ჩემი და ლადო ალექსი-მესხიშვილის რეკომენდაციითა და დახმარებით, 30-მდე ქართველი ექიმი მოამზადა. აქ 2 წელი გავატარე და შემდეგ 95-დან 99-მდე ვმუშაობდი პედიატრიული კარდიოქირურგიის წამყვან ცენტრებში, როგორიცაა Alder Hey children's Hospital, ლივერპული; Royal Children's Hospital, მელბურნი. 1998-ში იტალიაში დაბრუნების შემდეგ 2002 წლამდე ვიმუშავე ბერგამოში პედიატრიულ კარდიოქირურგიაში და 2002-დან ვმუშაობდი Policlinoci di Monza-ში დიდების კარდიოქირურგიაში. აქ განსაკუთრებული აქცენტი მქონდა მინიინვაზიურ მეთოდებზე და იტალიაში ერთ-ერთმა პირველმა გამოვიყენე „suturless Aortic Valve“ და მოზრდილებში თანდაყოლილი მანკების მინიტორაცოტომიით კორექცია.

პარალელურად ვთანამშრომლობ საერთაშორისო მისიებში, როგორიცაა „La chaine de l'espoir“ და „Heart of Children“, მათთან ერთად ვმუშაობდი კამბოჯაში, ჩინეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. „Heart of Children“ თბილისშიც იყო უკვე ორჯერ და „ევექსის“ ჯგუფთან აპირებენ თანამშრომლობის გაგრძელებას.

საქართველოში უკვე დიდი ხანია ვთანამშრომლობდი სხვადასხვა კლინიკებთან, მაგრამ მხოლოდ 2014 წელს ამ თანამშრომლობას მიეცა ოფიციალური და სისტემატური ხასიათი, „ევექსის“ ჯგუფთან დადებული ხელშ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მეზი „ევექსში“

ეკრულებით. თანამშრომლობა ეხება, როგორც დიდების, ასევე პედიატრიული კარდიოქირურგიის განვითარებას. ამოცანა საკმაოდ რთულია და ამიტომაც საინტერესო. ორივე დარგი ეტაპობრივად უნდა განვავითაროდ, რისთვისაც შევიმუშავეთ განვითარების გეგმა, რომელშიც წლების მიხედვით განერილია მისაღწევი ამოცანები.

კარდიოქირურგიის გასავითარებლად ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ტექნიკური ბაზა, უახლესი ტექნოლოგიებისა და ძვირადღირებული მასალების გამოყენება, ასევე ადამიანური რესურსი, ანუ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. „ევექსი“ ყველანაირად მიწყობს ხელს, რომ რაც შეიძლება ეფექტურად გადაიჭრას ყველა პრობლემა. იაშვილის საავადმყოფოში ივლისში ვხსნით პედიატრიულ კარდიოქირურგიას და ქართველი ანესთეზიოლოგების, ინტენსივისტების და კარდიოლოგების სტაჟირება ბერგამოში მოხდება. „ევექსმა“ ერთი წლით დააფინანსა მათ მომზადებისთვის საჭირო თანხები.

ასევე დიდების კარდიოქირურგიაში (ბათუმი, ქუთაისი), მინდა დავნერგოთ მინიინვაზიური მეთოდით, გულის სარქველებზე ოპერაციები და ამ პროექტის განხორციელებაშიც „ევექსი“-სგან დიდი მხარდაჭერა მაქვს.

ბოლოს კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა კადრების მომზადების პრობლემას. უნივერსიტეტებიდან სპეციალიზაციამდე, მთელი პროცესი დასახვეწია და კარგად დასაგეგმი. „ევექსმა“ ეს პროცესი უკვე დაიწყო და მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ქვეყანა, რამდენიმე წელიწადში, მედიცინის მსოფლიო სტანდარტებს მიუახლოვდება.

ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ყოველწლიურად საერთაშორისო კონგრესის ჩატარება, სადაც მსოფლიოში წამყვან სპეციალისტებთან ერთად ვიმსჯელებთ კარდიოლოგიისა და კარდიოქირურგიის მიღწევებსა და მომავალზე.

ალფონსო რეკორდარე

„ჩემი ამბავი არც ისე გრძელია“
ალფონსო რეკორდარე

- მე დავიბადე პალმიშში, სამხრეთ იტალიის ძალიან ლამაზ პატარა ქალაქში, მაგრამ, ისევე როგორც ბევრი სამხრეთ იტალიელი და ბევრი ქართველი, სასწავლებლად სხვაგან გავემგზავრე. განათლება ბოლონიის უნივერსიტეტში მივიღე, რომელიც მსოფლიოში უძველესი უნივერსიტეტია. ჯერ კიდევ სტუდენტობისას მოვიხიბლე იმ ახალი უკიდეგანო შესაძლებლობებით, რომლებიც ქირურგიის სფეროში იხსნებოდა და ვიყავი ერთადერთი სტუდენტი, რომელიც დაუშვეს ჩვენს კლინიკაში ჩატარებული ღვიძლის გადანერგვის პირველი ოპერაციის დროს. ეს იყო 1986 წლის 10 აპრილს. ამის შემდეგ აქვე გავიარე რეზიდენტურა და ჩემი დირექტორების, პროფესორ გოზზეტისა და პროფესორ კავალარის ზედამხედველობით ჩართული ვიყავი იმ მოწინავე ტექნოლოგიებში, როგორიცაა ღვიძლისა და თირკმელის ტრანსპლანტაცია, ღვიძლისა და პანკრეასის ქირურგიული ოპერაციები. ეს იყო სფერო, რომელიც იმჟამად ვითარდებოდა. ამავდროულად, ჩემს უნივერსიტეტს ჰქონდა ექსპერიმენტული ქირურგიის ერთ-ერთი ყველაზე კარგად აღჭურვილი განყოფილება და ჩვენი ჩვეული სამუშაოს შემდეგ დიდ დროს ვუთმობდით კვლევას. გვქონდა შესაძლებლობა, შეგვესწავლა ისეთი საკითხები, როგორიცაა ხიმერიზმი, ორგანოების მოპოვებისა და რეზერვაციის პრობლემა, ულტრაბგერის ინტრაოპერაციული გამოყენება, ლაპაროსკოპია და ა.შ. შემდეგ გადავედი დაახლოებით 1100 საწოლზე გათვლილ ტრევისოს ჰოსპიტალში, ზოგადი და გადაუდებელი ქირურგიის განყოფილებაში, სადაც ღვიძლისა და პანკრეასის დაავადებების მიმართ იყო განსაკუთრებული ინტერესი და დავიწყე მუშაობა პროფესორ ბასის ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში მქონდა შესაძლებლობა, მემოგზაურა საფრანგეთში, გერმიანიასა და იაპონიაში, რათა გამეუმჯობესებინა ქირურგიაში ჩემი ცოდნა და უნარები. 2002 წელს, როდესაც ვიმყოფებოდი იაპონიაში, ოსაკას კიბოს ინსტიტუტში, მე კვირაში ორი დღე ჩავდიოდი კიოტოში და ვიყავი პროფესორ ტანაკას - ცოცხალი დონორისგან ღვიძლის ტრანსპლანტაციის სფეროში ყველაზე მეტად სახელგანთქმული ქირურგის - გუნდის წევრი. ალბათ, ვერასდროს გამოვხატავ საკმარის მადლიერებას იაპონელების მიმართ იმისთვის, რაც მათთან ვისწავლე. ასე რომ, მე მაქვს ფართო გამოცდილება, როგორც ზოგად და გადაუდებელ ქირურგიაში, ასევე ლაპარასკოპიულ ქირურგიაში და ვიყავი პირველი ექიმი მსოფლიოში, რომელმაც გამოიყენა რადიო სიხშირეების ტექნოლოგია ღვიძლის ტრავმისა და ღვიძლის სისხლმდენი კიბოს მართვის სფეროებში.

ჩემს კარიერაში ყველაზე დიდ პროფესიულ კმაყოფილებას მანიჭებს ჩემი საქმიანობა სწავლების სფეროში. მე გავხდი მასწავლებელი იტალიურ სასწავლებელში ტურინში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი კაპუზოტი და ასევე, ბალკანეთის ომის შემდეგ პერიოდში, ჩართული ვიყავი კოსოვოში ტრენინგპროგრამაში, სადაც 2007 წელს განვახორციელე ქვეყანაში ღვიძლის რეზექციის პირველი მსხვილი პროექტები. ჩემს ჰოსპიტალში მრავალ რეზიდენტს გადავცემდი ცოდნას და ისინი თავიანთ პრაქტიკაში ჩატარებული პირველი აპენდექტომიიდან გაიზარდნენ ონკოლოგიურ ქირურგიამდე. ბევრი მათგანი გახდა ძალიან კარგი ქირურგი იტალიის სხვადასხვა საავადმყოფოში.

- როდის გადმოხვედით საქართველოში?

- ეს იყო გასული წლის ივლისში, როდესაც აქ, ბათუმში, შევხვდი პროფესორ კახა კაშიბაძეს და „ევექსის“ოფისის ხელმძღვანელს. კახა იზმირში გატარებული გარკვეული პერიოდის შემდეგ აპირებდა ინდოეთში წასვლას ღვიძლის ტრანსპლანტაციის სფეროში ტრენინგის გასავლელად და განზრახული ჰქონდა ამ პროგრამის დაწყება. ასე რომ, მე ჩამოვედი ბათუმში გასული წლის 10 დეკემბერს - ღვიძლის პირველ გადანერგვამდე სულ რამდენიმე დღით ადრე.

- ბათუმში რა სფეროში მუშაობთ?

- მე ჩართული ვარ ღვიძლის და პანკრეასის პრობლემების მქონე პაციენტების მართვაში, თუმცა ჩვენ ასევე ერთად ვმუშაობთ ზოგად ქირურგიაშიც.

- თქვენი ჩამოსვლის შემდეგ საქართველოში განხორციელებული პროექტები?

- მე მაქვს „ევექსისა“ და ადგილობრივი გუნდის სრული მხარდაჭერა სამუშაოში. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია, გვქონდეს ძალიან ამბიციური პროგრამები და ჩვენ 4 სხვადასხვა მიმართულებით მივდივართ. პირველი მიმართულება, და ჩვენი პროგრამის მწვერვალი, არის ტრანსპლანტაციების პროგრამა, რომელიც მოითხოვს ძალიან ბევრ რესურსსა და ბევრ სხვადასხვა სპეციალისტს. ამიტომაც არის, რომ ამის განხორციელება შეუძლებელია ძლიერი ორგანიზაციის გარეშე. ამას გარდა, ამ პროგრამით სარგებლობა შეეძლებათ პაციენტებს მეზობელი ქვეყნებიდან, სადაც ამგვარი მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი.

მეორე პროგრამა არის ონკოლოგიური პროგრამა - მკურნალობის ინტეგრირება, ქირურგების, ონკოლოგების, რადიოლოგების და სხვა სპეციალისტების ჩართულობით განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ღვიძლის, სანაღვლე გზების, პანკრეასის და სწორი ნაწლავის კიბო. „ევექსმა“ გახსნა ახალი ონკოლოგიური ცენტრი ქუთაისში და ეს დიდ იმპულსს მისცემს აღნიშნულ პროგრამას. ჩემი იდეაა, მოხდეს მკურნალობის სტანდარტიზება, რათა ყველა ექიმი ამ დაავადებების შესახებ ერთ ენაზე საუბრობდეს.

მესამე თემაა უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებთან ტექნოლოგიური სხვაობის შემცირება.

მეოთხე მიმართულებაა პაციენტისადმი სხვა კუთხით მიდგომა. ვგულისხმობ იმას, რომ პაციენტები, განსაკუთრებით ონკოლოგიური პაციენტები, მეტად უნდა აცნობიერებდნენ მდგომარეობას და მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი მკურნალობის პროცესში. ამ თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია კარგი შედეგების მიღწევა. ხშირად, ოპერაცია არის მხოლოდ ერთი საფეხური მკურნალობის გრძელ პროცესში და ხშირ შემთხვევაში ის არ არის სასწრაფოდ გასაკეთებელი დაავადების სრული სურათის გაგებამდე. პაციენტისთვის არამხოლოდ ექიმის, არამედ მასთან მომუშავე პერსონალის ყველა წევრის მიერ მიწოდებული ინფორმაცია გადამწყვეტია. საჭიროა საუკეთესო მოვლის უზრუნველყოფა და პაციენტების დაცვა ტექნიკურად არაადეკვატური, რთული და ნაკლებეფექტური ოპერაციებიდან.

ასე რომ, მე ახლა „ევექსში“ ვარ და ქართული მედიცინის განვითარებაში ჩემი პატარა წვლილი შემაქვს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფანჯიკიძე VS რესპუბლიკელები

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი და „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი მაია ფანჯიკიძე „რესპუბლიკურ პარტიას“ აკრიტიკებს. გადაცემა „პოლიტარტში“ სტუმრობისას ფანჯიკიძემ რესპუბლიკელების კონფორმისტულ გადაწყვეტილებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ პარტიამ ბევრ პრინციპს უღალატა.

„ჩემი აზრით, რესპუბლიკელებმა უღალატეს ძალიან ბევრ პრინციპს. ამ პრინციპების გამო მე მათდამი მქონდა ძალიან დიდი სიმპათია. სამწუხაროდ, ახლა, ამ ბოლო პერიოდში ისეთ ნაბიჯებს ვხედავ რესპუბლიკელებისგან, რომელსაც მათგან ნამდვილად არ მოველოდი. მაგალითად, საარჩევნო სისტემის თაობაზე. ეს იყო პარტია, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა იმ შეხედულებას, რომ მაჟორიტარული სისტემა არის მანკიერი სისტემა და ეს უნდა შეიცვალოს. აღმოჩნდა, რომ ისინი ახლა ასე აღარ ფიქრობენ და ეს დიდი რეფორმა 2020 წლისთვის გადადეს. შეუერთდნენ მათ აზრს, ვისაც მიაჩნია, რომ 2016 წელს, ისევ ამ სისტემით უნდა ჩატარდეს არჩევნები, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების მთელი პროგრესული ნაწილი ამის წინააღმდეგია. არ მეგონა, რომ რესპუბლიკელები ასეთ კონფორმისტულ გადაწყვეტილებაზე წავიდოდნენ. მათ ადგილას ყოფნას არ ვისურვებდი“, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ და აღნიშნა, რომ თანამდებობაზე ყოფნა ყველაფრის ფასად არ შეიძლება.

პრეზიდენტი VS მთავრობა

საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის გიორგი აბაშიშვილის შეფასებით, საქართველოს ეროვნული ბანკიდან საბანკო ზედამხედველობის გამოყოფით ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება დაირღვა.

„საქართველოს პარლამენტის ოთხი კომიტეტის მიერ პირველი მოსმენით მიღებულ იქნა კანონპროექტი, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკიდან საბანკო ზედამხედველობის გამოყოფას შეეხება. კანონპროექტის შემუშავებაში არ ყოფილან ჩართულნი ექსპერტები ევროკავშირიდან, მათ შორის ევროპის ცენტრალური ბანკიდან, ისევე როგორც წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კანონპროექტზე საკუთარი ნეგატიური პოზიცია დააფიქსირეს მსხვილმა ბიზნესასოციაციებმა, წამყვანმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და დარგის ექსპერტებმა. სამწუხაროა, რომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებიდან თითქმის ერთი წლის თავზე დაირღვა ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების სტრუქტურაზე დაყრდნობით, წარმოადგენს 2014-2016 წლებში საქართველოსა და ევროკავშირის ერთობლივი მუშაობისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების სიას. გამომდინარე აღნიშნულიდან, დაირღვა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის #59 განკარგულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. ვინაიდან ასოცირების დღის წესრიგში და შემდგომ უკვე მთავრობის განკარგულებაში ნათლად წერია, რომ საქართველოს ცენტრალური ბანკის კანონმდებლობის გადასინჯვა უნდა განხორციელდეს ევროკავშირის ექსპერტიზით, მათ შორის ევროპის ცენტრალური ბანკის გამოცდილებაზე დაყრდნობით“, – განაცხადა აბაშიშვილმა.

„11 და 8 წლის

ერეკლე სტურუა

ჩემს რესპონდენტს თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს (ე.წ. რკინიგზის საავადმყოფო) ეზოში შევხვდი. ახალგაზრდა მამაკაცი ძალიან ღელავდა. ორი მცირეწლოვანი ბავშვი ახლობლებს ჩააბარა, თვითონ კი საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილებიდან ყოველ წუთს რაღაც დიდი უბედურების გაგებას ელის.

რომა სურმავას 38 წლის მეუღლე, ნატალია ჩუბკო ამჟამად რეანიმაციულ განყოფილებაში მართვით სუნთქვაზე იმყოფება და ნებისმიერ დროს შესაძლოა, პაციენტი აპარატიდან გამორთონ. ექიმები გადარჩენის არანაირ შანსს არ იძლევიან და ამბობენ, რომ ტვინი მთლიანად გათიშულია. არადა საავადმყოფოში მიყვანამდე ყველაფერი პირიქით იყო, პროგნოზებიც საკმაოდ დამაიმედებელი ჩანდა. ოჯახი დაარწმუნეს, რომ თავის ღეროზე არსებული სიმსივნური წანაზარდის ამოკვეთა ძალიან მარტივი ოპერაციაა და პაციენტი 3-4 დღეში სრულიად ჯანმრთელი ოჯახს დაუბრუნდებოდა, თუმცა მოულოდნელად ოპერაცია 3 საათის ნაცვლად 8 საათი გაგრძელდა, გაირკვა, რომ მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა – რა მოხდა ოპერაციის დროს? რატომ ებრძვის სიკვდილს 38 წლის ქალი, რომელსაც ექიმები სრულ გამოჯანმრთელებას უწინასწარმეტყველებდნენ? საკუთარი ეჭვების შესახებ თავად რომა სურმავამ გვიამბო, თუმცა ამ ეჭვებს, ალბათ, ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტო უფრო დეტალურად შეისწავლის. ოჯახმა შესაბამის უწყებებს მოკვლევის ჩატარების თხოვნით უკვე მიმართა.

რომა სურმავა, პაციენტის მეუღლე:

– ჩემს მეუღლეს ღეროზე ჰქონდა სიმსივნური წარმონაქმნი, მარცხენა თვალზე მხედველობა დააკლდა. თოდუას კლინიკაში გადავიღეთ თავის ტომოგრაფია. ყველანაირი ანალიზი წესრიგში ჰქონდა. გავიკითხეთ და გვირჩიეს მამა-შვილი – გოგი და ედიშერ მაღალაშვილები, როგორც ამ საქმის კარგი სპეციალისტები. მართლაც მოვიდეთ აქ. გოგი მაღალაშვილმა უხმო თავის ვაჟს, ედიშერს. ნახეს ტომოგრაფიის სურათები და გვითხრეს, – ეს არის იოლ ფორმებში, გართულებული არ არის. ასეთი ბევრი ოპერაცია გაგვიკეთებია და გეტყვით, რომ „კარგი“ გასაკეთებელი ოპერაცია არისო.

– რას ამბობდნენ – რამდენ ხანში გამოჯანმრთელდებაო?

– ხაზგასმით გვითხრეს, 3-4 დღეში კარგად იქნებაო, თვითონ ოპერაცია კი 3-4 საათი გაგრძელდებაო. როგორც აგვიხსნეს, ძალიან მოგვეწონა მათი რჩევა-დარიგება. 7 ივნისს დავაწვინეთ საღამოს, 8 ივნისს 11 საათზე დაიწყეს ოპერაცია, ველოდებოდი იმ 3-4 საათის გასვლას, მაგრამ არა და არ გამოვიდნენ. ოპერაცია გაგრძელდა საღამოს 8 საათამდე. შევწუხდით, მაგრამ გვეუბნებოდნენ, რომ მცირე სისხლდენები ჰქონდა, თუმცა ყველაფერი რიგზეა ახლა და სანერვიულო არაფერიაო.

– გოგი მაღალაშვილიც ესწრებოდა ოპერაციას?

– ოპერაცია უშუალოდ ედიშერ მაღალაშვილმა გაუკეთა. გოგი იძახდა, მე არ ვაკეთებ ასეთ ოპერაციებს, ახალგაზრდები გააკეთებენ, მაგრამ მეც დავესწრებიო. ასეთი ოპერაცია ძალიან ბევრი გაგვიკეთებია და ნუ ნერვიულობთო.

– ოპერაციის შემდეგ რა მდგომარეობაში იყო თქვენი მეუღლე?

– ნარკოზში იყო. ნარკოზიდან არ გამოვიყვანეთ, რადგან მაინც თავზე ჩატარდა ოპერაცია და რომ არ გაანძრიოს თავი, სჯობიაო. ასე უფრო მოშუმდებაო. მეორე დღეს, სამშაბათს, 11 საათზე გამხდარა ცუდად. რეანიმაციიდან დაურეკეს ექიმებს, შევხვდით მამა-შვილ მაღალაშვილებს და მხოლოდ მაშინ გვითხრეს, რომ მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო.

– აბა, იმედს რატომ გაძლევდნენ?

– აგვიხსნეს, რომ მოხდა გარკვეული შეფერხებები. ვკითხე, გადარჩენის შანსი რამდენია-მეთქი და მითხრა, 10 პროცენტიო. არადა თავიდან 100-პროცენტიან გარანტიას მაძლევდნენ. უმარტივესი ოპერაციაა. მაინტერესებს, რა მოხდა ისეთი, რამაც მდგომარეობა ასე შეცვალა.



„მივმართავ ჯანდაცვის სამინისტროს, შეისწავლონ ეს საქმე, მინდა გაირკვეს, რა გაუკეთეს ჩემს მეუღლეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„გოგონები მყავს. ბავშვები სტრესში არიან“

EXCLUSIVE

გოგი მაღალაშვილი: „მარტივი როგორ შეიძლება იყოს თავის ტვინის სიმსივნის ოპერაცია. საუბარი იყო იმაზე, რომ შანსები საკმაოდ დიდი ჰქონდა“

რომა სურმავა: „ველოდები, როდის გამორთავენ აპარატიდან და როდის მეტყვიან, – გარდაიცვალაო“

– რაზე გაქვთ ეჭვი?

– თვითონვე აღიარეს, რომ სისხლდენას ჰქონდა ადგილი. ვფიქრობთ, ოპერაციის დროს რაღაც ისე არ გაკეთდა და დაზიანდა მთავარი არტერია. სისხლდენა წავიდა, ტვინი დაითრომბა. ტვინმა მიიღო ინფარქტი, იშემია. პირველად რომ მივედით მაღალაშვილთან, ისიც ვკითხეთ, შესაძლო იყო თუ არა ოპერაციის გარეშე, მკურნალობით მომხდარიყო ამ ნანაზარდის გაწოვა? არა, ოპერაცია და ამოკვეთა აუცილებელია, რადგან შეიძლება საერთოდ დააბრმაოსო. ამიტომ ვენდეთ. ოპერაცია რომ არ გაგვეკეთებინა, დღეს ჩემი მეუღლე ასეთ მდგომარეობაში არ იქნებოდა. როგორც მინიმუმ, უფრო დიდხანს იცოცხლებდა, ახლა კი ვდგავარ აქ და ველოდები, როდის გამორთავენ აპარატიდან და როდის მეტყვიან, – გარდაიცვალაო. იმედს რომ გვაძლევდნენ, იმიტომ დავთანხმდით ოპერაციაზე, თორემ რომ მცოდნოდა, მოვლენები ასე განვითარდებოდა, ან ისრაელში წავიყვანდი, ან თურქეთში და ნორმალურად გავუკეთებდი ყველაფერს.

– ახლა რას გეუბნებიან აქ?

– ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვსო. ორი დღის წინ გვითხრეს, ერთ საათში მოკვდებაო. ტვინი აქვს გათიშულიო, პრაქტიკულად აპარატით აცოცხლებენ. ამბობენ, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, არაფერს ვაკლებთ, უფლის ნებაა ყველაფერიო. რეანიმაციის ექიმმა მითხრა, – ამაზე რთული ოპერაცია არ არსებობს და გაკვირვებული ვარ, რატომ გითხრეს, მარტივი ოპერაციააო.

– რაც შეეხება ფინანსურ მხარეს?..

– ჯერჯერობით რეანიმაციაში წოლის ფულს დაზღვევა გვინაზღაურებს, თუმცა აქ ფინანსებზეც არ არის საუბარი. თუ ასეთი მძიმე იყო, თავიდანვე ხომ უნდა მცოდნოდა. აუცილებლად მივმართავ ჯანდაცვის სამინისტროს, შეისწავლონ ეს საქმე, მინდა გაირკვეს, რა გაუკეთეს ჩემს მეუღლეს. თუ არავის დანაშაული არ არის, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ თუ ვინმემ რაიმე შეცდომა დაუშვა, ხომ უნდა ვიცოდე. არა იმიტომ, რომ ვინმე დაისაჯოს, უბრალოდ, მინდა ვიცოდე, რა მოხდა.

– ექიმი ედიშერ მაღალაშვილი, რომელმაც უშუალოდ გაუკეთა ოპერაცია, რას გეუბნებათ?

– ოპერაცია გაუკეთა და მეორე დღიდან თვალით აღარ გვინახავს. გვეუბნებიან, საზღვარგარეთ წავიდაო. ჩემი მეუღლე კი ახლა სიკვდილს ებრძვის. 11 და 8 წლის გოგონები მყავს. ბავშვები სტრესში არიან. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ვდგავარ აგერ და ყოველ წუთს ველოდები უბედურებას.

ერთი მხრივ, ამ მდგომარეობაში მყოფი ოჯახის ემოციური დამოკიდებულება გასაგებია, თუმცა, ალბათ, საინტერესოა თავად ექიმების არგუმენტებიც. ამ მიზნით ჩვენ ედიშერ მაღალაშვილთან დაკავშირება ვცადეთ, თუმცა საავადმყოფოში გვითხრეს, რომ ბატონი ედიშერი მართლაც საზღვარგარეთ იმყოფება კონფერენციაზე. ამის შემდეგ კი „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ ნეიროქირურგიული მიმართულების ხელმძღვანელს, გოგი მაღალაშვილს დავუკავშირდით.

– ბატონო გოგი, პაციენტ ნატო ჩუბკოს მდგომარეობა გვაინტერესებს...

– რა გითხრათ, აბა, უკიდურესად მძიმეა.

– ოჯახი ამბობს, რომ ოპერაციამდე თქვენ აძლევდით გარანტიას, რომ არანაირი გართულება არ მოჰყვებოდა, ვინაიდან ძალიან მარტივი ოპერაცია იყო...

– მარტივი როგორ შეიძლება იყოს თავის ტვინის სიმსივნის ოპერაცია. საუბარი იყო იმაზე, რომ შანსები საკმაოდ დიდი ჰქონდა, თუმცა 100-პროცენტიან გარანტიას ვერვის ვერ მივცემდით, როდესაც ასეთ დაავადებასთან გაქვს საქმე. მარტივი ნეიროქირურგია საერთოდ წარმოგიდგენიათ?

– ანუ დაგვარწმუნეს, რომ „კარგად გასაკეთებელი ოპერაციაო“...

– კი ბატონო, კარგი საოპერაციო იყო, მაგრამ გართულდა. ამის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

– და რამ გამოიწვია ეს გართულება?

– ოპერაციის დროს ჰქონდა სერიოზული სისხლდენა. სიმსივნური წარმონაქმნი უშუალოდ სისხლძარღვის კედელთან იყო მიხორცებული. როგორ წარმოგიდგენიათ, ჭკუათმყოფელი ადამიანი, რომელსაც ნეიროქირურგიაში 40-წლიანი გამოცდილება აქვს, გეტყვით, რომ თავის ტვინის სიმსივნე მარტივი რამეა და ყველაფერი გარანტირებული იქნება. ეს ხომ სისულელეა. ამ ოპერაციის შემდეგ მთელ მსოფლიოში სიკვდილიანობის მაჩვენებელი არის 2-3 პროცენტი. სამწუხაროდ, ეს ქალბატონი აღმოჩნდა მათ რიგებში.

– ანუ თქვენი მხრიდან რაიმე გადაცდომას ადგილი არ ჰქონია?

– გადაცდომას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ სიმსივნე ჩაზრდილი იყო სისხლძარღვში, კედელი დაზიანებული იყო და მოხდა თრომბოზი.

– შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად პაციენტის გადარჩენა შეუძლებელია?

– პრაქტიკულად ასეა. ნუ, რაღაც სასწაული თუ არ მოხდა, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა, სამწუხაროდ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვიუ გარემოსა და ბუნ

თამარ გორთამაშვილი

დამანგრეველი სტიქიიდან ორი კვირის შემდეგ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ მიუღია კონკრეტული პასუხი კითხვაზე – იყო თუ არა შესაძლებელი ტრაგედიის თავიდან აცილება. ამ შემთხვევაშიც, ბუნებრივია, ოპონენტთა მთავარი სამიზნე ხელისუფლებაა. ბოლო დღეების განმავლობაში ბევრი ვარაუდი და ბრალდებაც მოვისმინეთ. საზოგადოებაში გაჩენილ ყველა კითხვას დღეს „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი პასუხობს.

გიგლა აგულაშვილი:

– პირველი, რაც ხალხს აინტერესებს, არის პასუხი კითხვაზე – არსებობდა თუ არა სტიქიის პროგნოზირებისა და საფრთხეების თავიდან აცილების შესაძლებლობა. ამ თემაზე საუბრისას, უნდა ვიცოდეთ, პროგნოზირების რა ინსტრუმენტები გვაქვს. საქართველოში მინიმუმ ორი რადარია საჭირო (ერთი აღმოსავლეთ საქართველოში და მეორე დასავლეთში), რომ უფრო მეტი სიზუსტით შევძლოთ ამინდის პროგნოზირება. თუმცა, მიუხედავად ამისა, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ეს სისტემები მაღალტექნოლოგიურადაა აღჭურვილი, ამინდის პროგნოზის სიზუსტე პროცენტებითაა მითითებული. ეს, თავისი შინაარსით, ურთულესი და უმძიმესი სამუშაოა. ჩვენი თანამშრომლები პრაქტიკულად 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ და რაც მათ შეუძლიათ, ეს არის ყოველდღიური ბიულეტენების გაგზავნა სხვადასხვა უწყებებში. თუმცა, როდესაც ამ ბიულეტენებში პროგნოზირებულია წვიმა, ქარი, მზე და ა.შ. ძნელია და ხანდახან პრაქტიკულად შეუძლებელიც კი ზუსტი ლოკაციების განსაზღვრა.

როდესაც მკითხეს, აწვდით თუ არა პროგნოზს სხვადასხვა უწყებებსო, და ვთქვი, რომ ვაწვდით, ეს გადაითარგმნა, თითქოს მეწყრისა და ღვარცოფის შესახებ ინფორმაცია მიიღო ვინმემ და ის გულხელდაკრეფილი დაჯდა, რაც თავისთავად ფანტაზიაა. მაგალითად, როდესაც ჩვენ ერთ დღეს შევწყვიტეთ სამუშაოები, თბილისის თავზე გროვდებოდა 11-კილომეტრიანი ღრუბელი, თუმცა დედაქალაქში ნალექი არ მოვიდა, წვიმა იყო თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებს მიღმა. როგორ განვითარდება პროცესები, საით გადაადგილდება ღრუბელი, ამის ზუსტი პროგნოზირება პრაქტიკულად წარმოუდგენელია. მაგრამ გამაფრთხილებელი ინფორმაცია მაინც მიდის. ჩვენ ვთანამშრომლობთ „დელტასთან“, რომელსაც სეტყვის საწინააღმდეგო სისტემები აქვს. მას აქვს რადარი, მაგრამ „დელტას“ მონაცემები არ არის განკუთვნილი სინოპტიკური პროგნოზებისთვის, შესაბამისად, არც ის არ არის სრული და ესეც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს პროგნოზის სიზუსტეზე.

იმ აღჭურვილობით, რაც ჩვენ გვაქვს, გარემოს ეროვნულ სააგენტოს არ შეუძლია ზუსტი ლოკაციების განსაზღვრა. ზუსტად ვერეს ხეობაში რომ მოხდებოდა ის, რაც მოხდა, ამის პროგნოზირება შეუძლებელი იყო, ამიტომ ეს არის მიზანმიმართული ტალღა იმისთვის, რომ ადამიანებს გაუჩნდეთ განცდა, თითქოს ხელისუფლება ამ პროცესში იყო უმოქმედო. კრიზისული პროცესების მართვის პროცესში მთავრობამ შეძლო, გუნდურობა გამოეჩინა და სწრაფი რეაგირება მოეხდინა. მიუხედავად ამისა, ხარვეზები იყო. მოხდა ისე, რომ ვეფხვმა იმსხვერპლა ერთი ადამიანი... თუმცა მინდა ვთქვა, რომ ასეთი რისკებისგან თავს ვერავინ დაიზღვევს.

მეწყერი

ჩვენ გვაქვს 337-გვერდიანი ბიულეტენი, სადაც, თბილისის გარდა, საქართველოს ყველა რეგიონია აღწერილი და იდენტიფიცირებულია ყველა მოსალოდნელი სტიქიური საფრთხე. რაც შეეხება თბილისს, დედაქალაქში გვაქვს ოთხი სადგური, რომლითაც ვზომავთ გარკვეულ მონაცემებს. აქედან ერთია ე.წ. ვაშლიჯვრის სადგური, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ზომავს, მათ შორის ნალექის მოცულობასაც. ამ სადგურზე იმ დღეს დაფიქსირდა 49 მმ ნალექის მოსვლა, რაც არ არის ბევრი და არ იწვევს რაიმე ტიპის განგაშს. თუმცა იმავე დღეს, თვითმხილველთა გადმოცემით სეტყვა მოვიდა აეროპორტის მხარეს, ხოლო ზოგიერთ უბანში არაინტენსიური წვიმა დაფიქსირდა.

რაც შეეხება ახალდაბის მიმართულებას, მდინარე ვერეს წყალშემკრებ აუზში, რომელიც 194 კვ.კმ-ია (მდინარე ვერეს უერთდება 41 შენაკადი, აქედან 11 მნიშვნელოვანი ტიპის მდინარეა, რომელმაც სერიოზული გავლენა შეიძლება იქონიოს), იქ სულ სხვა რამ მოხდა. რადგან ჩვენ იქ გაზომვა არ გვქონია, სპეციალისტების მიერ ივარაუდება, რომ დროის ძალიან მცირე მონაკვეთში, 100 მმ-ზე მეტი ნალექი მოვიდა, რამაც გამოიწვია წყალშემკრებ აუზში წყლის დონის მაქსიმალური აწევა. ასევე, სპეციალისტებმა იანგარიშეს, ზაჰესში შემოსული და ორთაჭალჰესთან გასული მტკვრის წყლის მოცულობა და სხვაობა რომ გამოაკლეს, მიიღეს 468 კბ/მ წამში (ეს ნიშნავს, რამდენი კუბური მეტრი წყალი გადაადგილდება ერთ წამში მდინარის ჭრილში). 468 კბ/მ – ეს არის რეკორდული მაჩვენებელი 100 წლის მანძილზე. 100-წლიანი დათვლით, მდინარე ვერესთვის მაქსიმალური მოცულობა იყო 240 კბ/მ წამში.

სხვადასხვა ისტორიულ მომენტებში მდინარე ვერეს ახასიათებდა ადიდება და წყალმოვარდნები – ეს იყო 1924 წლის 12 ივნისს, 1940 წლის 10 მაისს, 1960 წლის 4 ივლისს, იყო 1961-შიც, 1972-შიც, 1980 წლის 13 მაისსაც, 1999 წლის 28 აგვისტოს, 2002 წლის 15 ოქტომბერს და ბოლო იყო წელს 13 ივნისს. ამ მასშტაბის რაც ახლა იყო, არასდროს ყოფილა. ანუ 100 წლის გაანგარიშებით, თუ 240 კბ/მ წამში იყო მაქსიმუმი ფაქტია, რომ მეცნიერული ცოდნით დადგენილი ეს ნორმა დაირღვა და წამში 468 კბ/მ დაფიქსირდა. სტიქიურად არაპროგნოზირებადი დიდი ნალექის მოგროვებით კი სერიოზული პრობლემა შეიქმნა ვერეს აუზში და ამას დაერთო მეწყერი. აქ მეწყერი, თავისი გენეზისით, კლდეზვავური ტიპისაა, რომლის პროგნოზირება და დროის თვალსაზრისით გათვლა თითქმის წარმოუდგენელია.

რა ცნობა მიიღეს სახელმწიფო უწყებებმა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ



ჩვენ გავაკეთეთ რუკა, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია დავინახოთ რეალობა. ამ რუკაზე არის 56 წლის გვირაბი და მისი მონაცემები. ეს რომ არ ყოფილიყო გარკვეული სპეკულაციების საგანი, ჩვენს სპეციალისტებს გავაზომვინეთ ეს გვირაბი და აღმოჩნდა, რომ ის არის ყველაზე ფართო. ანუ კომუნისტების დროს აგებული გვირაბის დიამეტრი, როცა სვანიძის ქუჩიდან შედის, არის 64,5 კვ.მ. გამოსასვლელთან – 74,4 კვ.მ. ქვემოთ და ქვემოთ რაც მოვდივართ, სასწრაფოს შენობის გვერდით, ახალი გზის პირველი გვირაბი არის 55,6 კვ.მ. ხილიანისკენ გადასასვლელ ხიდთან კი 59,2 კვ.მ-ია, შემდეგ არის 58,5 კვ.მ და ბოლოს 56,8 კვ.მ, ანუ გვირაბი ვიწროვდება. გარდა ამისა, შეცვლილია მდინარის კუთხეც. ასევე, საგულისხმოა გვირაბის გოფრირებული კონსტრუქცია, რომელმაც რთულად გამოატარა მოვარდნილი წყალი.

რაც შეეხება დამეწყრილ ტერიტორიას, ივარაუდება, რომ აქ მოწყდა 800 000 კბ/მ-მდე მასა. მე პირადად დავათვალიერე ეს ადგილები და შემიძლია გითხრათ, რომ აქ ტყის უკანონო ჩეხა არ შეიმჩნევა. შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ აქ მაპროვოცირებელი იყო უკანონო ჩეხა. იქ იმდენი ნალექი მოვიდა, რომ მთელი ეს ხეები, თავის ღვარცოფულ თიხასთან და ქვებთან ერთად, ჩაიტანა მდინარე ხოჯანხევში და შემდეგ ხოჯანხევმა ჩამოიტანა მდინარე ვერეში. თუ დავაკვირდებით ჩვენ მიერ გადაღებულ ფოტოებს, ჩანს და სპეციალისტებიც ვარაუდობენ, რომ ჯერ კიდევ 60%-მდე მეწყრის სხეულია დარჩენილი ფერდობზე.

ზოგიერთი მეწყერი შეიძლება ნელა მოდიოდეს და მისი პროგნოზირება შესაძლებელი იყოს სენსორის საშუალებით, რომელიც გვაჩვენებს გადაადგილებას და რეაგირებაც ესწრება, მაგრამ ამ ტიპის მეწყრის ჩამოშლა, რასაც ადგილი ჰქონდა ახალდაბაში, ხდება მყისიერად, აქ სენსორი რომც დავაყენოთ, მხოლოდ ინფორმაციას მივიღებთ, რომ მოხდა მიწის ჩამოშლა. წინასწარ რეაგირებას აქ ვერ მოვასწრებდით. მოგეხსენებათ, რომ ძალიან დიდი რაოდენობით ხე წამოიღო, რომელიც, სხვათა შორის, წამოვიღეთ და დავასაწყობეთ, რათა შემდეგ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას დავურიგოთ. როდესაც ჩვენი თანამშრომლები ამ ხეებს ხერხავდნენ, აღმოჩნდა, რომ იქ ძალიან ბევრი ნედლი ხე იყო.

თუ დავაკვირდებით დედა ქანებს, ვნახავთ, რომ ის სარკესავითაა, ანუ ამ შემთხვევაში ტყეს არ აქვს შემაკავებელი ფუნქცია, რადგან ფესვი ამ დედა ქანში ვერ გადის. ზედაპირზე თიხა შეიძლება იყოს მეტრ-ნახევარი სიღრმის, მაგრამ დედა ქანსა და თიხას შორის როგორც კი წყალი შედის, დედა ქანი ხდება სარკისებური და დაცურების სიჩქარე მაღალია. გვაქვს პროგნოზირებული, რომ ამავე ადგილებში კიდევ დაცურდება მიწა, მაგრამ როდის, დღეს, ხვალ თუ ზეგ, ამის პროგნოზირება შეუძლებელია. ვფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია დაბალმუხტიანი აფეთქებებით მოვახდინოთ მისი ჩამოშლა და რა პროცესები შეიძლება გამოიწვიოს ამან. სამწუხაროდ, ამის მათემატიკური მოდელირების ზუსტი პროგნოზირება ძნელია. ჩვენ ვდგავართ მოკლევადიანი ამოცანებისა და გრძელვადიანი ამოცანების წინაშე. მოკლევადიან ამოცანებად ჩვენ დავისახეთ ხეობაში ნალექმზომისა და წყალმზომის ინსტალირება. დავაყენეთ ორი ნალექმზომი და ერთი წყალმზომი. ასევე, ჩვენი გეოლოგი და ჰიდროლოგი მორიგეობენ საგუშა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეგრივი რესურსების დაცვის მინისტრთან

არსებობდა თუ არა სტიქიის პროგნოზირებისა და საფრთხეების თავიდან აცილების შესაძლებლობა

„როდესაც მკითხეს, აწვდით თუ არა პროგნოზს სხვადასხვა უწყებებსო, და ვთქვი, რომ ვაწვდით, ეს გადაითარგმნა, თითქოს მეწყრისა და ღვარცოფის შესახებ ინფორმაცია მიიღო ვინმემ და ის გულხელდაკრეფილი დაჯდა, რაც თავისთავად ფანტაზიაა“

„ეს არის მიზანმიმართული ტალღა იმისთვის, რომ ადამიანებს გაუჩნდეთ განცდა, თითქოს ხელისუფლება ამ პროცესში იყო უმოქმედო“

EXCLUSIVE

„კრიზისული პროცესების მართვის პროცესში მთავრობამ შეძლო, გუნდურობა გამოეჩინა და სწრაფი რეაგირება მოეხდინა“

გოზე და აკვირდებიან პროცესებს. იქ, სადაც გზის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს, ჩვენი გეოლოგი იძლევა რჩევებს. ძალიან სახიფათო სამუშაო პროცესია, იმიტომ რომ მეწყრის სხეული ჯერ კიდევ ზევით არის და მისი დაცურების რისკი მაღალია. ორი ადგილობრივი მოსახლე ვიქირავეთ, რომლებიც გარკვეულ ინფორმაციებს მოგვაწვდიან.

იმის პარალელურად, რომ ჩვენ გვექნება ჭარბ ნალექსა და წყლის დონის აწევაზე ინფორმაცია, კეთდება პროექტი და მდინარის ხეობაში გაკეთდება წყალგამტარი ჯებირები, ე.წ. ხერხეულიძის კედლები. ეს ისეთი ტიპის კედლებია, რომლებიც წყალს ატარებს, მაგრამ მყარ ნატანს აჩერებს. იმ კონკრეტულ დღეს კატასტროფულად დიდი მოცულობის ნალექი მოვიდა. შეიძლება 100 კი არა, 500-წლიანი განმეორებადობის შემთხვევაც არ იყოს, მაგრამ ეს იყოს ჩვენთვის კიდევ ერთი სიგნალი, რომ გლობალური კლიმატური ცვლილებები მოგვიახლოვდა. რისკების შეფასების თვალსაზრისით, ჩვენ შეიძლება საგარეო ტიპის საფრთხეები ისეთი მაღალი არ გვქონდეს, როგორც ეს გარემოს დაცვითი პრინციპების დარღვევებმა გამოიწვიოს. საქართველო ავტონომიურად ვერ უპასუხებს ამ გამოწვევებს – ეს არის ტრანსსასაზღვრო პრობლემები, მაგრამ ჩვენი ქვეყნის შიგნით მაინც უნდა გადავიდეთ ადაპტაციის რეჟიმზე, ანუ დავინყოთ შემაგუებელი და შემარბილებელი მოქმედებები. სწორედ ამას ემსახურება ეს პროექტი. ეს ჯებირები მყარ ნატანს დაიჭერს, წყალი კი შემოვა, მაგრამ მისი გატარება შესაძლებელი იქნება.

– არ უშვებთ, რომ შესაძლოა, ქანებზე ხელოვნურ ზემოქმედებას ჰქონდა ადგილი? იქ ჩანს ორი ნაგებობა, რომელიც googl earth-ზე 2010 წლიდან ჩნდება. გარემოს დამცველთა ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ მსგავსი ტიპის მშენებლობებს დაეზიანებინა ქანები. რას იტყვით თქვენ, თუ იცით ამ ნაგებობების შესახებ?

– დიახ, აქ არის ხაზოვანი ნაგებობები. აქვეა სამხედრო დანიშნულების ანძა, რომელიც ცოტა უფრო ზემოთაა, თუმცა, ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ აქ სხვადასხვა ფაქტორებმა იმოქმედა. მეწყრის სხეულს თუ შევხედავთ, ვნახავთ, რომ მას თვითონ მდინარე რეცხავს ქვევით, ჯერ ხოჯანხევი, ქვევით კი – ვერე. გაყვანილია გზაც, რომელიც ამ უბანს, რა თქმა უნდა, ასუსტებს, იგივე შედეგს იძლევა მეორე გზაც, ზევით კი ვხვდებით რამდენიმე ხაზოვან ნაგებობას. ჯამში, თითოეულს, რა თქმა უნდა, გარკვეული გავლენა აქვს ამ პროცესებზე. ამიტომ ჩვენ კი აღვადგინეთ ეს გზა, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში არ გამოირიცხება, სხვა გზა გავიყვანოთ, ყველა იმ რისკის გათვალისწინებით, რომელიც აქ არსებობს. თუმცა ეს არის გრძელვადიანი პერსპექტივა.

რეაგირება

– ჩნდება კითხვები – რატომ ვერ მოასწრეს, სად იყვნენ? – შევხედოთ, რა ხდება: ხოჯანხევის კალაპოტის სიგრძე არის 3,8 კმ. მდინარე ვერეს შეერთების წერტილიდან სვანიძის ქუჩის დატბორვის ადგილამდე, ანუ გვირაბის შესასვლელამდე მანძილი კი არის 9,75 კმ. როდესაც ეს ღვარცოფული მასა მოდის, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სადღაც 15 წუთია საჭირო იმისთვის, რომ მდინარემ ეს მანძილი გაიაროს. შეუძლებელია, მაშინ როდესაც არ ვიცით ამის თაობაზე, და რომც გვცოდნოდა ამის შესახებ, შესაბამისი ზომები მიგვეღო დროის ამ მონაკვეთში.

ჩვენ გვქონდა შეხვედრა ცერნში მომუშავე ქართველ მეცნიერებთან და შეიძლება მათთან ერთად შევიმუშაოთ გარკვეული ღონისძიებები. არ მინდა, გადაჭარბებული მოლოდინები შეექმნას საზოგადოებას. ეს ნალექმზომები, რომელიც დამონტაჟდა, არის ღონისძიებათა კომპლექსის პირველი ნაბიჯი.

ჩვენ ვმუშაობთ ალგორითმებზე, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს (მას შემდეგ რაც ნალექმზომი და წყლის დონის მზომი მოგვაწვდის ინფორმაციას), მომენტალურად გავრცელდეს სიგნალი 112-ში, პატრულში და შლაგბაუმით ავტომატურად მოხდეს გზის ჩაკეტვა, ხოლო იმ ზონაში გავრცელდეს ხმოვანი და მანათობელი სიგნალი, რათა ადამიანებმა დატოვონ ტერიტორია.

– თქვენ ამბობთ, რომ უნდა დამონტაჟდეს სპეციალური მოწყობილობები და ეს უნდა მოხდეს კომპლექსურად, იმ პირობებში, როცა სამინისტროს ბიუჯეტი შეუმცირდა, როგორ აპირებთ ამ ღონისძიებების გატარებას?

– საქართველოში 50 000-ზე მეტ საშიშ უბანს ვითვლით, რა თქმა უნდა, ყველა უბანზე მსგავსი მოწყობილობა ვერ დამონტაჟდება, მაგრამ იქ, სადაც მოსახლეობას შეიძლება რაიმე საფრთხე დაემუქროს, ბუნებრივია, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ მსგავსი ტრაგედია თავიდან ავიცილოთ. საამისოდ ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას დონორებთან. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ყველა ჩვენს დონორს მადლობა გადავუხადო. გარდა ამისა, უკვე დავიწყეთ და ვაკეთებთ პროგრამულ ბიუჯეტს. პროგრამული ბიუჯეტით ჩვენ გავალთ პარლამენტის წინაშე და ხალხს ვეტყვით მარტივად, რომ მე ვითხოვ ბიუჯეტიდან, პირობითად, 10 ლარს იმისთვის, რომ მდინარე ლეხვთახევის ხეობაში დავაყენო ნალექმზომი ან წყლის დონის მზომი. თუ მოგცემთ ამ რესურსს, მე ამ პრობლემას გავაკონტროლებ, თუ არადა, რისკები იქნება ძალიან მაღალი. მე მაქვს საზოგადოების მხარდაჭერის იმედი, ასევე, პარლამენტისა და მთავრობის მხარდაჭერისაც. ვეცდებით, ყველაფერი პრიორიტეტებად დავალაგოთ და შესაბამისად მოვითხოვოთ დაფინანსება. მომავალი წლის ბიუჯეტი, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება ჩვენი სამინისტროსთვის. ასევე, მგონია, რომ სამართლებრივი დეგრადაციის პროცესიც უნდა დასრულდეს. 2012 წლიდან სამინისტროს ნელა-ნელა უბრუნდება გარკვეული ფუნქციები, რომელიც, მაგალითად, მანამდე ენერგეტიკის სამინისტროსი იყო და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს.

„ჩვენ შეიძლება საგარეო ტიპის საფრთხეები ისეთი მაღალი არ გვქონდეს, როგორც ეს გარემოს დაცვითი პრინციპების დარღვევებმა გამოიწვიოს“

– გარემოზე ზემოქმედების შეფასება ვერეს ხეობაში ესტაკადის მშენებლობისას არ არსებობდა. თუ აპირებთ ცვლილებების შეტანას კანონმდებლობაში ამ მხრივ?

– ჩვენ ახლა ვმუშაობთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ახალ კანონზე, რომელიც ადგენს ახალ პრინციპებს. ის წლის ბოლომდე იქნება პარლამენტში ინიცირებული და განხილული. ამ პრინციპებში ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების მაღალი ჩართულობა პროექტების განხილვაში და ამ პროცესის მონიტორინგი. ეს არის ევროპული სტანდარტები და ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცდა და ნიშნულია ჩვენთვის. ვფიქრობთ, რომ ეს ახალი კანონი საშუალებას მოგვცემს, მოხდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები.

– ჰესების მშენებლობას შეეხება ეს ცვლილებები? იგივე ხუდონის თემა რომ გავიხსენოთ. იქ სწორედ საზოგადოებაა წინააღმდეგი, იქნება მათი აზრი ბოლომდე გათვალისწინებული?

– რა თქმა უნდა. ხუდონზე შემოსული გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესწავლის შემდეგ სამინისტრომ 111 შენიშვნა გამოთქვა და მიანიშნა, რომ ეს შენიშვნები და ხარვეზები უნდა აღმოიფხვრას, ან პასუხი გაეცეს. სანამ არ შემოვა ამ კითხვებზე პასუხგაცემული ვერსია, მანამდე ჩვენ თავს ვიკავებთ რაიმე პოზიციის გამოხატვისგან.

– მინდა, სტიქიის თემას დავიბრუნდე, კონკრეტულად კი აღდგენით სამუშაოებს და ბოლოს გაჟღერებულ ინფორმაციას საკანალიზაციო სისტემის მოშლასთან დაკავშირებით. ვისი პასუხისმგებლობაა ეს და რატომ არ მოხდა იქ მომუშავე ხალხის გაფრთხილება?

– ჩვენი ზედამხედველობის სამსახური, კანონიდან გამომდინარე, თუკი არის ასეთი ჩადინება, ადმინისტრაციულ ზომებს გამოიყენებს. მაგრამ კანონში არსებობს ასეთი დათქმები, რომ გადაუდებელი, უკიდურესი აუცილებლობის დროს სხვა სამართლებრივი რეჟიმები მოქმედებს. ამ შემთხვევაშიც შესაძლოა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი ვერ და არ დადგეს, რადგან ეს მისი ნებისგან საწინააღმდეგოდ მოხდა. ეს ხდომილებაა და არა ქმედება, რომლის გამოც ვინმეს ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. ანალოგიურად არის რეაგირების საკითხიც – შესაძლებლობები და ნებელობა. ჩვენ ვატარებთ ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ ანალიზებს, ოღონდ არა იმ ტიპის ანალიზებს, რომელიც დაავადების გავრცელების რისკთან არის დაკავშირებული, ეს სხვა სააგენტოს ეხება. ჩვენ მდინარე ვერეს ხეობაში გვქონდა გაზომვები და მტკვრის ანალიზები, რომლის შედეგადაც მასში საშიში პათოგენები არ დაფიქსირდა. რაც შეეხება, ზოგადად, უსაფრთხოების ნორმებს, ის წყალი, რაც იმ ადგილზე იყო დაგუბებული, სადაც ადამიანები მუშაობდნენ, ჩვენ სისტემატურად ვაფრთხილებდით, რომ ყოფილიყვნენ დაცული. ჩაეცვათ დახურული ტანსაცმელი, სქელლანჩიანი ფეხსაცმელი და ა.შ. ეს მასა რომც არ ჩასულიყო იქ, საფრთხე მაინც იყო და ჩვენ ამ საფრთხის შესახებ ინფორმირებული გვყავდა საზოგადოება. მოხალისეების მხრიდან იყო ინფორმირებული არჩევანის გამოყენების უფლება. გაფრთხილების შემდეგ როდესაც მიდიხარ და მაინც აკეთებ, ეს თავისთავად არის რისკი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ხელისუფლება მოქმედებდა კეთილგონიერების ჩარჩოებში.

– შიდაპარტიულ საკითხებზე მინდა გკითხოთ, ბოლო პერიოდში სულ უფრო გააქტიურდა ხმები, რომ რესპუბლიკელებმა ალასანიას გუნდის გასვლა კოალიციიდან სათავისოდ გამოიყენეს და შედეგად მიიღეს მაღალი თანამდებობები მთავრობაში – რას იტყვით ამის შესახებ?

– ყველაფერს შეაფასებს საზოგადოება. მე სხვა კომენტარის გაკეთება არ შემიძლია. ერთი მინდა გითხრათ, რომ ნებისმიერი წარმატება, თუნდაც ამ შემთხვევაში რესპუბლიკური პარტიისა, არის კოალიციის წარმატება. ჩვენ თუ რაიმე წარმატებას მივაღწიეთ, ეს არის კოალიციის და, საბოლოოდ, ქვეყნის წარმატება. მე როცა რამეს ვაკეთებ და ჩემს თანამშრომლებს ველაპარაკები ამა თუ იმ საკითხის გადაჭრისას ჩვენს პასუხისმგებლობაზე, მე მათ არ ვესაუბრები, როგორც რესპუბლიკური პარტიის წევრი, მე მათ ვესაუბრები, როგორც იმ თანამდებობის პირი, რომელსაც ქვეყნის წინაშე აქვს პასუხისმგებლობა და ამის ამოსავალი წერტილი არის ეს. მთავარი კრიტერიუმი არის, ვინ რას ვაკეთებთ. თუკი პარტია „ქართულ ოცნებას“ სურს გაძლიერება, მე ამას მივესალმები. ბევრჯერ მითქვამს, მათ შორის ომარ ნიშნიანიძისთვისაც, რომ რესპუბლიკურ პარტიას კოალიციაში სჭირდება ძლიერი პარტნიორები, ჩვენ არ გვინდა, სუსტი პარტნიორები გვყავდეს, იმიტომ რომ სუსტი პარტნიორი გვასუსტებს. ძლიერი პარტნიორის გვერდით კოალიციური საქმიანობა ჩვენს კოალიციას აძლიერებს, ეს არის მარტივი ფორმულა. დანარჩენი ეჭვიანობები, ე.წ. ექსპერტული შეფასებები ნაკლებად საინტერესოა.

– როგორ ხედავთ პოლიტიკურ განლაგებას მომავალი საარჩევნო ციკლისთვის?

– დღევანდელი გადმოსახედიდან შემიძლია გითხრათ, რომ ოპოზიციურ ფლანგზე ძალიან დიდი დაბნეულობაა. რამდენიმე თვის წინ სხვა სურათი იყო, მაგრამ ახლა ძალიან დიდი დაბნეულობაა. ჩვენ ძალიან მაღალი სტანდარტი დავამკვიდრეთ ამ ორ წელიწად-ნახევარში საარჩევნო პროცესში და უკან დახევას არ ვაპირებთ. ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ წინ. მე ყოველთვის

„რესპუბლიკურ პარტიას კოალიციაში სჭირდება ძლიერი პარტნიორები, ჩვენ არ გვინდა, სუსტი პარტნიორები გვყავდეს, იმიტომ რომ სუსტი პარტნიორი გვასუსტებს“

ვემხრობი ევოლუციური განვითარების მოდელს და ეს ამ ორ წელიწადნახევრის განმავლობაში საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესს ეტყობა. როგორც არ უნდა ლაპარაკობდნენ კრიტიკოსები, ნეიტრალური შემფასებლები უცხოეთიდან ამ პროცესს კარგად ხედავენ და დადებითად აფასებენ. მმართველ პოლიტიკურ ძალას კონკურენტი არ ჰყავს. პირველი ადგილის საკითხი აქ არ დგას. აქ დგას მეორე ადგილის საკითხი – ვინ იქნება მეორე ადგილზე უფრო მეტად გამოკვეთილი. დღემდე კვლევების მიხედვით გამოკვეთილი იყო „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ ისინი დეკვალიფიკაციის გზას დაადგნენ და ახლა ეს პროცესი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გაღრმავდა, რადგან მათ ვერ მოახერხეს კათარზისი. სხვა საპარლამენტო რესურსი არ არსებობს, ხოლო რაც შეეხება არასაპარლამენტო რესურსს – აქაც ვერ გამოჩნდა ძალა, რომელიც ორიენტირებული იქნება პროგრესზე, ნათელ მესიჯებს ეტყვის ამომრჩეველს. თუ დააკვირდებით, ამომრჩეველი შეიცვალა, მისი მოლოდინები უფრო კონკრეტული გახდა. ეს აღარ არის ერთი ტომარა ფქვილი ან, ზოგადად, აღთქმული კეთილდღეობა. ამომრჩეველს უკვე სჭირდება პროგრამული ურთიერთობა. კონკრეტული პროგრამა, რას გააკეთებ შენ. ის, რომ მე ძალიან მიყვარს საქართველო; ის, რომ მე ყველაზე მაგარი პატრიოტი ვარ, არ არის საკმარისი. ამომრჩეველმა უნდა მიიღოს კონკრეტული მესიჯი. რაიმე ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას ამ საარჩევნო ციკლში არ ველოდები. ასე რომ, დიდი ცვლილებები არ იქნება.

„ჯერ კიდევ 60%-მდე მეწყრის სხეულია დარჩენილი ფერდობზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერევნი

რა პარალელებს ავლებენ ერევანსა და თბილისს შორის

ქეთი ხატიაშვილი

ჯერ პოლიტიკური განცხადებები არ გაკეთებულა და არც ანტირუსული განცხადებები ისმის, ერევანში გამოსვლები ჯერ მხოლოდ სოციალური მოთხოვნით მიმდინარეობს და მოსახლეობა დენზე ტარიფის მატებას აპროტესტებს. ქუჩაში პოლიტიკური პარტიები არ დგანან. როგორც ანალიტიკოსები შენიშნავენ, სომხეთში მათ საკმაოდ სუსტი პოზიციები აქვთ.

როგორც მედიაში წერენ, ქუჩაში ძირითადად ლიბერალური შეხედულების ახალგაზრდები და

ვასაძე VS „იმედი“

ბიზნესმენი ლევან ვასაძე თბილისის სტიქიის შესახებ გავრცელებულ განცხადებაში კიდევ ერთხელ აკრიტიკებს ტელეკომპანია „იმედს“ და მას „ამაზრზენად“ მოიხსენიებს.

„ტრაგედიის მეორე დღეს ვუცქერდი ამაზრზენ ტელე „იმედზე“ გადაბრუნებულ ურემთან მოსაუბრეებს. ტრაგედიის ადგილიდან რეპორტიორი ირჯებოდა, რომელიც არც კაცს ჰგავდა და არც ქალს. სტუდიაში ტლიკინით სახელგანთქმული მსუბუქი აზროვნების მძიმე ქალები წუხდნენ. ეს ის ურემთან მოსაუბრეები არიან, რომლებსაც ჩვეულებრივ დროს არ სცალიათ ქვეყნის მეურნეობასა და მის ნამდვილ პრობლემებზე საუბრისთვის, რადგანაც სამშობლოზე მშვიდი ზრუნვა არ არის სკანდალური ყროყინისთვის კარგი ნიადაგი. მათ უნდა გვახარჯვინონ ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრების თვეები და წლები მოსმენის ღილაკებზე, უნიჭო ჩინოვნიკების ფარიკაობაზე, ვინ სად დაინიშნება იმის განხილვაზე, გეგონება, რამე იცვლებოდეს ამ დანიშვნებით ჩვენს გზებზე.

ამასობაში, მათ ყროყინს შორის პაუზებში, რეკლამა კაზინოებში გაუბედურებას სთავაზობს ზღაპრული მინა-წყლის მიმტოვებელ და უფუნქციოდ, ტექნოგენურ თბილისში ჩახერგილ უბედურ ქართველებს, რომლებიც ამ უძრაობასა და უაზრობაში მხოლოდ იმას ელოდებიან, როდის დადგება მათი ჯერი, დაემართოთ კიბო, ყველას ჯვარი სწერია, რათა გაყიდონ ის თბილისის ბინაც და როგორმე გაიხანგრძლივონ ჯოჯოხეთი, რომელსაც თანამედროვე თბილისში ცხოვრება ჰქვია“, – წერს ლევან ვასაძე.

ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორი გიორგი ბახტაძე ბიზნესმენის შეფასებას „პრაიმტაიმნიუსთან“ საუბრისას გამოეხმაურა.

„მე არ მინახავს, თუმცა მსმენია კომენტარი. ვერ გეტყვით, არის თუ არა ეს ზენოლა, მაგრამ, ალბათ, თავისუფალ ქვეყანაში ყველას აზრის გამოთქმის უფლება აქვს. ჩვენი ტელევიზიის სტუმარიც ყოფილა. ამ შემთხვევაში, თავისი აზრი დააფიქსირა, უბრალოდ. ვიცი, რომ კრიტიკული კომენტარი იყო. ყველა ადამიანს აქვს თავისი აზრის დაფიქსრების უფლება“, – განაცხადა გიორგი ბახტაძემ.

სკანდალური კანონპროექტი

„ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში დაგეგმილმა ცვლილებებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და პარლამენტს შორის ურთიერთობა დაძაბა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან კონკრეტული ბრალდებაც კი გაისმა:

„ჩვენ ჯერ კიდევ არ ვსაუბრობთ, აღნიშნული კანონპროექტი რამდენად მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს კონსტიტუციასთან; ჩვენ ჯერ კიდევ არ ვსაუბრობთ დეტალურად, კანონპროექტის შინაარსი რამდენად მოდის სრულ წინააღმდეგობაში იმ თანამედროვე ტენდენციებთან, რა მიმართულებითაც დღეს საბანკო სექტორი, საბანკო ზედამხედველობა ვითარდება, მაგრამ ვსაუბრობთ ფაქტზე, რომელსაც, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა უკვე გუშინ. კერძოდ, ასოცირების შეთანხმების გაფორმებიდან თითქმის ერთი წლის თავზე დაირღვა ასოცირების დღის წესრიგი, რაც ძალიან სამწუხაროა და შესაბამისად, დაირღვა საქართველოს მთავრობის #59 განკარგულება, რომელიც სწორედ ასოცირების დღის წესრიგიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმას განსაზღვრავს“, – განაცხადა პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკის საკითხებში აბაშიშვილმა.

პასუხად პარლამენტმა ადმინისტრაციას პროცესში ჩართვა ურჩია:

„დღეს განცხადებები პრეზიდენტის ინსტიტუტიდანაც გაკეთდა. ჩვენ გვქონდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან გიორგი აბაშიშვილთან და საპარლამენტო მდივანთან. პირველი მოსმენით გაზიარებულია შენიშვნები, რომელიც წარმოდგენილი პროექტის კრიტიკის საგანი იყო. მინდა მივმართო საქართველოს პრეზიდენტსა და მის მრჩეველს, ბატონ აბაშიშვილს: შენიშვნები, ყველა ის რისკი, რომელიც შეიძლება შეფასებულიყო, როგორც კონსტიტუციის სანინააღმდეგო, ყველაფერი ეს გავიაროთ. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ, მეორე მოსმენით განხილვისას პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები უშუალოდ ჩაერთონ და საკითხები მუხლობრივად განვიხილოთ. მზად ვართ, შევცვალოთ დებულებები, რომელზეც დასაბუთებული შენიშვნები იქნება“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



ოპოზიცია საქართველოში ფიქრობს რომ ხელისუფლება სოციალურ აფეთქებას ვერ გადაურჩება

თუკი ლარის დევალვაციის პროცესი გაგრძელდა და პარალელურად დენის ტარიფმაც მოიმატა, გამოსვლები თბილისშიც დაიწყება

ხანდაზმულები გამოვიდნენ. შიში, რომ დენზე გადასახადის გაზრდა პროდუქტებსა და სხვა სახის მომსახურებებსაც გააძვირებს, საკმაოდ მაღალია.

ერევანში დენი ბოლო ერთი წლის მანძილზე სამჯერ გაძვირდა. ანტირუსული ლოზუნგები არ ისმის, თუმცა მოსკოვმა მოასწრო, ხალხის პროტესტის უკან ამერიკის „მზაკვრული“ გეგმები დაენახა.

სომხეთის მოსახლეობას სრული უფლება ჰქონდა, ფასების ზრდაში სწორედ რუსეთი დაედანაშაულებინა, რადგანაც „ერევნის ელექტროქსელი“ სწორედ რუსეთის საკუთრებაშია, „ინტერ რაო“ აქციების 100%-ის მფლობელია. შესაბამისად, რუსეთს შეეძლო, ამ ისედაც რთულ ვითარებაში სომხეთისთვის შეღავათი მიეცა – ფასების ზრდას დრამის დევალვაცია იწვევს. თუმცა, მოსკოვმა ეს არ გააკეთა, ერევანი კი აცხადებს, რომ ფასების ზრდა კანონზომიერი იყო და ხელისუფლება დოტაციას გაუწევს სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

„ერევნის ელექტროქსელების“ მიმართ არაერთხელ გაიჟღერა მძიმე ბრალდებებმა კორუფციასა თუ ცუდი მენეჯმენტის შესახებ. მისი შეთავაზებით დღის ტარიფი 40%-ით უნდა გაძვირებულიყო, ანუ 58,98 დრამი, ნაცვლად 41,85-ისა; ღამის – 53,6%-ით, ანუ 48,93 დრამი, 31,85-ის ნაცვლად. კომპანიას 250 მილიონის ვალიც აქვს დაგროვებული. შეთავაზებული ტარიფის ნაცვლად პირველი აგვისტოდან ტარიფი 6,83 დრამით გაძვირდა 1 კვ/სთ, ანუ დაახლოებით 16,7%-ით.

სომეხი ექსპერტების განმარტებით, 7 დრამით დენის ტარიფის გაძვირება ძალიან არყევს სომხეთის მოსახლეობის მვიშვნელოვან ნაწილს, რომელიც სიღარიბის ზღვარზეა.

„ინტერ რაოს“ წარმომადგენლის ნიკოლაია გორელოვის განმარტებით, 11 წლის მანძილზე (1999-2009 წლებში) დენის ტარიფი სომხეთისთვის არ შეცვლილა. მისი თქმით, ტარიფის დაჭერა ამ პერიოდში ხდებოდა ელექტროქსელის პრივატიზაციის ხარჯზე. თუმცა, ბოლო სამი წლის განმავლობაში სისტემურმა პრობლემებმა იჩინა თავი, მათ შორის დასახელდა რემონტიც. ყველა ხარჯმა ერთად მოიყარა თავი და, „ინტერ რაოს“ დათვლით, დავალიანებამ 37,7 მილიარდი დრამი შეადგინა, რამაც ტარიფების გაძვირება გამოიწვია.

ოფიციალური ერევნის განმარტებაშიც „ერევნის ელექტროქსელის“ რემონტი ტარიფის შეცვლის მიზეზებში მოხვდა. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ სარემონტო ხარჯების გარდა, ფასზე ეროვნული ვალუტის 20%-იანმა ინფლაციამაც იმოქმედა.

საგულისხმოა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში სომხეთი ყველაზე ღარიბი ქვეყანაა. ამასთანავე, აქ დენის ტარიფი უფრო მაღალია, ვიდრე მოსკოვში. არადა, სომხეთი ბელორუსთან და ყაზახეთთან ერთად რუსეთის ევრაზიულ კავშირშიც შევიდა. აი, რა იწვევს დენის ტარიფის პოლიტიზებას.

ჯერჯერობით, ქუჩაში პოლიტიკური ლოზუნგები არ ისმის, თუმცა ყველას ესმის, რომ რუსეთს შეეძლო ფასის წარმოქმნის პროცესში ჩარეულიყო და ასეთი შედეგები თავიდან აეცილებინა.

ქართველი ექსპერტების შეფასებით, ეს კიდევ ერთი კლასიკური მაგალითია იმისა, რომ რუსეთთან ურთიერთობა არაფერს ცვლის.

საერთაშორისო სააგენტო Fitch-ის მონაცემებით, რუსული ეკონომიკის კრიზისმა ყველაზე მეტად სწორედ სომხეთსა და უკრაინას დაარტყა.

საქართველოში ოპოზიციამ ერევანში სოციალურ აფეთქებას უკვე უწოდა ერევნის მაიდანი. ერევნისგან განსხვავებით, თბილისში ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ეს პროცესი პოლიტიკურ მოძრაობაში გადაიზრდება და სომხეთი რუსეთისგან დისტანცირებას მოახდენს.

ქართული ოპოზიცია, ასევე, მიიჩნევს, რომ ასეთივე პროცესი დაიწყება თბილისში იმ შემთხვევაში, თუ დენის ტარიფი გაიზრდება. ამ თემაზე კი საუბარი დიდი ხანია მიდის.

ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ, თუკი ლარის დევალვაციის პროცესი გაგრძელდა და პარალელურად დენის ტარიფმაც მოიმატა, გამოსვლები თბილისშიც დაიწყება.

ვალერი გელბახიანი, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ საქართველოში ქუჩაში გამოსასვლელად ორი პირობა არსებობს – ერთი პოლიტიკური, რადგანაც არ იცვლება საარჩევნო კანონმდებლობა და მეორე სოციალური – დენის ტარიფი აქაც შეიძლება შეიცვალოს:

– ამ დროს კი ხალხი ქუჩაში არამხოლოდ გამოდის, პერმანენტულ აქციებს იწყებს... ქუჩაში კი შეიძლება ახალი ლიდერიც დაიბადოს, რისი მოთხოვნილებაც აშკარად არსებობს, – **განმარტავს ვალერი გელბახიანი.**

ქუჩაში კი შეიძლება ახალი ლიდერიც დაიბადოს, რისი მოთხოვნილებაც აშკარად არსებობს

რუზან გიშიანი, რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი სომხეთში:

– ამ დროისთვის მთავრობა დემონსტრანტებთან არანაირ დათმობაზე არ მიდის. როგორც ჩანს, სომხეთის ხელისუფლება არ აპირებს, დააკმაყოფილოს ხალხის მოთხოვნა, რომელიც, მინდა ხაზგასმით ვთქვა, მხოლოდ სოციალური ხასიათისაა და არანაირ პოლიტიკურ ქვეტექსტებს არ შეიცავს. ხალხი გაზრდილი ტარიფების შემცირებას ითხოვს. ეს არის სოციალური პროტესტი.

დარბევის შემდეგ, როდესაც დემონსტრაცია განახლდა, მთავრობამ დემონსტრანტებს შესთავაზა, შექმნილიყო 5-კაციანი ჯგუფი, რომელიც ხელისუფლებასთან ამ საკითხებზე მოილაპარაკებდა, თუმცა აქციის მონაწილეები ამ შეთავაზებას არ დასთანხმდნენ და განაცხადეს, რომ 5 კაცი მთელი საზოგადოების სათქმელს ვერ იტყოდა.

მანამდე, მოგეხსენებათ, იყო დარბევა. მას შემდეგ, რაც ხალხი პრეზიდენტის რეზიდენციისკენ დაიძრა, სიტუაცია დაიძაბა და აქციის დაშლის ბრძანება გაიცა. დარბევამდე 10 წუთით ადრე, აქციის მონაწილეები გააფრთხილეს, რომ მათ წინააღმდეგ გამოყენებული იქნებოდა ძალა, თუმცა დემონსტრანტები ამ მოწოდების მიუხედავად, არ დაშლილან. შედეგად მოხდა ის, რომ დააკავეს ათამდე ადამიანი, ასევე, ჟურნალისტებს დაუმტვრიეს აპარატურა და წაართვეს მასალა... დღესდღეობით დარბევისას დაკავებული ადამიანები განთავისუფლებული არიან და ჟურნალისტებმა და ოპერატორებმაც, ვისაც ზარალი მიადგათ, მიიღეს პირობა, რომ დანაკარგს აუნაზღაურებენ.

როგორც ჩანს, მთავრობას შეეშინდა, რომ კონტროლი დაკარგა და ამიტომაც წავიდა ასეთ ქმედებებზე. ალბათ, იფიქრეს, რომ ამ გზით დემონსტრანტებს შეაშინებდნენ, მაგრამ, როგორც ნახეთ, ყველაფერი პირიქით მოხდა, კიდევ უფრო მეტი ადამიანი გამოვიდა გარეთ და აქციას შეუერთდა. ვფიქრობ, ხელისუფლებას მაინც მოუწევს დათმობაზე წასვლა და დემონსტრანტების მოთხოვნის დაკმაყოფილება. ეს აქცია არ არის პოლიტიკური, მე არ ვფიქრობ, რომ ვინმე ცდილობდეს დემონსტრანტების გამოყენებას სარქსიანის წინააღმდეგ. უბრალოდ, ხალხს ძალიან გაუჭირდა და ტარიფების გაზრდის გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გაზარდა უკმაყოფილების მუხტი. ეს არის მშვიდობიანი აქცია და ხალხი არ აპირებს დაშლას, სანამ ხელისუფლება მათ ნებას არ დაჰყვება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

რატომ ვერ უმღერა

„მართალი გითხრათ, მაშინ ოჯახის შექმნას აღარ ვაპირებდი. გადაწყვეტილი მქონდა, მთელი ცხოვრება ჩემი შვილისთვის, ჩემი შემოქმედებისთვის მიმეძღვნა“

„ამ ადამიანმა მართლა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქორწინებაზე დავთანხმებოდი“

„ეს სიმღერა არის იმ ზეციურ ჭაბუკზე, რომელზეც ყველა ქალი ოცნებობს. ამიტომაც გაიარა ყველა ქალის გონებაში“

my View
ნინო მჭედლიშვილი

მისი გვარი მაღალი მთებიდან მოდის. მკაცრი, მთის ქალის იერით, ქართველი ქალისთვის დამახასიათებელ სილამაზეს ასხივებს, ხავერდოვანი ხმით თბილ, ტკბილ სიმღერებს მღერის. ზოგჯერ წერს კიდეც. „ის ვაჟი“ მის სავიზიტო ბარათად იქცა. ბევრმა, ალბათ, არც იცის, რომ ამ სიმღერის, მუსიკისა და ლექსის ავტორი თავად ნინო ბაშარულია.

საზოგადოებამ ის ჯერ კიდევ 2009 წელს გაიცნო, როცა 29 წლის ასაკში „ჯეოსტარში“ გამოჩნდა.

- ნინო, რა ხდებოდა შენს ცხოვრებაში ჯეოსტარამდე?

- ამ პროექტამდე მქონდა მუსიკალური ბენდი „პალომა“, რომელიც ესპანეთიდან ჩამოსვლისთანავე არაჩვეულებრივ მუსიკოსებთან ერთად ჩამოვაყალიბე. ვმღეროდით კლუბებში, კაფე-ბარებში. მერე გადავწყვიტე გამომეყენებინა შანსი და დავმდგარიყავი დიდ სცენაზე. ასეც მოვიქეცი. „ჯეოსტარმა“ დიდი გამოცდილება და პოპულარობა მომიტანა. ამ პროექტის შემდეგ ქუჩაში ხალხის სიყვარულს ვგრძნობდი, იმხელა დადებითი მუხტი მოდიოდა ადამიანებისგან, რომლებსაც არ ვიცნობდი, სხვა რომ არაფერი, ამისთვის ღირდა ამ პროექტში მონაწილეობა.

- ნინო, საიდან მოდის შენი გვარი?

- მიუხედავად იმისა, რომ „ჯეოსტარზე“ ხევსურეთის სახელით გავედი, ჩემი ხევსური მეგობრების დაჟინებული მოთხოვნით, ჩემი გვარი გუდამაყრიდან მოდის. წმინდა სისხლის მთიულები ვართ. თუმცა არის მოსაზრება, რომ ეს გვარი როშკადან ჩამოსახლებული წიკლაურებიდან მოდის. რომკა ხევსურეთის ერთ-ერთი ლამაზი სოფელია.

- როგორი ხასიათია შენში, მთიულის თუ ხევსურის?

- ერთნაირი ხასიათის თვისებები აქვთ მთიულებსა და ხევსურებს. ფიცხები არიან, ჯიუტები, მაგრამ ერთგულები და უღალატოები. მე თბილისში დაბადებული და გაზრდილი ვარ, ამიტომ სითბოც დაემატა ამ თვისებებს. თბილი და მოსიყვარულე ვარ. ჩვენი ერთ-ერთი სოფელი, „ბაშართა“, ახალგორის რაიონში მდებარეობს. სამწუხაროდ, აგვისტოს ომის შემდეგ სოფელი საზღვარზე მოექცა, შესაბამისად, ყველანი წამოვიდნენ, იქ არავინ დარჩა. ოცნებად დამრჩა ამ სოფლის ნახვა. იმედია დავიბრუნებთ კვლავ ჩვენს ტერიტორიებს და მეც მომეცემა საშუალება ვნახო „ბაშართა“.

- შენი ეს მუსიკალური ნიჭი გენეტიკურია?

- მამა არაჩვეულებრივად მღეროდა ვისოცკის სიმღერებს, ძალიან უყვარდა ეს მომღერალი, თან მაშინ ძალიან მოდური იყო. ისე ამსგავსებდა მის ხმას, ზოგჯერ ეშლებოდათ კიდეც მასში. მამა ხშირად მოგზაურობდა. ერთხელ, ლვოვში ყოფნის დროს, რესტორანში დაუკრავს ვისოცკის სიმღერა და უმღერია. გარედან შემოსულა ხალხი, ვისოცკი მოუწვევიათო. დედა დღემდე კარგად მღერის, არაჩვეულებრივი ხმის ტემბრი აქვს, ჩემზე უკეთესი. ბებია, რომელიც წარმოშობით ოსია, ფანდურზე უკრავდა და მღეროდა ქართულ-ხალხურ სიმღერებს.

- ალბათ, არ არის გასაკვირი, რომ მთის ქალი სხვადასხვა ქვეყნების ეთნო მუსიკით დაინტერესდა...

- ეთნო მუსიკა ყოველთვის მაინტერესებდა. ვფიქრობდი, ეს ჩემი ქართული ხომ მიყვარს და გამჯდარია ჩემში, მაგრამ სულ მაინტერესებდა რა ხდება იმის იქით, თუ არის რაიმე უკეთესი. მივეპოტინე, სად აღარ ვიმოგზაურე ინტერნეტით. ხან აფრიკაში ჩავედი და იქაური „იავნანები“ ვისწავლე, ესპანეთში ფიზიკურადაც ვიყავი. მათი ფლამენკო კარგად შევისწავლე, მასტერკლასებიც გავიარე. დამაინტერესა პორტუგალიურმა ფადომ, სლავურმა ფოლკმა. მიზიდავდა ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია საოცარი მუსიკალური ტრადიციების ქვეყანაა, კოსმიური ბგერები და მელიზმები აქვთ.

- რა აღმოაჩინე, ქართულ ფოლკს ჯობია რომელიმე ქვეყნის ეთნომუსიკა?

- ყველა ქვეყნის ეთნო მუსიკა არაჩვეულებრივია, განუმეორებელი, მაგრამ ქართული პირველია, იმიტომ არა, რომ ქართველი ვარ, მართლა ასეა. სხვადასხვა ქვეყნის ეთნომუსიკის შესწავლის, მოსმენის შემდეგ, აღმოვაჩინე, რომ უფრო შემიყვარდა ქართული სიმღერა, ქართული ენა. ახლახან მიუნხენიდან დავბრუნდი. ემიგრანტებს ავტოგრაფს რომ ვუწერდი, ერთ-ერთი გერმანელი თავის ქართველ ცოლს ეკითხებოდა, რეებს ხატავს ეს გოგო, მე ავტოგრაფი მინდოდაო (იცინის). იმდენად ლამაზია ჩვენი დამწერლობა, ყველას მოსწონს.

- მიუჰენში იქაურმა ქართველებმა მიგიწვიეს?

- ბერლინის სათვისტომოს სურვილი იყო ჩავსულიყავი მიუჰენში და მათთვის გამემართა სოლო კონცერტი. სოლო კონცერტით წარვდექი იქაური მაყურებლის წინაშე, ჩემი გიტარით ჩავედი მიუნხენში. ჩემი საავტორო სიმღერები ვუმღერე. იქაურმა ემიგრანტებმა მითხრეს, რომ ინგლისში, კერძოდ ლონდონში, არსებობს ინგლისელი გოგონა, რომელიც ქართულად ისე მღერის ჩემს სიმღერას, „ის ვაჟი“, რომ ვერ მიხვდები ქართველი რომ არ არის. დამპირდნენ, რომ გამომიგზავნიან ვიდეოს, რომ თავად მოვისმინო, ვნახო.

- „ის ვაჟი“ მართლაც სავიზიტო ბარათი აღმოჩნდა შენთვის. მიამბე მისი შექმნის ისტორია...

- ამ სიმღერის მუსიკა მეხივით უცებ მოვარდა, თავზე დამეცა, სულ რაღაც 15-20 წუთში დავწერე. მერე ორი დღის განმავლობაში იქმნებოდა ტექსტი. ორივე მე მეკუთვნის, ტექსტიც და მუსიკაც. რომ გითხრათ, რაიმე კონკრეტულ ისტორიას მოჰყვა-მეთქი, მოგატყუებთ. ეს სიმღერა არის იმ ზეციურ ჭაბუკზე, რომელზეც ყველა ქალი ოცნებობს. ამიტომაც გაიარა ყველა ქალის გონებაში. მამაკაცებს კი, ალბათ, იმიტომ მოსწონთ, რომ სწორედ ასეთ მზეჭაბუკებად სურთ აღიქვამდნენ ქალები.

- შენ ზეციურ მზეჭაბუკზე რას მეტყვი?

- ჩემი ზეციური მზეჭაბუკი ქრისტეა. ეს დევს ამ სიმღერაშიც. ის ვაჟი არის ზეციური ჭაბუკი, უნაკლო, იდეალი ყველასთვის, მაგრამ ჩვენს რეალობაში, ქალურ ყოფაში გამოჩნდა, როგორც რაინდი. ასეთადაც მინდოდა დამეხატა, ყველა ქალისთვის საოცნებო რაინდად. რაც შეეხება ჩემს პირად ცხოვრებას, ჩემს ამქვეყნიურ რაინდს, ასეთი ჩემი მეუღლეა, გელა კაციტაძე. გელა პოეტია, არაერთი ჩემი სიმღერის ტექსტის ავტორი.

- როგორ იპოვეთ ერთმანეთი?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფსიქიკურად დაავადებულებს ნინო ბაშარულმა

„ქუჩაშიც მიმღერია, მიწისქვეშა გადასასვლელშიც. ეს იყო იმ მუსიკოსების მხარდაჭერა, რომლებიც „პადზემკებში“ მღეროდნენ“

„უწმინდესმა ორჯერ გამოიყვანა დეპრესიიდან“

- მეგობრის ოჯახში გავიცანი გელა. მაშინ ჩემი პირველი ქორწინება, რომელმაც ვაჟი მაჩუქა, დიდი ხნის დამთავრებული იყო. საბა ახლა 13 წლის არის. მართალი გითხრათ, მაშინ ოჯახის შექმნას აღარ ვაპირებდი. გადაწყვეტილი მქონდა, მთელი ცხოვრება ჩემი შვილისთვის, ჩემი შემოქმედებისთვის მიმეძღვნა. მაგრამ ამ ადამიანმა მართლა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქორწინებაზე დავთანხმებოდი.

- საინტერესოა, როგორია მამაკაცი, რომელმაც ნინო ბაშარულის გული მოინადირა?

- უბრალო ბიჭია, რომ შეხედავ, შეიძლება არც იფიქრო, რომ ჩემი მეუღლეა.

- რატომ?

- ბიჭურია, ახალგაზრდული, ცილინდრით, უცნაური, თავისებური, ინდივიდუალური ჩაცმულობით. პოეტია, რაჭველი, მაგრამ ძალიან ჯიუტი და პრინციპული. უარს რომ ვეუბნებოდი, თავის დანებებას ვთხოვდი, სადაც მივდიოდი იქ მხვდებოდა. თავიდან ვმეგობრობდით, ბელგიაში ცხოვრობდა, ცამეტი წელი ემიგრანტი იყო, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდა. ჩამოვიდა, გამიცნო. პირველივე დღეს სამებაში წამიყვანა და წმინდა ნინოს ხატი მაჩუქა. ერთი წელი ვმეგობრობდით, ვძმაკაცობდით. მერე ვეღარ დამალა გრძნობები, რომელიც ბელგიაშივე აწუხებდა თურმე.

- ლექსებსაც გიძღვნიდა, ალბათ, რომელი იყო პირველი?

- „ქალავ, ნუ დაიგვიანებ, ჩემგან არ გირჩევ შორს წასვლას. ქარი ჯერ აგიფრიალებს, მერე გაგტაცებს მოსასხამს“. ამ ლექსზე სიმღერაც დავწერე, რომელსაც ახალ ალბომში აუცილებლად შევიტან.

- როგორც ვიცი, გელას პირველი ქორწინებიდან ბიჭები ჰყავს.

- ჩვენ საერთო შვილი გვყავს, ლაზარე. გელას პირველი ქორწინებიდან ორი ბიჭი ჰყავს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ. მაქვს სურვილი დედობა გავუწიო მათ, ვიზრუნო მათზე, მაგრამ მივხვდი, რომ ზედმეტად ვიჭრებოდი ამ ფუნქციაში, ეს არასდროს გამომივიდოდა. არც ერთ დედას არ ესიამოვნება, როცა მის ადგილს იკავებ. მათი დედა საზღვარგარეთ ცხოვრობს. გელას უფროსი ბიჭი ჩვენთან ცხოვრობს, უმცროსი შაბათ-კვირას მოდის ხოლომე.

- ნინო, როგორც ვიცი, შენი პირველი ალბომი გამოვიდა.

- კი, ეს არის ჩემი პირველი ალბომი და ვგეგმავ მის გაყიდვას წიგნის მაღაზიებში, მისაღებ ფასში, რადგან ეს არ არის კომერციაზე გათვლილი ალბომი. მინდა ხელმისაწვდომი იყოს ყველა ქართველისთვის, ვისაც ჩემი სიმღერების მოსმენა მოუნდება. 8 სიმღერაა შესული ალბომში და ასე უბრალოდ, ნინო ბაშარული ჰქვია.

- ნინო, რა ჰქვია სტილს, რომელსაც შენ მღერი?

- თავიდან ამოჩემებული მქონდა ეთნო-კლასიკური ჟანრი, რადგან ჩემს სიმღერებში კლასიკური ჟანრია ფოლკთან შერწყმული. მაგრამ ჩემი მეგობრები, ახლობლები, უცნობებიც კი, ყოველთვის ამბობდნენ, რომ ჩემი მუსიკა არის მისტიკური ჟანრი. ასე შერჩა ჩემს სიმღერებს მისტიკური ჟანრის სახელი.

- ახლა სად მღერის ნინო ბაშარული?

- სულ მინდოდა სადმე მემღერა. „ზაზანოვას“ შემდეგ არსად მიმღერია ყოველ კვირას. ივენთებზე, დღესასწაულებზე, ფესტივალებზე ყოველთვის გამოვდივარ. ახლა, ერთ კვირაში ვგეგმავთ საქველმოქმედო კონცერტს, სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად.

- ვიცი, რომ საქველმოქმედო კონცერტზე არასდროს ამბობ უარს. შენ გეკუთვნის იდეა, კონცერტის გამართვისა ფსიქიკურად დაავადებულთათვის. შედგა ეს კონცერტი?

- სამწუხაროდ, ვერ შედგა ეს კონცერტი. ჩემმა მეგობარმა, რომელიც პროფესიით ფსიქიატრია, არ მირჩია ამ კონცერტის მათთვის ჩატარება. შენი სიმღერები ზედმეტად ემოციურია, მათზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოსო, მითხრა. დავუჯერე, შემეშინდა, ვიგრძენი პასუხისმგებლობა მათ მიმართ. თუმცა მომავალში შესაძლოა გავმართო კონცერტი და შერჩევით, ნაკლებად მძიმედ დაავადებული პაციენტები მოვიწვიოთ ჩემი სიმღერების მოსასმენად.

- ასეთი უცნაური იდეები ხშირად მოგდის?

- კი.

- ყველაზე უცნაურ ადგილას, ყველაზე უცნაური ქველმოქმედებით სად ჩაგიტარებია კონცერტი?

- მთელი ჩემი ცხოვრება საქველმოქმედო კონცერტებია. მე ქუჩაშიც მიმღერია, მიწისქვეშა გადასასვლელშიც. ეს იყო იმ მუსიკოსების მხარდაჭერა, რომლებიც „პადზემკებში“ მღეროდნენ.

- ნინო, რა არის შენი ძირითადი პროფესია?

- სიყვარული (ილიმება). ეს უნდა იყოს მთავარი პროფესია ადამიანებისა, იმისთვის მოვდივართ ამ ქვეყანაზე, რომ რაც შეიძლება მეტი სიყვარული დავთესოთ.

- ძალიან მაღლა ხარ, ღრუბლებში, ვარდისფერი სათვალით...

- ამ სათვალის მოხსნას ყოველთვის მეხვეწებოდნენ ჩემი მეგობრები, მაგრამ იმდენად დიდი კომფორტია მათთვის, რომ მე ასეთი ვარ... ამან გადამარჩინა... ამის მიღმა, როგორც ყველა ადამიანს, მეც მაქვს უამრავი ყოფითი პრობლემა.

- რას გამოჰყავხარ დეპრესიიდან?

- უწმინდესს. ორჯერ გადამარჩინა ამ ადამიანმა. ისეთ დეპრესიაში მივედი პირველად, სიცხიანი, ჯანმრთელობაშერყეული... მასთან შეხების შემდეგ მომენტალურად გავძლიერდი. ისე წამოვედი იქიდან, მეგონა ცხრა მთას გადავდგამდი. წყობიდან იშვიათად გამოვდივარ და როცა გამოვდივარ, ზიანს ვაყენებ საკუთარ თავს.

- როგორ?

- ვნერვიულობ, ვხდები, ვბერდები, ნერვები სათითაოდ, სიმებივით მიწყდება, არასასიამოვნო სანახავი ვარ... ილია მეორეს ვუმღერე „ის ვაჟი“ და მომიწონა. ეს დიდი სტიმული იყო ჩემთვის. მას მივუძღვენი ჩემი ერთ-ერთი საავტორო ნამუშევარი „არხოტის წყალი“. მეორედაც მივაკითხე უწმინდესს, კვლავ დეპრესია მქონდა და მისგან წამოსულმა დავწერე სიმღერა, ტარიელ ხალხელაურის ლექსზე „სევდის ბალადა“.

- ნინო, რა სამომავლო გეგმებში გაქვს?

- გამომეხმაურა ძალიან ნიჭიერი რეჟისორი, მიხეილ მრევლიშვილი, რომელიც ახლა ევროპაში იმყოფება გადაღებებზე. მითხრა, რომ კლიპის გადაღება სურს ჩემს სიმღერაზე, „ის ვაჟი“ და მირჩია, რომ უარი არ ვთქვა. ამაზე უარს როგორ ვიტყოდი. ისეთი სცენარი მომიყვა ტელეფონით, ენა ჩამივარდა. ზაფხულში დავიწყებთ გადაღებებს, რა თქმა უნდა, საქართველოში.

- ის ვაჟი გამოჩნდება?

- გამოჩნდება, ოღონდ ზეციური და ამაღლებული იქნება, როგორიც წამომედგინა. ჯერჯერობით საიდუმლოდ დავტოვებ, ვინ ითამაშებს იმ ვაჟის როლს კლიპში, რადგან ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. რაც შეეხება ქალს, ის აუცილებლად მე ვიქნები. არ ვიცი მსახიობობა რამდენად გამომივა, მაგრამ, ალბათ, არ გამიჭირდება, რადგან მე განვასახიერებ საკუთარ თავს, მე ვიქმები მე.

- შენ ყოველთვის იყავი შენ და დიდი მადლობა ამისთვის, იმ სიმღერებისთვის, რომელსაც გვჩუქნი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეპორტაჟი სამარ

„აუფ, გიბერავს, ახლა შენც ახალი გამოსული ხარ აბაზანიდან და არ გაცივდე“

„მოითხოვეთ, მაშინ როცა მუშაობს, არ მუშაობს, ქალბატონო, და სულს ხომ არ შეგიბერავთ“

როგორ მო კონდიცი

ნინო მჭედლიშვილი

- რატომ არ რთავთ კონდიციონერს? - კითხულობს მგზავრი 100 ნომერ სამარშრუტო ტაქსში... უკვე ბინდია, მაგრამ სიცხე და უჰაერობა ტანჯავს მგზავრებს ხალხით გადაჭედილ ტრანსპორტში. მერიის შესაბამისმა სამსახურმა წინა დღით საგანგებოდ გაგვაფრთხილა, ყვითელი სამარშრუტო ტაქსები ამ მხრივ გამართულია და ჩაურთავი კონდიციონერის შემთხვევაში, ცხელ ხაზზე დაგვირეკეთო.

„კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ მგზავრებს მიმართავს და მოუწოდებს, რომ უკმაყოფილების შემთხვევაში დარეკონ კომპანიის საინფორმაციო ცენტრში ტ: 2 200 340. ამასთანავე, მოგახსენებთ, რომ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ კატეგორიულად ითხოვს მძღოლებისგან კონდიციონერების ჩართვას. მონიტორინგის ჯგუფები რეგულარულად ამოწმებენ მიკროავტობუსებს, ხვალ საღამოდან კომპანია გაასაჯაროებს რეაგირების შედეგებს. იმ შემთხვევაში თუ შემოვა შეტყობინება, რომ რომელიმე მძღოლი არ რთავს გასაგრილებელ საშუალებას და თუ ეს შეტყობინება დადასტურდება, გატარდება შესაბამისი სანქციები, კერძოდ, 1. პირველ შემთხვევაზე მძღოლს ეძლევა სიტყვიერი გაფრთხილება; 2. მეორე შემთხვევაზე მძღოლს ერთი კვირით ეზღუდება სატრანსპორტო საშუალების მართვა; 3. მესამე შემთხვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მძღოლთან კომპანია წყვეტს ხელშეკრულებას, - ნათქვამია განცხადებაში.

კომპანიის განცხადებით, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ ზაფხულის დადგომამდე 200 ათასს ლარზე მეტი ხარჯი გასწია სამარშუტო ტაქსებში გასაგრილებელ საშუალებებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

„დედაქალაქის მასშტაბით ყველა მიკროავტობუსში მუშაობს კონდიციონერი. გარდა ამისა, კომპანიამ გაითვალისწინა რა მძღოლების ინტერესებიც, შეუმცირა მათ სეზონურად ყოველდღიური გადასახდელი, რაც თავისთავად მძღოლს ავალდებულებს მგზავრებისთვის კომფორტული პირობების შექმნას და გასაგრილებელი მოწყობილობის ჩართვას“, - ნათქვამია განცხადებაში.

- კონდიციონერი ჩართეთ, თუ შეიძლება!

- გაფუჭებულია ქალბატონო, პასუხობს მძღოლი.

- ყველას ერთნაირად როგორ გაგიფუჭდათ. ტყუილია ეგ. მესამე სამარშრუტო ტაქსში ვზივარ დღეს და არც ერთში არ იყო ჩართული, ყველა ერთსა და იმავეს გაიძახის, მოილაპარაკეთ?! გაუსაძლისია უკვე ეს მდგომარეობა.

- ახლავე ჩავრთავ, ქალბატონო და საკუთარი თვალით ნახავთ, თბილ ჰაერს უბერავს. (ცოტა ხნის შემდეგ).

- ეს ვინტილაციაა, ბატონო, ასე ატყუებთ ხალხს, თბილ ჰაერს დაუბერავს, აბა, რას იზამს, გარედან შემოაქვს, ამდენი ფიზიკა ვიცით.

- რა ვქნა გენაცვალე, მართლა გაფუჭებულია.

- ცხელ ხაზზე რომ დავრეკო ახლა, ხომ გაკეთდება უცებ. გვითხრეს, რომ ამ მხრივ ყველა სამარშრუტო ტაქსი გამართულია და თუ არ იქნება ჩართული კონდიციონერი, დარეკეთ ცხელ ხაზზეო.

- დარეკეთ ქალბატონო, თუ გაგრილდებით...

- ხუმრობის ხასიათზეც მოვიდა, ბატონი. თქვენ რა გენაღვლებათ, არ გაწუხებთ ეს პრობლემა, შეეჩვიეთ, ალბათ, უკვე...

- დამშვიდდით ქალბატონო, ანერვიულებთ მძღოლს, ასეთ შემთხვევაში ხომ შეიძლება საავარიო სიტუაცია შექმნას. მერე მძღოლს დააბრალებთ, ერთი სიტყვა არ შეარჩინეთ, - გამოესარჩლა მძღოლს წინა რიგებიდან ხანშიშესული ქალბატონი.

- როგორც ჩანს, თქვენც ეს პრობლემა არ გაწუხებთ. თქვენთვის არაფერი მითქვამს, ნუ ჩაერევით.

- ასე ძალიან თუ გცხელათ, ჩაბრძანდით და ტაქსით იმგზავრეთ.

- მე თავად გადავწყვეტ, რომელი ტრანსპორტით ვისარგებლო, იქნებ, შინ რომ მივალ, ვახშამიც შემირჩიოთ. თქვენნაირების ბრალია, ასე რომ გვიწევს მგზავრობა. ჩემი უფლებები ირღვევა, მაქვს უფლება მოვითხოვო.

- მოითხოვეთ მაშინ, როცა მუშაობს, არ მუშაობს ქალბატონო და სულს ხომ არ შეგიბერავთ, კვლავ სცადა ხუმრობა მძღოლმა.

- აჰა, კიდევ! სულ არ ვარ ხუმრობის ხასიათზე, ახლავე დავრეკავ ცხელ ხაზზე... ვინ იცის ცხელი ხაზის ნომერი?

სამარშრუტო ტაქსში სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

- აი, არავინ იცის, მძღოლის ნერვებს უფრთხილდებით... ჩვენ ნერვებზე ფიქრობს ვინმე?!

- მართალია ეს ქალი, - აჰყვა გვერდითა სავარძლიდან წითელკაბიანი, სულ ასე ავარიის გვეშინია და მთელი ზაფხული ამოვიხუთეთ ამ ტრანსპორტში. ამას წინათ, ერთმა მძღოლმა მითხრა, აგვისტოში ჩაგირთავთ კონდიციონერსო. დაგვცინიან! ივნისის 40 გრადუსი არ ჭრის, თუ როგორაა თქვენი საქმე?

- დამშვიდდით, ცოდოა მძღოლი, როგორ მართოს საჭე, ახლა არაფერი ეშველება ამას, ყველას გამორთული აქვს ეს კონდიციონერი და ყველას ჯავრი ამ ერთ კაცზე უნდა იყაროთ, ისევ აყვირდა, წინა რიგიდან, მძღოლის დამცველი...

ამასობაში აქტიური ქალის გვერდით ადგილი გათავისუფლდა, გვერდით მიუჯდა მამაკაცი, რომლის „სურნელოვანი“ ზედატანით ჰიპნოზი გექონდა თითოეულ მგზავრს გაკეთებული. გამწარებულმა ქალმა ფანჯარა ხმაურით გააღო. იქნებ დახუროთ ქალბატონო, მიბერავს, სთხოვა, „სურნელოვანი“ პერანგის მფლობელმა. „აუფ, გიბერავს, ახლა შენც ახალი გამოსული ხარ აბაზანიდან და არ გაცივდე“, - მიახალა ქალმა.

დღე მეორე... კვლავ სიცხე, კვლავ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შრუტო ტაქსებიდან

„დარეკეთ ცხელ ხაზზე თუ გაგრილდებით“

ვიქცეთ თუ მძღოლი ონერს არ რთავს

ობლემა გაწუხებთ სამარშრუტო ტაქსიში?

- დაუბანლობის პრობლემა, რომელიც, სიცხეში მეტისმეტად გაუსაძლისი გახდა. ასეა ყოველ ზაფხულს. საშინლად მოქმედებს ეს უსიამოვნო სუნი ჩემზე, მიფუჭდება ხასიათი, განწყობა, გარეგნობა და ვარცხნილობაც კი (იცინის). სინამდვილეში სულ არ არის სასაცილო ეს პრობლემა, უბრალოდ, ცოტა იუმორით თუ არ შეხედე ზოგიერთ პრობლემას, შეიძლება გაგიჟდე ადამიანი... ძალიან მომრავლდნენ ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ ფიქრობენ ჰიგიენაზე. ან ფიქრობენ და ცუდად ფიქრობენ, მაგალითად, გუშინ გვერდით მეჯდა ახალგაზრდა გოგო, რომელსაც შანელისა და ოფლის სუნი ერთნაირად ასდიოდა.

ნინო კანდელაკი (26 წლის):

- 17 ნომერით ვმგზავრობ. დღეს დილით სამსახურში რომ მოვდიოდი, არ იყო ჩართული გამაგრილებელი საშუალება. პირველად დილას 12 საათზე დავრეკე ცხელ ხაზზე, სამარშრუტო ტაქსის სერია და ნომერი ჩავანერინე. მითხრეს, რომ რეაგირებას მოახდენდნენ. თან ბოლო გაჩერებაზე ჩავჯექი ტრანსპორტში. გამოსვლამდე მძღოლები აგინებდნენ თავიანთ შეფებს. გზაში ქალმა უთხრა, ჩართეთ კონდიციონერიო და აყვირდა მძღოლი. ისიც თქვა, რომ უთხრეს, დაღმართზე ჩართე და აღმართზე - არაო, რაც ცხელ ხაზზე გადავამოწმე და მითხრეს, რომ ტყუილია. საღამოს, სამსახურიდან რომ ვბრუნდებოდი, უარესი მდგომარეობა იყო, სუნთქვა არ შეიძლებოდა ტრანსპორტში. მძღოლს რამდენჯერაც ვუთხარით, წაუყრუა, ვითომ ვერ გაიგო. ხმას საერთოდ არ გვცემდა. ასეთი არაფერი მინახავს. როგორც კი ჩამოვედი მანქანიდან, ნომერი და სერია დავიმახსოვრე, ცხელ ხაზზე დავრეკე და არავინ აღარ მიპასუხა. ცხრის წუთები იყო. სავარაუდოდ, ექვს საათამდე მუშაობენ.

P.S. იმუშავებს თუ არა ცხელი ხაზი და დაპირებული სანქციები, დრო გვიჩვენებს. ფაქტი ერთია, მძღოლი „შეფისკენ“ იშვერს ხელს, „შეფი“ მძღოლისკენ, მგზავრი კვლავ დაუცველია.

დაუბანლობა და კვლავ გაუსაძლისი სამგზავრო პირობებით შეწუხებული მოსახლეობა...

ნინო ჭელიძე (30 წლის):

- საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რეალურად, დისკომფორტია. ბათუმშიც კი უკეთესი ავტობუსები დადიან, ვიდრე თბილისში. როდესაც ე.წ. ყვითელი მარშრუტკები ჩამოიყვანეს და მგზავრობის ღირებულება 80 თეთრი გახდა, გვითხრეს, რომ ერთ-ერთი მიზეზი ის კომფორტი იქნებოდა, რომელსაც მგზავრობისას შევიგრძნობთ. მაგრამ, მას მერე ყოველ წელს მგზავრები ლამის ყელმოღერებულები ეხვეწებიან მძღოლებს კონდიციონერის ჩართვას. თუმცა, მხოლოდ მას მერე რთავენ, რაც მონიტორინგი იწყება. რომ დააკვირდე, გამოდის, რომ ტემპერატურის მატების პერიოდში მხოლოდ 2 თვით ირთვება კონდიციონერი. სიცხე იქით იყოს და აუტანელ სიცხეს აყროლებული სუნიც რომ ემატება, მართლა სჯობს, ფეხით იარო, ან ხელის „ვინტილატორი“ იყიდო და ისე ჩაჯდე მარშრუტკაში, აირნინაღში, უბრალოდ, ცხელა, თორემ ყველაზე ეფექტურია.

ლაშა დევიძე (19 წლის):

- ყოველდღიურად 133 ნომერი სამარშრუტო ტაქსით მიწევს გადაადგილება. საშინელება ხდება ჩვენს სამარშრუტო ტაქსებში. ცხელა, პიკის საათებში ხალხი ფეხზე დგას, მეც მათ შორის. ახალგაზრდა ვარ, ვერ ვჯდები, უნდა დავუთმო ადგილი სხვებს. ვდგავარ ფეხზე და ისეთი ხალხმრავლობაა ტრანსპორტში, ჰაერის ადგილიც არ არის. მძღოლი, ძირითადად, ასეთ დროს სიგარეტს ეწევა. მე ავიტან, არ მაქვს პრობლემა, მაგრამ იმ დღეს ჩემ უკან ფეხმძიმე გოგო იდგა, იმისთვის ხომ მავნებელია... გარდა ამისა, სამარშრუტო ტაქსების უმეტესობაში, გამაგრილებელი საშუალების ნაცვლად, ვინტილაცია აქვთ ჩართული, ასეთ სიცხეში ეს, ფაქტობრივად, გამათბობელია. ოფლი მოსდის ხალხს, ცხელა ტდანსპორტში. ამას წინათ, რომ ვიჩხუბეთ მგზავრებმა, ასე გვითხრა მძღოლმა, ეგ მეტ საწვავს წვავს და აგვისტოში ჩაგირთავთო.

- რომელიმე სამარშრუტო ტაქსში ამ ზაფხულს, ჩართული კონდენციონერი თუ გინახავთ?

- არც ერთში, ასეთი თუ შემხვდა სადმე, დავრეკავ ცხელ ხაზზე და შევატყობინებ. რაიმე ჯილდო, ან ფულადი პრემია გამოუნერონ მძღოლს. ვერ ვხვდები, რატომ გაგვიძვირეს მგზავრობა, თუ იმავე პირობებში უნდა გვემგზავრა. არიან ისეთი მძღოლებიც, რომლებიც იტყუებიან, რომ კონდიციონერი არ მუშაობს. არიან ისეთებიც, რომლებიც ჯიგრულად ალალად, გვეუბნებიან, საწვავი გაძვირდა და ოჯახს რა ვაჭამოო.

- გარდა სიცხისა, კიდევ რა პრ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბაჩო ცხადაძე ბაქოს „ინტერს“ ფიფაში უჩივის

„სიტყვიერად შეთანხმებულები ვიყავით, რომ მაისის ბოლოს დავალიანება გასტუმრებული იქნებოდა, მაგრამ ბოლო საუბრისას მითხრეს, რომ არ შეუძლიათ ამ თანხის გადახდა და არ ეწყინებათ, თუ ფიფაში გაირკვეოდა ჩვენი ურთიერთობები„

EXCLUSIVE

მაგდა კლდიაშვილი

ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ბაჩო ცხადაძე ყოფილ კლუბს, ბაქოს „ინტერს“ უჩივის. საქმე ეხება დავალიანებას, რომელიც აზერბაიჯანულ კლუბს ამ დრომდე არ გადაუხდია. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერი მოლაპარაკება არსებობდა, ხოლო ფეხბურთელს „ინტერთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა, ბაქოელებმა აღებული ვალდებულებების შესრულებაზე უარი განაცხადეს. თავდამსხმელი ამ დრომდე გათავისუფლების ფურცელს ელოდება, მანამდე კი შემოთავაზება თბილისის „დინამოდანაც“ მიიღო. რატომ ვერ შედგა მასსა და „დინამოს“ შორის შეთანხმება და სად გააგრძელებს კარიერას ფეხბურთელი - „პრაიმტაიმი“ ბაჩო ცხადაძეს ესაუბრა.

- ბაქოს „ინტერთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი გაქვს. გარდა ამისა, ბაქოელებს შენი ვალიც აქვთ გასასტუმრებელი, როგორ დაშორდით შენ და „ინტერი“?

- სამწუხაროდ, ჩვენი ურთიერთობა დასრულდა იმით, რომ ჩემმა ადვოკატმა წერილი გაუგზავნა და გააფრთხილა ისინი. გუნდს 7 დღე აქვს, რომ ფული გადაიხადოს, ან საქმე ფიფაში წავა. აქედან ხუთი დღე გავიდა, მაგრამ, სავარაუდოდ, ამ თანხას არ გადაიხდიან, სადაც ამდენი ხანი არ გადაიხადეს. სიტყვიერად შეთანხმებულები ვიყავით, რომ მაისის ბოლოს დავალიანება გასტუმრებული იქნებოდა, მაგრამ ბოლო საუბრისას მითხრეს, რომ არ შეუძლიათ ამ თანხის გადახდა და არ ეწყინებათ, თუ ფიფაში გაირკვეოდა ჩვენი ურთიერთობები.

- გათავისუფლების ფურცელი მიიღე?

- ოფიციალურად ჯერ არ მოუციათ. გარკვეული პროცედურაა და სამ დღეში მივიღებ. პლუს ამას, რა დავალიანებაც ჰქონდათ, იმის გადახდა დაეკისრათ. გარდა ამისა, „ინტერმა“ უნდა გადაიხადოს ერთი წლის თანხაც, რაც კონტრაქტით იყო გათვალისწინებული, რასაც მომავალი წლის ხელშეკრულება განსაზღვრავდა. რაც შეეხება დავალიანებას, ოთხვენახევრის ხელფასია გადასახდელი.

- ეს პრობლემა მარტო შენთან არსებობს თუ სხვებთანაც?

- არა, ყველასთან ასეა.

- მაშინ გიორგი ლომაია რატომ დარჩა „ინტერში“?

- გუნდს ჰყავს ახალი სპონსორი და ის თავის თავზე იღებს მომავალი წლის ბიუჯეტს. კლუბის ბიუჯეტი 70%-ით შემცირდა, მაგრამ, რასაც შეჰპირდებიან ახალ ფეხბურთელებს, მას ახალი სპონსორი გადაუხდის. რაც შეეხება ძველ დავალიანებას, ამის გადახდა ძველ სპონსორს დაეკისრა.

- ერთი წლის კონტრაქტის თანხას ახალი სპონსორი გადაიხდის?

- დღემდე რა კონტრაქტებიც იყო დადებული, ყველაფერი ძველმა სპონსორმა უნდა გადაიხადოს. ასე ამბობენ თვითონ. პრინციპში, ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ვინმემ გადაიხადოს.

- შენით „ზაპოროჟიე“ და „სლავია“ არიან დაინტერესებული. რომელ გუნდზე შეაჩერებ არჩევანს?

- სიმართლე გითხრათ, ორივე გუნდი თანაბარ პირობებშია. რაღაც ნიუანსების გამო ჯერ ვერ მივიღე გადაწყვეტილება. საჩქაროც არაა, არც ერთი გუნდის შემთხვევაში. ისინიც არ ცდილობენ შეკრებას. მოსამზადებელი ეტაპი უკრაინაში გვიან იწყება, იმ გუნდების გარდა, რომლებიც ევროსარბიელზე გამოდიან. „ზაპოროჟიე“ არსად გასულა, გუნდი ჯერ არ შეკრებილა. ახლა მოლაპარაკებები მიდის. არც მე ვჩქარობ და არც ჩემი წარმომადგენელი. კოორდინაციაში გადავწყვეტთ, რომელი იქნება უკეთესი.

- რამდენი ხნით აპირებ ახალ გუნდთან მომავლის დაკავშირებას?

- არ ვიცი, ალბათ, მინიმუმ, ერთი წლით.

- დიდი ხანია უკვე დასვენება დასრულდა, შენ როგორ ახერხებ ფიზიკური კონდიციების შენარჩუნებას?

- დღეში ორჯერ ვვარჯიშობ. თავიდან რომ ჩამოვედი, ერთი დღე დავისვენე. ყველაზე ცუდია, უგუნდოდ რომ ხარ და გაურკვევლობაში იმყოფები. ყოველდღე მზად უნდა იყო.

- თბილისის „დინამოს“ და გია გეგუჩაძეს სურდა შენი დამატება, რატომ ვერ შედგა ეს ტრანსფერი?

- შევხვდით, ვისაუბრეთ და მოხარული ვარ, რომ ისეთი კვალიფიციური მწვრთნელი, როგორიც გიაა, დაინტერესებული იყო, ერთად გვემუშავა. მეც ძალიან დიდი სურვილი მქონდა. „დინამო“ ჩემთვის პირველი იყო და ასე იქნება სულ. პირდაპირ უარი არ მითქვამს. ერთმანეთს როცა შევხვდით, დიდი სურვილი გვქონდა, ერთად გვემუშავა, მაგრამ ვერ შევთანხმდით პირობებზე მე და „დინამო თბილისი“. „დინამოსთვის“ უარი არ მითქვამს, არ გამოვიდეს ისე, რომ რამე კოლოსალური მოვითხოვე. მსგავსი არაფერი ყოფილა. რაღაცაზე ვერ შევთანხმდით.

„არც მე ვჩქარობ და არც ჩემი წარმომადგენელი. კოორდინაციაში გადავწყვეტთ, რომელი იქნება უკეთესი“

- საქართველოში დაბრუნება რამდენად გამოგადგებოდა?

- საქართველოში სხვა გუნდში დაბრუნებაზე არ მიფიქრია და არც ახლა ვფიქრობ. როდესაც „დინამო“ გეძახის, სულ სხვა რაღაცაა, განსაკუთრებულია ჩემთვის. გამომადგებოდა ისეთ მწვრთნელთან მუშაობა, როგორიც გეგუჩაძეა. ჩემთვის ეს ფაქტორი ბევრ რამეს ნიშნავს.

- თბილისის „დინამოს“ ევროსარბიელზე აზერბაიჯანული „გაბალა“ შეხვდა. ბევრჯერ გითამაშია ამ გუნდის წინააღმდეგ, რა შანსები აქვს „დინამოს“?

- „გაბალა“ ძალიან ძლიერი გუნდია. პირდაპირ გეტყვით, ალბათ, ყველაზე ძლიერი იმ გუნდებიდან, ვინც სავარაუდო მეტოქეებად ჰყავდა „დინამოს“. „გაბალა“ შემთხვევით არის განუთესავი. ფაქტობრივად, არატრადიციული გუნდია ევროპაზე, დიდი გამოცდილება არ აქვს, შარშანაც და წელსაც ძლიერი სეზონი ჩაატარა. მწვრთნელი ძალიან გამოცდილია და მძიმე თამაში იქნება „დინამოსთვის“. შანსები 50/50-ზეა. „დინამოს“ რაც შეეხება, მათი თამაში დიდი ხანია არ მინახავს და გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. დიდი იმედი მაქვს, რომ „დინამო“ „გაბალას“ დაამარცხებს.

- იმის გამო, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის შვილი ხარ, ბევრი გაკრიტიკებს და ეს არ მოგკლებია უკრაინისა და პოლონეთის თამაშების შემდეგაც, თავად კმაყოფილი ხარ საკუთარი თამაშით?

- უკრაინასთან თამაშით, შეიძლება ითქვას, 45 წუთი, რაც ვითამაშე, კარგი პირველი ტაიმი იყო, მთლიანად გუნდისთვის. უფრო მეტი სიმწვავე ჩვენ გვქონდა, ვიდრე მეტოქეს და არანაირი შანსი არ ჰქონია უკრაინას პირველ ტაიმში. 4:0-ის მერე კი რა უნდა ვთქვა. რასაც ყველა ამბობს, მეც იმას ვიტყვი. ბოლო 5 წუთში ჩავყარეთ ჩვენი შრომა წყალში.

- რა დაემართა ნაკრებს პოლონეთთან?

- ამას ახსნა არ აქვს. თავის გამართლებას და რაღაც მიზეზების ძებნას აზრი არ აქვს. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ შეცდომას გავითვალისწინებთ და არასდროს გავიმეორებთ. ფეხბურთელმა კონცენტრაცია არასდროს უნდა დაკარგო. ვინც არ უნდა იყოს, 90 წუთი იქნება თუ 120 წუთი, ბოლომდე კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ. ეს იყო ყველა ჩვენგანის შეცდომა.

„ყველაზე ცუდია, უგუნდოდ რომ ხარ და გაურკვევლობაში იმყოფები. ყოველდღე მზად უნდა იყო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯიფონის კინოფესტივალი საქართველოში ჩატარდება

„არ არის მარტივი, მოიპოვო ნდობა, რომ ამ ფესტივალის შენს ქვეყანაში ჩატარება განდონ“

„იმ ოთხი სტუმროდან, რომელიც იტალიაში დაგვხვდება, ერთ-ერთი არის მარკ რუფალო, რომელიც ისე მიყვარს, მზად ვარ ვეშვილო“

EXCLUSIVE

my View

ნინო მჭედლიშვილი

2015 წლის 16-19 ოქტომბერს, საქართველოში პირველად ჩატარდება ოთხდღიანი ჯიფონის კინოფესტივალი, რომელშიც 8 ქვეყნის 500 მოზარდი მიიღებს მონაწილეობას. კინოფესტივალის პროგრამა, გარდა კინოჩვენებებისა, ითვალისწინებს დისკუსიებს, ვორკშოპებსა და დამატებით აქტივობებს. მოზარდები ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ჟიურის წევრები და ასაკის შესაბამისად განაწილდებიან +13 და +16 ასაკობრივ კატეგორიებში (ჟიურის წევრების რეგისტრაცია უკვე დაწყებულია და იგი 30 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება).

„ჯიფონი საქართველო“ ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალის ანალოგია, რომლის ჩატარების უფლებაც ამიერკავკასიაში საქართველოს აქვს მოპოვებული. წელს ფესტივალის სლოგანია „დაიჭირე წამი“.

ირმა ჯანჯღავა (პროექტის მენეჯერი):

- ქალბატონო ირმა, პირველ რიგში, ამ ფესტივალის მსოფლიო ანალოგის შესახებ გვიამბეთ...

- ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალი იტალიაში წელს უკვე 45-ედ ტარდება, ქართველი ბავშვები კი, 2013 წლიდან მოყოლებული, ფესტივალზე უკვე მესამედ მიემგზავრებიან. წელს, ივლისის თვეში, იტალიაში 10 ქართველი ბავშვი გაემგზავრება, ოქტომბერში კი თავად საქართველო იქნება ფესტივალის მასპინძელი ქვეყანა.

ჯიფონი არის კინოფესტივალი, სადაც ჟიურის წევრები ბავშვები არიან. 3 000 ბავშვი, მსოფლიოს 50 ქვეყნიდან, ყოველწლიურად უყურებს ფილმებს სხვადასხვა ნომინაციიდან, მსჯელობს, განიხილავს მათ, ბოლოს კი რჩეულს გამოავლენს.

ფესტივალს ისეთი ცნობილი ვარსკვლავები სტუმრობდნენ, როგორებიც არიან: რიჩარ დგირი, ალან რიკმანი, ორნელა მუტი, მედ ბომერი, ლეა მიშელი, დილანო ბრაიანი. შარშან, ჟიურის ქართველ წევრს, თელაველ, ნინო მამუკელაშვილს, ნახევარსაათიანი შეხვედრა ჰქონოდა რიჩარდ გირდთან, დავით ლოლიშვილმა კი თავი ლეა მიშელისთვის და მედ ბომერისთვის განსაკუთრებით საინტერესო კითხვების დასმით გამოიჩინა.

- რატომ ხდება ბავშვების ასაკობრივ კატეგორიებად დაყოფა?

- ბავშვები უყურებენ სწორედ იმ ფილმებს, რომელიც მათ ასაკზეა გათვლილი. ფილმები შერჩეულია ასაკობრივი პრობლემების მიხედვით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ფილმებს არჩევენ, როგორც კინოსპეციალისტები, ასევე ფსიქოლოგები და ფსიქიატრები. ფილმის ნახვის შემდეგ ბავშვები სწორედ იმ პრობლემებზე საუბრობენ, რომელიც მათ აწუხებთ. არ არის აუცილებელი ბავშვი კინემატოგრაფიასთან იყოს დაკავშირებული, მთავარია, უყვარდეს კინო... არ არის მარტივი, მოიპოვო ნდობა, რომ ამ ფესტივალის შენს ქვეყანაში ჩატარება განდონ. პირველი სატესტო გამოცდა ჩავაბარეთ, მეორე გამოცდის ჩაბარება ოქტომბერში მოგვიწევს. 500 ბავშვი გვეყოლება, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და მსოფლიოს არაერთი ქვეყიდან. ფესტივალი ინგლისურ ენაზე იქნება და ბავშვებისთვის ეს დიდი გამოცდილებაა.

- როგორ არჩევთ ფესტივალზე გასამგზავრებლად ბავშვებს?

- ეროვნული კინოცენტრის ვებგვერდზე გამოცხადებული გვაქვს მიღება. საიტზე დევს ანკეტა, რომელიც უნდა შეავსონ ბავშვებმა. მათი პასუხების მიხედვით ჩვენ ვარჩევთ, ვის შეუძლია გაემგზავროს, თუ მის ქვეყანაში უმასპინძლოს კინოფესტივალს. ასე რომ, მსურველებს ჯერ კიდევ შეუძლიათ დარეგისტრირება.

დავით ლოლიშვილი (18 წლის):

- ჯიფონში ვიყავი 2014 წელს. წელსაც მიწევს წასვლა და ძალიან მიხარია. ის ათი დღე, რომელიც იქ გავატარეთ, ის ცხოვრების რიტმი, რომელიც გვქონდა, სწორედ ისეთია, რომელიც მინდა მომავალში მქონდეს. მაგარი შეგრძნებაა, როცა პირისპირ ხედავ ვარსკვლავს, რომლის პოსტერები ოთახში გაქვს გაკრული, როცა შენ საყვარელ მსახიობთან, რეჟისორთან ურთერთობის, კითხვის დასმის საშუალება გეძლევა.

ანი მაჩაიძე (17 წლის):

- მე თბილისის ჯიფონში მივიღე მონაწილეობა და ძალიან კმაყოფილი ვარ, ძალიან კარგი ფესტივალი იყო. ფესტივალის ფარგლებში ჩემი ასაკის კატეგორიისთვის ჩატარდა „რა, სად, როდის“. ძალიან გავერთეთ. ბევრი მეგობარი შევიძინე. ახლა იტალიაში ვაპირებ წასვლას და მოუთმენლად ველი ჩემს საყვარელ მსახიობებთან შეხვედრას. იმ ოთხი სტუმროდან, რომელიც იტალიაში დაგვხვდება, ერთ-ერთი არის მარკ რუფალო, რომელიც ისე მიყვარს, მზად ვარ ვეშვილო (იცინის). ყველანაირი ჟანრის ფილმში აქვს ნათამაშები, თან ძალიან მაგარი რეჟისორიც არის.

- თავად არჩეული გაქვს უკვე მომავალი პროფესია?

- მათემატიკოსობა მინდა.

„მაგარი შეგრძნებაა, როცა პირისპირ ხედავ ვარსკვლავს, რომლის პოსტერები ოთახში გაქვს გაკრული, როცა შენ საყვარელ მსახიობთან, რეჟისორთან ურთირთობის, კითხვის დასმის საშუალება გეძლევა“

„ფილმებს არჩევენ, როგორც კინოსპეციალისტები, ასევე ფსიქოლოგები და ფსიქიატრები“

ირაკლი გოგიბერიძე (16 წლის):

- 13 წლის წავედი პირველად ამ ფესტივალზე, ყველაზე პატარა ჟიურის წევრი ვიყავი. სკოლას დაუკავშირდა კინოცენტრი, დაგვაწერინეს თემა და, ამ მეთოდით, სამი ბავშვი აგვარჩიეს. მერე გასაუბრებები გვქონდა, დისკუსია და ბოლოს სამი ბავშვი გავემგზავრეთ ფესტივალზე.

- რამ მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება შენზე?

- მთლიანად იმ ათმა დღემ, რომელიც იქ გავატარე. ბევრი უცხოელი მეგობარი შევიძინე, რომლებთანაც დღემდე მაქვს კონტაქტი. მოწვეულნი იყვნენ: ჯესიკა ჩესტეინი, ლოგა ლერმანი, საშა ბარონკოელი. ამ უკანასკნელს კითხვაც დავუსვი.

გვანცა ნადირაძე:

- სრულიად გამოუცდელი ვარ ჯიფონისთან დაკავშირებით. წელს გავიგე ამ ფესტივალის არსებობის შესახებ და ძალიან ვნანობ. ზოგადად ძალიან ემოციური ვარ, გაქანებული ფანგგოგონა ვარ.

- ყველასი?

- თითქმის ყველასი (იცინის). საქართველო არ არის განებივრებული მსგავსი ფესტივალებით და როცა იმის საშუალება გვეძლევა, სხვა ქვეყანაში წავიდეთ და ასეთი გამოცდილება მივიღოთ, ამაზე კარგი არაფერია.

ლევან დვალი (ფესტივალის ორგანიზატორი):

- ფესტივალი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ჩატარდება. ძალიან დატვირთული პროგრამა იქნება. კინოფესტივალის გარდა ჯიფონი ითვალისწინებს ძალიან საინტერესო მასტერკლასების სერიას. ბავშვებს ექნებათ დღეში ერთი კინოჩვენება, რომელსაც მოჰყვება განხილვა. პროექტის დიდი ნაწილი ინგლისურ ენაზე ხორციელდება, ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა, ბავშვი ინგლისურ ენას საშუალო დონეზე მაინც ფლობდეს. გარდა ამისა, წელს, საქართველოს ჩათვლით, 8 ქვეყანა იქნება ჩართული ამ პროექტში.

- რა არის ფესტივალის მთავარი მიზანი?

- აუდიტორიის განვითარება, როდესაც ბავშვები ინგლისურ ენაზე იმ საკითხებზე საუბრობენ, რომელსაც ეკრანზე ხედავენ, ანალიტიკური აზროვნება უვითარდებათ, ეხსნებათ პრობლემა უცხოელებთან ურთიერთობაში, უვითარდებათ საკუთარი აზრის დაფიქსირების უნარი და შემოდის კრეატიული ელემენტი იმ მასტერკლასებით, დამატებითი აქტივობებით, რაც პროექტს აქვს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამაზ ელიზბარაშვილის 13 ივნისი

my View

ნინო მჭედლიშვილი

რატომ დაუპირისპირდა ბიზნესმენი სოზარ სუბარს

„მინისტრი კაცი ასეთი ტონით რომ ელაპარაკება ქალებს, ეს ნორმალურია? სადაური კაცობაა ეგ, კაცობაში და ვაჟკაცობაში ეთვლება? მანდ რომ ვყოფილიყავი და ამ ლაპარაკს შევსწრებოდი, ძალიან ცუდად დამთავრდებოდა ყველაფერი, ამას არ ვაპატიებდი“

„61 ძაღლი მომტაცა წყალმა. საოცარი არსებაა ძაღლი. უჭირს სახლის მიტოვება, რომელშიც ცხოვრობს. ღია ვოლიერებში იდგნენ და არ მიდიოდნენ. ბოლოს ძალით მივერეკებოდით“

„სოზარ სუბარის გასაგონად მინდა ვთქვა, სხვანაირად უნდა ელაპარაკოს დაზარალებულებს. პირველ რიგში, ფხიზელი უნდა ჩამოვიდეს, და სხვა ტონით ესაუბროს ქალებს“

„რომ ვნახე, წყალი თითქმის თამარაშვილის ქუჩამდე ამოვიდა, ვიფიქრე, დამთავრდა ყველაფერი-მეთქი. იმხელა წყალი იყო, თბილისის ზღვა გეგონებოდა“

თამაზ ელიზბარაშვილი სვანიძის ქუჩის ის მცხოვრებია, რომელმაც სახლთან ერთად, ოთხფეხა მეგობრები, მათი თავშესაფარი და ბიზნესი ერთ ღამეში დაკარგა. საბედნიეროდ, ოჯახის წევრების გახიზვნა მოასწრო, მაგრამ სამსართულიანი სახლი მთლიანად დაიტბორა. წყალმა წაიღო ძაღლების თავშესაფარი, დაიღუპა ერთი თანამშრომელი, რომელიც მესამე დღეს რუსთავში გამორიყა წყალმა. ათი დათვი და 61 ძაღლი...

სტიქიიდან რამდენიმე დღეში ბიზნესმენმა სვანიძის უბნის დაზარალებულთა საბჭო ჩამოაყალიბა, სათავეში ჩაუდგა და მზად არის მერიას დაეხმაროს ზარალის სწორად დათვლაში, დაზარალებულთათვის შემონირულობების სწორად განაწილებაში...

მძიმე ღამის ქრონოლოგიას თამაზ ელიზბარაშვილი დღეს ჩვენთან ინტერვიუში იხსენებს. რას ითხოვს ბიზნესმენი მერიისგან, რატომ გააღიზიანა სოზარ სუბარის სიტყვებმა და სად იყო შეცდომა დაშვებული მთავრობის წევრების მხრიდან, ჩემი რესპონდენტი თავად გიამბობთ.

- პირველად 4 ივნისს დაიტბორა ძაღლების თავშესაფარი. წყალი ქუჩაზე არ გადასულა, მოსახლეობაში არ შევარდნილა, მაგრამ ჩამოიტანა ძალიან ბევრი ნაგავი, ქვიშა, რომელიც გასაწმენდი იყო. განწმენდეს მხოლოდ გზა, მდინარის კალაპოტი არ გაუწმენდავთ. ათი დღის შემდეგ განმეორდა ანალოგიური და მოხდა ის, რაც მოხდა. დღეს ბიზნესმენ, ლევან ვასაძის წერილი წავიკითხე სოციალურ ქსელში. ამ საავტომობილო გზაზე, რომელიც წყნეთს კოჯორთან აკავშირებს, ხუთასამდე ბავშვი მოძრაობს ყოველდღიურად. ბატონი ლევანი თვეების განმავლობაში წერდა მერიის შესაბამის სამსახურებს, რომ ეს გზა ავარიულია, მეწყერსაშიშია და გაეკეთებინათ სანიაღვრე სისტემა. პროექტი, რომელიც ამ საფრთხეს თავიდან აგვაშორებდა, 7 მილიონი დოლარი ჯდებოდა. მერიამ ყურად არ იღო ბიზნესმენის თხოვნა. მართლაც, დღის საათებში რომ ჩამოწოლილიყო მეწყერი, როცა ბავშვები ავტობუსებით გადაადგილდებიან გზის ამ მონაკვეთში, წარმოგიდგენიათ, რა ტრაგედიის წინაშე აღმოვჩნდებოდით?!

- სად იყავით სტიქიის პირველ საათებში?

- ახალი გზის მონაკვეთში მანქანით დავდიოდი, ვაკვირდებოდი ახალი გზის გვირაბს, მაინტერესებდა სადამდე იყო წყლის დონე. წვიმამ რომ გადაიღო, მდინარე თავის კალაპოტში მოდიოდა, არანაირი საშიშროება არ იგრძნობოდა. რომ მცოდნოდა ახალდაბაში მეწყერი იყო ჩამოწოლილი და წყალი გუბდებოდა, ხალხს გადავარჩენდი.

- თქვენ რისი გაკეთება შეძელით?

- მიუხედავად იმისა, რომ წვიმის გადაღების შემდეგაც მდინარე კვლავ თავის კალაპოტში მოედინებოდა, მაინც გავეცი ბრძანება და ძაღლები გამოვაშვებინე ვოლიერებიდან. თავშესაფრის უკანა მხარეს კლდეა, კლდის თავზე მთა, მთაზე საბურთალოს სასაფლაო. სწორედ იქ გავხიზნეთ ძაღლები. მეც მათთან ერთად ავედი. იქიდან ვხედავდი, როგორ წამოვიდა ტალახითა და ხე-ტყით აზვირთებული მდინარე და წალეკა ყველაფერი. მდინარე თავიდან ატარებდა წყალს, მაგრამ წყლის დონემ იმატა და თავშესაფარი დატბორა. დათვების ვოლიერის პირველი იარუსი დაფარა. მივხვდი, ცუდად იყო საქმე. სამ იარუსად მყავდა დათვები. საწყლებს დრუნჩები ჰქონდათ ამყოფილი და ისე სუნთქავდნენ. ერთი კი ვიფიქრე, დათვებს გამოვუშვებ-მეთქი, მაგრამ მალევე მივხვდი, ისინი საფრთხეს შეუქმნიდნენ იმ საწყალ ხალხს, რომლებიც ისედაც გასაჭირში იყვნენ. დიდი ფანარი მქონდა, იმით ვუყურებდი ყველაფერს. რომ ვნახე წყალი თითქმის თამარაშვილის ქუჩამდე ამოვიდა, ვიფიქრე, დამთავრდა ყველაფერი-მეთქი. იმხელა წყალი იყო, თბილისის ზღვა გეგონებოდა. 61 ძაღლი მომტაცა წყალმა. საოცარი არსებაა ძაღლი. უჭირს სახლის მიტოვება, რომელშიც ცხოვრობს. ღია ვოლიერებში იდგნენ და არ მიდიოდნენ. ბოლოს ძალით მივერეკებოდით. ნაწილი ძაღლებისა, რომლებმაც ვოლიერებიდან გამოსვლა დაადგიანეს, წყალმა მოგვტაცა. ერთი ჩემი თანამშრომელი წაიღო წყალმა. საცოდავი, მტკვარმა გამორიყა მესამე დღეს, რუსთავში. მეორე დღეს გადარჩენილი ძაღლები საბურთალოს სასაფლაოს ფერდობზე ინვნენ, ზოგს წყალი ჰქონდა ნაყლაპი. მეც იქ ვიყავი, ასე ხომ არ დავყრიდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სახლი წყალში იყო, ოფისის საწყობიც განადგურებული, მოსახლეობა ამ დღეში ჩავარდნილი, პასუხისმგებლობა მქონდა აღებული ჩემს თავშესაფარზე, უპატრონო ძაღლებზე, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით მოხვდა ჩემთან, თავშესაფარში. იქიდან არც ერთი არ იყო ჩემი, ყველა პატრონისგან მიტოვებული ძაღლი იყო, რომელსაც მე ვაჩუქე სიცოცხლე, ვუვლიდი და ვეძებდი ახალ, კარგ პატრონს. აი, ეს ძაღლებიც არ დავტოვე, ბოლომდე ვუპატრონე, დავაბინავე და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ახალი თავშესაფარი გავაკეთო და იმ ძაღლებს, რომლებიც არ გაჩუქდებიან (120-მდე ძაღლი მრჩება), მოვუარო, მივხედო... და ამათ ხალხისთვის ვერ მიუხედავთ.

- რას გულისხმობთ?

- ზოგიერთი უპასუხისმგებლო მინისტრი რომ ჩამოდის, სოზარ სუბარის გასაგონად მინდა ვთქვა, სხვანაირად უნდა ელაპარაკოს დაზარალებულებს. პირველ რიგში, ფხიზელი უნდა ჩამოვიდეს, და სხვა ტონით ესაუბროს ქალებს.

- მთვრალი მოვიდა ბატონი სოზარი დაზარალებულებთან?

- აშკარად ეტყობოდა, აბა, ფხიზელი ამას როგორ იტყოდა?

- რა თქვა?

- თქვენ ჭკუა გქონდათ, აქ სახლებს რომ აშენებდითო. აჭარაში სტიქიით დაზარალებულებს ოჯახზე 20 ათასს ვუხდით და თქვენც ამით უნდა დაკმაყოფილდეთო. მინისტრი კაცი ასეთი ტონით რომ ელაპარაკება ქალებს, ეს ნორმალურია? სადაური კაცობაა ეგ, კაცობაში და ვაჟკაცობაში ეთვლება? მანდ რომ ვყოფილიყავი და ამ ლაპარაკს შევსწრებოდი, ძალიან ცუდად დამთავრდებოდა ყველაფერი, ამას არ ვაპატიებდი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მთავრობის სხვა წევრები ასე არ ფიქრობენ, როგორც სოზარი ფიქრობს. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს მთავრობაში, ვიცნობ ამ ხალხს. ალბათ, დაუძახებენ სოზარს და ყველაზე ცოტა, საყვედურს მაინც ეტყვიან.

- თქვენი სახლი რა მდგომარეობაშია?

- სამივე სართული დატბორილია, იქ ცხოვრება შეუძლებელია. მაგრამ იმდენად ძლიერი საძირკველი აქვს, ბზარებიც კი არ გაიჩინა სახლმა. ამას ვინ უყურებს, მთავარია, ცოცხლები გადავრჩით. მაგრამ იმათ რა ეშველებათ, ვინც დაიღუპნენ?! იმათ ხომ ვერ გავაცოცხლებთ. ახლა მერია მუშაობს საკითხზე, რამდენად შესაძლებელია ამ ტერიტორიაზე საცხოვრებლად დავტოვოთ მოსახლეობა. ამ გადაწყვეტილებას ველოდებით.

- ახლა სად ცხოვრობს თქვენი ოჯახი?

- არვისთან სამათხოვრო არ მჭირს, მერიისთვის არაფერი მითხოვია. ჩემს ოჯახს რაც ეკუთვნის, იმას მოვითხოვ. მანამდე მაგათი არც ბინის ქირა მინდა და არაფერი. ჩემს ოჯახს თავად მივხედავ. დაბინავებული მყავს სხვადასხვა ბინებში. პრობლემა სხვა რამეშია. ძაღლების თავშესაფარი, ჩემი კერძო საკუთრება, განადგურებულია.

- შეიძლება ამ ტერიტორიაზე ძაღლების თავშესაფრის აღდგენა?

- მე თუ მკითხავთ, იქ არაფრის აღდგენა არ შეიძლება. მდინარე ვერეს კალაპოტი ბაგებიდან წვერამდე მეწყერისგან დაუცველია. სანამ არ გააკეთებენ დამცავ დამბას, რომელიც მოვარდნილი წყლის რეგულაციას შეძლებს, მანამდე იქ არაფრის მშენებლობა არ შეიძლება. ასეთი დამბები თავიდანვე უნდა გაკეთებულიყო, როცა ახალ გზას აკეთებდნენ, კომუნისტების გაკეთებული გვირაბი დაგრძელეს და სამი გოფრირებული მილი გაკეთეს. აქციებს ვმართავდით, პირადად მე ვიყავი ორგანიზატორი, რომ არ შეიძლებოდა ამ გიჟი მდინარის გოფრირებულ მილებში მოქცევა. 52 წლის ვარ, ვერეს ხეობაში დავიბადე და გავიზრდე, მდინარის ასეთი ადიდება არ გვახსოვს. მე კი არა, მამაჩემს, 82 წლის კაცს არ ახსოვს ასეთი წყალდიდობა. 2011 წლიდან მოყოლებული, მას მერე, რაც ეს გოფრირებული მილები გააკეთეს, რამდენჯერმე ისე ადიდდა მდინარე, რომ კალაპოტიდან გადმოვიდა.

- ძაღლების თავშესაფარზე ვსაუბრობდით...

- თავშესაფარი დროებით არის კაიროს ქუჩაზე, ეკონომიკის სამინისტრომ გამომიყო ტერიტორია, მაგრამ ეს არის დროებითი. ეს არის დასახლებული პუნქტი. ძაღლების თავშესაფარსა და მაცხოვრებლებს შორის საერთო კედელია, ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონს. ამიტომ მერიას ვთხოვ, თუ თბილისის ზღვაზე გააკეთებენ ზოოპარკს, იმ ტერიტორიაზე გამომიყონ მეც ფართი, სადაც გავაკეთებ ახალ თავშესაფარს. როგორიც მქონდა. ეს იყო მართლაც ცივილიზაციის მარცვალი საქართველოში.

- ზარალის დათვლის მიზნით თუ ჩაატარეს შესაბამისმა სამსახურებმა აღწერა?

- ჩვენ, სვანიძის ქუჩის დაზარალებულებმა ჩავატარეთ სხდომა, დავაფუძნეთ სვანიძის ქუჩის დაზარალებულთა კომიტეტი. მე ერთხმად ამირჩიეს თავმჯდომარედ. კომიტეტი მაქსიმალურად ითანამშრომლებს მერიასთან, რომ სამართლიანად მოხდეს დაზარალებულთა კომპენსირება თუ გვერდში დგომა. დღეს პირველი შეხვედრა მქონდა მერის მოადგილეებთან, რომელთაც ვუთხარი, რომ ჩვენ კომიტეტი შევქმენით არა იმიტომ, რო თქვენი მტრები ვართ და უნდა დაგიპირისპირდეთ, არა, უნდა მოგეხმაროთ, თუნდაც სიებთან დაკავშირებით-მეთქი. მოგეხსენებათ, შეიქმნა დაზარებულთა ფონდი, სადაც კერძო პირები, ბიზნესმენები, მათ შორის უცხოეთში ქართული დიასპორა, საერთაშორისო საზოგადოება რიცხავს თანხას. ეს ფონდი გამჭვირვალე უნდა იყოს. ეს არ არის ბიუჯეტი, ეს არის შემოწირულობა, ქველმოქმედება და უნდა მოხმარდეს დაზარალებულებს. ინფრასტუქტურის აღდგენა უკვე სახელმწიფოს პრეროგატივაა. ამ ეტაპზე 19 მილიონია ამ ფონდში ჩარიცხული. ეს თანხა არ შემცირდება თუ არ გაიზარდა. ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ყველა დაზარალებულს, ბოლომდე აუნაზღაურდეს ზარალი, რაც მიიღო. შევქმენით კომიტეტი, რომ სწორად მოხდეს ზარალის დათვლა. კომიტეტს გვერდით უდგას იურიდიული კომპანია „სამართლის სახლი“. დასამალი რა მაქვს, ეს ჩემი იურიდიული კომპანიაა, ერთ-ერთი უძლიერესი საქართველოში, პროფესიონალებით დაკომპლექტებული. გავაკეთეთ „ლაგი“, დავურიგეთ თითოეულ მოსახლეს და ვთხოვეთ შეევსოთ, რა ჰქონდათ სახლში, აღწერონ ზარალი და გამოიყვანონ თანხა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„კომპანიამ თუ გამორთული კონდიციონერების გამო მძღოლების გაშვება დაიწყო, ეს ხალხი აუცილებლად გაიფიცება“

ნელი თორდია

სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა ნაწილი კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ მიერ კონდიციონერების ჩაურთველობისთვის დაწესებულ სანქციებს აპროტესტებს. მძღოლებისა და მათი უფლებების დამცველთა თქმით, ამ მიზეზით მძღოლების სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში ფართომასშტაბიანი გაფიცვა დაიწყება. შეგახსენებთ, რომ კომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით, იმ მძღოლების მიმართ, რომლებიც ხაზზე გამორთული კონდიციონერებით იმოძრავებენ, სანქციები გატარდება: პირველ შემთხვევაზე მძღოლი სიტყვიერ გაფრთხილებას მიიღებს. მეორე შემთხვევაზე სატრანსპორტო საშუალების მართვა ერთი კვირით შეეზღუდება, მესამე შემთხვევაზე კი სამსახურს დატოვებს. კომპანიის განცხადებით, მათ 200 ათას ლარზე მეტი დახარჯეს სამარშრუტო ტაქსებში გასაგრილებელ საშუალებებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამასთანავე, მძღოლებს შეუმცირეს ყოველდღიური გადასახდელი, რაც მათ ავალდებულებს მგზავრებისთვის კომფორტული პირობების შექმნას და გასაგრილებელი მოწყობილობის ჩართვას.

კონდიციონერის მთელი დღით ჩართვა 15 ლიტრით მეტი საწვავის ხარჯს ნიშნავს

„მძღოლი ყოველდღიურად მანქანის ლიზინგის 43-ლარიან გადასახადსა და გეგმას იხდის, რაც ერთად 60 და 70 ლარს აღემატება“

გავრცელებული ინფორმაციით, კონდიციონერების მუშაობას სპეციალურად შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი გააკონტროლებს. პარალელურად, სოციალურ ქსელში შეიქმნა ჯგუფი სახელწოდებით „არ გადავიხადოთ ფული იმ მიკროავტობუსში, სადაც არ იმუშავებს კონდიციონერი“. რატომ აპროტესტებენ მძღოლები „თბილისის მიკროავტობუსის“ გადაწყვეტილებას და რატომ ემზადებიან გაფიცვისთვის, ამაზე მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ კაჭკაჭური გვესაუბრება.

– თავის დროზე, როცა თურქეთში აწყობილი „ფორდის“ მიკროავტობუსები ჩამოჰყავდათ, ვვარაუდობდი, რომ ეს მანქანები ძალიან ბევრ პრობლემას შექმნიდა. მართლაც ასე მოხდა. დაახლოებით ერთი თვის წინ კომპანიამ მიკროავტობუსებში დამონტაჟებული კონდიციონერების შეკეთება დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ კონდიციონერები შარშანაც შეაკეთეს და შარშანწინაც, წელს 2000 მანქანიდან კონდიციონერი გამართულად 200 მანქანაზეც კი არ მუშაობდა. ერთ-ერთი მძღოლის მანქანაზე ორჯერ შეკეთებული კონდიციონერი მესამედ გაფუჭდა. მძღოლი იმდენად გამოვიდა მდგომარეობიდან, რომ მანქანა გარაჟში დატოვა და სახლში წავიდა. მძღოლებს სანქციებით რომ ემუქრებიან, იმ ხალხმა თუ იცის, რომ მანქანას კონდიციონერი გარაჟში და დაყენებულ მდგომარეობაში არ უფუჭდება? გზაში თუ კონდიციონერი გამიფუჭდა, ამის გამო სამსახურიდან უნდა გამაგდონ? ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ ეს მანქანები მეოთხე წელია, რაც მუშაობენ და ძრავები მოძველდა. აღმართებზე ასვლის დროს, მძღოლი ხშირად იძულებულია, კონდიციონერი გამორთოს, რომ მანქანა არ ჩაუქრეს.



„ნიკოლოზ კაჭკაჭური: მძღოლებისგან ითხოვენ, რომ მგზავრების კომფორტი საკუთარი ჯიბიდან დააფინანსონ“

მძღოლთა უფლებების დამცველი აღიარებს, რომ ზოგიერთი მძღოლი კონდიციონერის ჩართვისგან თავს საწვავის ზედმეტი ხარჯის გამო იკავებს. როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, მძღოლსაც სიგრილე ურჩევნია პაპანაქება სიცხეს, მაგრამ იძულებულია, საკუთარ თავსა და მგზავრებს ამ სიამოვნებაზე უარი უთხრას, ვინაიდან კონდიციონერის ჩართვის შედეგად გაზრდილი საწვავის ხარჯის გადახდა არ შეუძლია. ნიკოლოზ კაჭკაჭურის განმარტებით, კონდიციონერის მთელი დღით ჩართვის შემთხვევაში, საწვავის ხარჯი 15 ლიტრით იზრდება. კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ კი დანახარჯიდან მხოლოდ 5 ლარს ანაზღაურებს. „ზაფხულის სეზონით გამოწვეული მგზავრთა სიმცირისა და სოლიდური გადასახადების გამო, მძღოლებს კონდიციონერის ჩართვით გამოწვეული დანახარჯების გადახდა არ შეუძლიათ“, – აცხადებს ნიკოლოზ კაჭკაჭური.

– „ფორდის“ მიკროავტობუსები ახალი შემოყვანილი იყო და შესაბამისად, ახალი ძრავი ჰქონდა, რომ მთელი დღით კონდიციონერის ჩართვა 10 ლიტრით მეტი საწვავის ხარჯს ნიშნავდა, თუმცა მაშინ ამ ხარჯს კომპანია ანაზღაურებდა. მეოთხე წელია, ეს მანქანები მუშაობენ და ბუნებრივია, რომ ძრავებმა საწვავის ხარჯვას უმატეს. ამჟამად კონდიციონერის მთელი დღით ჩართვა 15 ლიტრით მეტი საწვავის ხარჯს ნიშნავს, მაგრამ ადრინდელისგან განსხვავებით, კომპანია 15 და 20-ლარიანი გადახარჯვიდან მხოლოდ 5 ლარს უნაზღაურებთ. გამოდის, რომ მძღოლებისგან ითხოვენ, მგზავრების კომფორტი საკუთარი ჯიბიდან დააფინანსონ. გასაგებია, რომ კომპანიას თითოეული კონდიციონერის შეკეთება 200-დან 400 ლარამდე უჯდება და 2000 კონდიციონერის პირობებში ეს ძალიან დიდი თანხაა, ეს ფული საბოლოოდ, მაინც მძღოლის ჯიბეს აკლდება. მძღოლი კი ამდენს ვეღარ ახერხებს. მგზავრების კომფორტზე იზრუნოს თუ შვილებს სახლში პური მიუტანოს? გაითვალისწინეთ, რომ მძღოლი ყოველდღიურად მანქანის ლიზინგის 43-ლარიან გადასახადსა და გეგმას იხდის, რაც ერთად 60 და 70 ლარს აღემატება. იცით, რომ სტიქიური უბედურების შემდეგ მანქანები სამი დღე გაჩერებული იყვნენ. შემდეგ გზა ნაწილობრივ გაიხსნა, მაგრამ მანქანები იმ გზას მაინც ვერ გადიან, რომელსაც გადიოდნენ. ამ ფაქტორისა და ზაფხულის სეზონის გათვალისწინებით, მძღოლებს შემოსავალი ძალიან შეუმცირდათ, კომპანიას კი ასეთი პრეტენზიების მოსმენაც არ უნდა. თავად შევესწარი, რომ მძღოლს, რომელმაც პროტესტი გამოთქვა, გეგმა დიდია და შემოსავალი პატარაო, საგზაო უსაფრთხოების მანქანა დაჰყვებოდა, რომ რაღაც შარი მოედოთ და სამსახურიდან გაეშვათ. ბოლოს იმაზე მოედავნენ, მგზავრთან კონფლიქტი მოგსვლია და გაგილანძღავსო, როცა მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. სამწუხაროდ, დღესაც იგივეს გამეორება გვიწევს, რასაც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ვამბობდით, ვინაიდან სისტემაში არაფერი შეცვლილა და თანამდებობებზე ისევ ის ხალხია, ვინც ადრე იყო. მე როგორც გაფიცვების მოწინააღმდეგე, რომელმაც იცის, რომ ამით პირველ რიგში უბრალო მოქალაქეები ზარალდებიან, ვაცხადებ, რომ მძღოლებში უკმაყოფილება იზრდება. კომპანიამ თუ გამორთული კონდიციონერების გამო მძღოლების გაშვება დაიწყო, ეს ხალხი აუცილებლად გაიფიცება. ისინი უკვე მზად არიან გაფიცვისთვის და კომპანიამ ამაზე სერიოზულად უნდა იფიქროს. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ მძღოლის შემოსავალზე ძალიან მოქმედებს მოუწესრიგებელი გზები და საცობები. მგზავრიც დაიღალა, რადგან ზოგჯერ 10 წუთში გასავლელი გზის გავლას ერთი საათი უნდება. სრულიად ვეთანხმები შალვა ოგბაიძეს, რომელიც გმირთა მოედნის ზემოთ არსებული საგზაო სამკუთხედის გაუქმებას მოითხოვს. ერთი პატარა მონაკვეთის გამო სამი გზა იკეტება და ეს არის დიდი სისულელე, რომელიც წინა ხელისუფლებამ გააკეთა. ამის გამოსწორება და ორმხრივი მოძრაობის აღდგენა აუცილებელია და რაც უფრო მალე მოხდება, მით უკეთესი.

მძღოლებისა და მათი უფლებადამცველის პრეტენზიებზე კომენტარისთვის კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დავუკავშირდით. თუმცა, ამ დრომდე მათგან პასუხი არ მიგვიღია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რას ვერ იტანს და რა ანიჭებს ყველაზე დი

my View
სალომე ჩადუნელი

„რთულია, როცა გათხოვილი გოგო უკან, სახლში, შვილთან ერთად ბრუნდები და ოჯახს კისერზე აწვები“

სექსუალობა, მისტიკურობა, ქალური შარმი და ვოკალური სიძლიერე - ეს ის მახასიათებლებია, რომელიც თიკო მოსემღვდლიშვილს სხვა კონკურსანტებისგან განასხვავებს და მაყურებელში მოწონებითაც სარგებლობს. გოგონა, რომელიც სცენაზე ყოველი გამოსვლის დროს მინისპექტაკლს თამაშობს, პროფესიით მსახიობია. ბავშვობის ოცნება აისრულა და 15 წლის ასაკში მომავალი სცენას დაუკავშირა. აღნიშნავს, რომ მუსიკისა და თეატრის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, „X ფაქტორშიც“ წლების განმავლობაში დაგროვილი ემოციებისა და გრძნობების გამოხატვის მიზნით მივიდა. სცენურობა, თავბრუდამხვევი ვიზუალი და ხმა, რომელიც გულგრილს არ დაგტოვებთ, თიკო მოსემღვდლიშვილის საკონკურსო კოზირებია. შთაგონების მთავარ წყაროდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და პირად ურთიერთობებს მიიჩნევს. პირად ცხოვრებაში სიახლის შეტანას ჯერ არ აპირებს. ოჯახი დაენგრა, მეორედ კი ურთიერთობა არ აეწყო. ოჯახის დანგრევა ძალიან გაუჭირდა. ბევრ წინაღმდეგობას და უარყოფით, საზოგადოებრივ აზრს შეეჯახა, თუმცა „გამოძრომა“ მოახერხა და მიღებულ გადაწყვეტილებას არ ნანობს.

„ჩემთვის თეატრი და მუსიკა ერთი მთლიანობაა“

თიკო: „რთული იყო, პატარა ვიყავი, გამოცდილება არ მქონდა, რთულია, როცა გათხოვილი გოგო უკან, სახლში, შვილთან ერთად ბრუნდები და ოჯახს კისერზე აწვები. ბევრ დათმობაზე მიდიხარ, ყველაფერი ერთად იწყებს გამოჩენას: დაშორებულის სტატუსი, მეზობლები... ამან ყველაფერმა თავიდან ძალიან „დამგრუზა“, თეატრალურში რომ არ მქონოდა ლექციები, მთელი დღე ფიქრი გამაგიჟებდა. კარგად გამოვძვერი, ჩემი ოჯახი დამეხმარა, ახლა მეგობრები და ოჯახი მიდგას გვერდში, ყველაზე მაგარი მეგობრები მყავს. მინდა მადლობა ვუთხრა, ბევრნი ვართ. ასე არ ხდება ხოლმე, რომ ბევრი კარგი მეგობარი გყავდეს - მე მყავს“.

მეორე ურთიერთობაც წარუმატებელი აღმოჩნდა. ერთი წლის წინ დაშორდნენ, განცდა ძლიერი არ ყოფილა, მიიჩნია, რომ ყველაფერს საზღვარი ჰქონდა, ურთიერთობა დაამთავრა და დასვენება გადაწყვიტა. ახლა მარტოა და ახალი ურთიერთობის დაწყებას არ გეგმავს.

თიკო: „სულ ყურადღების ქვეშ უნდა გყოლოდა, უნდა დაგერეკა, თბილი უნდა ყოფილიყავი, იქნებ მეც მინდა სითბო? შენ ყველგან უნდა გაუშვა და იმას არ აანალიზებენ, რომ შენი ბედნიერების აკრძალვა, რომ წახვიდე და თეატრში, ითამაშო და იქ მეგობრებთან ერთად გაერთო, უბედურებაა“.

„მამაკაცები მესაკუთრეები არიან და ცდილობენ საკუთარი ზეგავლენის ქვეშ ჰყავდეთ მანდილოსნები“

- თიკო შეზღუდვებს ვერ ეგუება?

- არ შემიძლია. რასაც მიზღუდავენ, იმას ვაკეთებ, მგონია, რომ ერთხელ თუ დავუჯერებ, მერე თავზე დამაჯდება. ამიტომ ზუსტად იმას ვაკეთებ, რასაც მიშლიან.

- რთულია ერთმანეთს შეუთავსო ოჯახი და კარიერა?

- გააჩნია ვინ გყავს გვერდით, პირველი მეუღლის შემთხვევაში ეს არ გამოვიდა, იმიტომ რომ პრეტენზიები ჰქონდა, არ მოსწონდა, ჩაცმაზე პრობლემებს მიქმნიდა, ამან გამოიწვია ის, რომ დღეს ჩვენ ერთად არ ვართ. უნდა იპოვო ადამიანი, რომელიც შენც მოგაქცევს ყურადღებას, შენი კარიერაც ეყვარება. შენ გაქვს შენი პროფესია, ხარ მსახიობი და მომღერალი და ყველანაირი ნორმების დაცვით უნდა გაიკეთო შენი საქმე, იმიტომ რომ აქ საქართველოა და სხვანაირად ვერ იზამ; აკეთო შენი საყვარელი საქმე და გყავდეს საყვარელი ადამიანი გვერდით არ უნდა იყოს რთული, თუმცა დღეს რთულია, რადგან მამაკაცები მესაკუთრეები არიან და ცდილ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Д ბედნიერებას თიკო მოსემღვდლიშვილს

გოგონა თეატრის სცენიდან ექსკლუზიურად „პრაიმტაიმისთვის“

„რაც კარგი გაქვს, ის უნდა გამოაჩინო, მაგრამ ნორმის ფარგლებში“

EXCLUSIVE

ობენ საკუთარი ზეგავლენის ქვეშ ჰყავდეთ მანდილოსნები.

თიკოს 6 წლის შვილი ჰყავს, ტატო ჰქვია, მეორე კლასში გადავიდა და „X ფაქტორში“ დედის ყველაზე დიდი გულშემატკივარია.

თიკო: „ტატო არის საშუალება, რომელიც მე მამშვიდებს, ღამით ჩემთან ერთად იძინებს, ძალიან გვიან უნდა მივიდე სახლში, რომ დაძინებული დამხვდეს, სულ მელოდება ხოლმე, ყველაფრისგან დაღლილი მივდივარ, ჩავეხუტები და რომ დავიძინებ ხოლმე, ესაა ყველაზე დიდი ბედნიერება“.

- ტატოს ხომ არ სწყინს, რომ შენი ყურადღება, ამ ეტაპზე, უფრო მეტად „X ფაქტორზეა“ გადართული?

- მე თვითონ მწყინს, მინდა დღის მანძილზე სულ მქონდეს ურთიერთობა ტატოსთან, დილით რომ გავდივარ, საღამოს შემოვდივარ. ძალიან მინდა, პროექტი რომ დამთავრდება, ეს დანაკლისი ავინაზღაურო, ახლა სულ დედასთან ერთად არის.

„ერთხელ თუ დავუჯერებ მერე თავზე დამაჯდება. ამიტომ ზუსტად იმას ვაკეთებ, რასაც მიშლიან“

X ფაქტორი

თიკო მოსემღვდლიშვილისთვის მუსიკალური კონკურსები და სცენა დიდი ხანია უცხო აღარაა, მუსიკით ბავშვობიდან დაინტერესდა. 4 წლის ასაკში საბავშვო სიმღერებს გამართულად მღეროდა, შემდეგ იყო ბევრი კონკურსი, ფესტივალი, ჰქონდა პერიოდი, როდესაც არც ერთ მუსიკალურ კონკურსში არ უნდოდა მონაწილეობა, თუმცა გადაწყვეტილება შეცვალა და „X ფაქტორში“ მოვიდა, ფიქრობს, რომ პროექტის რეიტინგი და ხარისხი დაეხმარება მუსიკალურ განვითარებასა და წარმატების მიღწევაში.

- შეადარე ერთმანეთს თეატრისა და „X ფაქტორის“ სცენა? არის განსხვავება?

- თეატრის სცენაზე რომ გადიხარ, სხვა რამეზე ღელავ, მაგალითად ტექსტი არ დაგავიწყდეს, კარგად შეხვიდე როლში, აქ უნდა იფიქრო ხმაზე, ყელზე, ბგერაზე. ამ მხრივ განსხვავდება და ზოგადად ერთმანეთს ეხმარება. როცა ბავშვობიდან სცენაზე დგახარ, გათავისებული გაქვს ეს ყველაფერი. შიშს არ გრძნობ და თავისუფალი ხარ სცენაზე. ერთმანეთისგან არ განვაცალკევებ, იმიტომ რომ თეატრი და მუსიკა ჩემთვის ერთი მთლიანობაა“.

- „X ფაქტორის“ სცენაზეც გიწევს თამაში?

- მომღერალი პატარა მსახიობი უნდა იყოს, არა იმ კუთხით, რომ ითამაშო. ყველაზე დიდი მსახიობური ნიჭია იყო ბუნებრივი, ყველაფერი შეიგრძნო და გაითავისო ზუსტად ისე, როგორც სიმღერას სჭირდება და არა ითამაშო, რომ ვითომ გრძნობ.

- სექსუალური დივას როლი მოგარგეს. სცენის მიღმა მცხოვრებ თიკოსთან თუ აქვს კავშირი ამ იმიჯს?

- მიყვარს ასეთი ჩაცმულობა, არ ვგულისხმობ ვულგარულს. მე თვითონ ვაკეთებ, დავჭრი და ტანზე შემოვიკერებ ხოლმე. სექსუალურობის ხაზს ცხოვრებაში არ ვაწვები, უბრალოდ, მიყვარს განსხვავებულად ჩაცმა, რაც კარგი გაქვს, ის უნდა გამოაჩინო, მაგრამ ნორმის ფარგლებში. დიზაინერული ამბები მჭირს, ძალიან მიყვარს ჩემს გონებაში დახატვა და შეძლებისდაგვარად განხორციელება.

გოგონების კატეგორიაში, თიკოს თქმით, მეგობრული და ოჯახური დამოკიდებულება სუფევს, ერთმანეთი შეუყვარდათ, შეეჩვივნენ და დაუმეგობრდნენ. ჯერ კონკურენცია არ იგრძნობა, რადგან ბევრნი არიან, თუმცა, თიკოს თქმით, დაძაბულობა პროექტში მონაწილეების შემცირების მიხედვით გაიზრდება.

თიკო, „პროცენტებს რომ აცხადებენ და ხელებს რომ ჩავკიდებთ ერთმანეთს, მაშინ ვხვდები, ორივე ჩემია. რა გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, იმ ნერვიულობას რომ გაუძლოს, პროცენტების გამოცხადების დროს“.

- ხარ მზად, რომ შეიძლება ერთ დღეს პროექტი დატოვო?

- ჯერ მაგისთვის უნდა იყო მზად. ადამიანი არ უნდა მოდიოდე განწყობით, რომ მე ყველაზე მაგარი ვარ, მე უნდა მოვიგო ეს მიმართულება - არ ამართლებს ხოლმე. უნდა მოხვიდე იმისთის, რომ კარგი საქმე გააკეთო.

- სოფო მკაცრი მენტორია?

- ვიდეოში ისე გამოჩნდა, რომ სულ ყვირის და ყველაზე მკაცრია - არაა ასე. ძალიან მომთხოვნია. მიხარია, რომ ქალი მენტორი გვყავს, იმიტომ რომ მამაკაცისთვის ქალური შეგრძნებები, ინსტინქტები, შეიძლება გასაგები არ იყოს. ურთიერთობაშიც ძალიან მეგობრულია, სანამ რეპეტიცია დაიწყება

„ყველაფრისგან დაღლილი მივდივარ, ჩავეხუტები და ვიძინებ - ესაა ყველაზე დიდი ბედნიერება“

ყველანაირ თემაზე შეგვიძლია ვისაუბროთ, პირადულებზე, ათას რაღაცას მოვედოთ, როგორც მეგობრები. მერე იწყება რეპეტიცია და როგორც მენტორი გეუბნება იმას, რაც საჭიროა. იმდენად დიდი ხანია ერთად ვართ, რომ ოჯახური სიტუაციაა, შევეჩვიეთ ერთმანეთს, ერთი რომ წავიდეს, ან წავიდე, ის შეგრძნება მექნება, რომ რაღაც მომაკლდა.

- რას აპირებ „იქს ფაქტორის“ შემდეგ? ხომ არ დაიკარგები, როგორც ხდება ხოლმე?

- ეს არასწორი მიდგომაა. ნებისმიერი კონკურსანტი, რომელიც პროექტს დატოვებს, უნდა ეცადოს, რომ რამე გააკეთოს, სულ ძიებაში უნდა იყოს. სახლის პირობებში რაც შეგიძლია, ყველაფერი უნდა აკეთო და თუ ფინანსურად მყარად ხარ, მეტიც უნდა გააკეთო. ალბათ, მუსიკალური პროექტების შემდეგ, არც ერთი ადამიანი არ უნდა დაჯდეს სახლში.

სახლში დაჯდომას არც თავად აპირებს, ამერიკაში წასვლას და მუსიკალური განათლების მიიღებას გეგმავს.

„26 წლის მანძილზე მე ვოკალზე არასდროს მიმუშავია, ეს ხმა, რაც მაქვს, თუნდაც მაღალი ბგერები, არ არის პიანინოსთან ნამუშევარი, იმას, რასაც ჩემით ვაკეთებ, ვოკალზე მუშაობის პროფესიული გამოცდილება რომ დაემატება, ალბათ, მერე უფრო მეტი სტიმული და შანსი მექნება“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ცხუმის“ ჩამჭრალი ოცნება - სოხუმელებმა პირველი ლიგის საგზური ვერ მოიპოვეს

EXCLUSIVE

ირაკლი ვასაძე: „დარწმუნებული ვარ, რომ ბიჭები თავს არ დაზოგავენ, რომ მიზანს მიაღწიონ“

მაგდა კლდიაშვილი

უკვე რამდენიმე წილია „ცხუმს“ ბიზნესმენი და მეცენატი ალექსანდრე წულაია აფინანსებს. მისი დახმარებით გუნდმა აშკარა პროგრესი განიცადა. დიდი სამომავლო გეგმები აქვთ, თუმცა წელს მიზანი გაუცუდდათ. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმელებმა მეორე ლიგაში, აღმოსავლეთის მხარეში ჩემპიონობა მოიპოვეს, ფლეი-ოფში ორივე მატჩი წააგეს და პირველი ლიგის მიღმა დარჩნენ. მიუხედავად ამისა, გუნდის მთავარ მწვრთნელს, ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელებს ყურები არ ჩამოუყრიათ და ორი დღის წინ, საკუთარი ფეხბურთელები მიღწეული წარმატებისთვის სპეციალური პრიზებით და მედლებით დააჯილდოვეს.

„სოხუმის „ცხუმმა“ მეორე ლიგაში საოცარი სეზონი ჩაატარა. გუნდმა 28 ტურში, უპრეცედენტოდ ბევრი ბურთი გაუტანა მოწინააღმდეგეს“

მიუხედავად იმისა, რომ „ცხუმმა“ პირველი ლიგის საგზურის მოპოვება ვერ შეძლო, გუნდის თავკაცი საკუთარი ფეხბურთელებით მაინც კმაყოფილია და ამბობს, რომ მთავარი ფაქტორი, რამაც ეს შედეგი მოიტანა, ფეხბურთელების გამოუცდელობა და ასაკი იყო.

„პრაიმტაიმი“ სქურის ხელმძღვანელობისა და მწვრთნელების მუშაობას ხშირად აშუქებს და არც ეს შემთხვევა ყოფილა გამონაკლისი. „ცხუმის“ მთავარმა მწვრთნელმა, ირაკლი ვასაძემ, „პრაიმტაიმის“ შეკითხვებს უპასუხა.

ირაკლი ვასაძე, „ცხუმის“ მთავარი მწვრთნელი:

- „ცხუმი“ პირველ ადგილზე გავიდა მეორე ლიგის აღმოსავლეთის ზონაში, მაგრამ პირველი ლიგის საგზურის მოპოვება ვერ მოახერხეთ, იმედგაცრუებული ხართ?

- მიუხედავად ამისა, სეზონს დადებითად შევაფასებ. ჩვენ აღმოსავლეთ ზონაში პირველი ადგილი დავიკავეთ და ფლეი-ოფში გავედით, სადაც ორი თამაშის ჯამში დავმარცხდით და ვერ მოვიპოვეთ პირველი ლიგის საგზური.

- რა დააკლდა გუნდს?

- გამოცდილი ფეხბურთელები არ გვყავს. გუნდი დაკომპლექტებულია ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელი ფეხბურთელებით. შესაბამისად, ბევრმა ფეხბურთელმა მეტოქეს საჭირო წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

- იმის გამო, რომ პირველ ლიგაში გადასვლა ვერ მოახერხეთ, ყურებს ხომ არ ჩამოყრით, რა იქნება სამომავლო გეგმა?

- გუნდი ისევ მეორე ლიგაში ითამაშებს. ამჯერად, წინასგან განსხვავებით, სამი ზონა იქნება და დებულების თანახმად, პირდაპირ გადავლენ პირველ ლიგაში და არანაირი გადათამაშება არ მოხდება.

- გუნდის გაძლიერებას აპირებთ?

- რა თქმა უნდა, გაძლიერებას ვგეგმავთ. თუმცა, ეს როდის მოხდება, ჯერჯერობით ვერ გეტყვით. ამჟამად, გუნდში 23 ფეხბურთელი გვყავს, აქედან 20 მინდვრის ფეხბურთელია, სამი კი - მეკარე.

- როგორც ვიცი, საკუთარი „სტადიონის“ აშენებას აპირებთ, რა ხდება ახლა?

- ამჟამად, გუნდი თემქის სტადიონზე ვარჯიშობს. როდის დაუბრუნდება ჩვენ სტადიონს ძველებური სახე, ამას ვერ გეტყვით. ვიმედოვნებ, მალე შევძლებთ საკუთარ მოედანზე ვარჯიშს.

- მომავალ წელს შეძლებთ პირველ ლიგაში გადასვლას და ერთი საფეხურით წინ წაწევას?

- ბიჭები მოედანზე ყოველთვის მაქსიმუმს აკეთებენ. გადავალთ თუ არა პირველ ლიგაში, ეს გუნდზე იქნება დამოკიდებული. ერთში ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფეხბურთელები თავს არ დაზოგავენ მიზნის მისაღწევად.

სოხუმის „ცხუმმა“ მეორე ლიგაში საოცარი სეზონი ჩაატარა. გუნდმა 28 ტურში, უპრეცედენტოდ ბევრი ბურთი გაუტანა მოწინააღმდეგეს. სოხუმელებმა მეტოქის კარი 126-ჯერ აიღეს, მათ კარში კი ყველაზე ცოტა - 15 გოლი გავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ცხუმმა“ მეორე ლიგის აღმოსავლეთ ზონა მოიგო და ფლეი-ოფში გავიდა, ირაკლი ვასაძის შეგირდებმა „იმერეთთან“ და „ლიახვთან“ ორივე შეხვედრა წააგეს და ვერც გოლის გატანა მოახერხეს, თუმცა, ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდს ყურები არ ჩამოუყრია და მომავალ სეზონშიც წარმატების მიღწევას გეგმავს.

„გუნდი დაკომპლექტებულია ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელი ფეხბურთელებით. შესაბამისად, ბევრმა ფეხბურთელმა მეტოქეს საჭირო წინააღმდეგობა ვერ გაუწია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზვიად სიჭინავა - დიდი საშიშროებაა იმის, რომ ამ ბილეთებს მაინც იყიდის გადამყიდველი

EXCLUSIVE

„ერთადერთი, რაც მინდა გთხოვოთ, გაავრცელეთ ინფორმაცია, რომ ყველა ის საიტი და კომპანია, რომელიც ბილეთებს სთავაზობს მომხმარებელს, ყალბია და ფეიკი. ამიტომ, რომ არ დაკარგოთ ფული და შარში არ გაეხვეთ, დაელოდეთ ჩვენს ინფორმაციას“

„მინდა დავარწმუნო გულშემატკივარი, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ბილეთები მივიდეს გულშემატკივართან და არა გადამყიდველებთან“

მაგდა კლდიაშვილი

11 აგვისტოს საქართველო უეფას სუპერთასს მასპინძლობს. შეხვედრა, „ბარსელონასა“ და „სევილიას“ შორის „დინამო არენაზე“ შედგება. მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა, ონლაინ რეჟიმში, ჯერ კიდევ გასულ ორშაბათს უნდა დაწყებულიყო, თუმცა კომპანიამ, რომელთანაც უეფას ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა. შესაბამისად, ბილეთები.გე-ს სუპერთასზე დასასწრები ბილეთების გაყიდვის უფლება ჩამოერთვა, თუმცა ამ დრომდე არც ის არის ცნობილი, თუ როგორ მოხდება ბილეთების რეალიზება. როგორ მოგვარდება პრობლემები და რატომ არ მისცა ფედერაციას უეფამ ბილეთების გაყიდვის უფლება - „პრაიმტაიმის“ კითხვებს ზვიად სიჭინავა პასუხობს.

- რატომ ვერ მოახერხა ბილეთები.გე-მ ბილეთების გაყიდვა?

- ჩვენ, მას შემდეგ ჩავერთეთ ამ საკითხში, რაც უეფამ გვთხოვა, რადგან გულშემატკივარი უკმაყოფილოა. ჩვენ არ გვქონდა გარანტიები, რომ ეს ბილეთები ორშაბათიდან გაიყიდებოდა. ვაფრთხილებდით უეფას, რომ საქართველოში ფეხბურთი ძალიან უყვართ და ამაზე დიდი მოთხოვნა იქნებოდა. მითითებებს უეფასგან ვიღებთ, სადაც თავად ფეხბურთის ფედერაცია იქნება ამ პროცესებში ჩართული, თუ როგორ და რა ფორმით გაიყიდება ეს ბილეთები საქართველოში. ერთადერთი, რაც მინდა გთხოვოთ, გაავრცელეთ ინფორმაცია, რომ ყველა ის საიტი და კომპანია, რომელიც ბილეთებს სთავაზობს მომხმარებელს, ყალბია და ფეიკი. ამიტომ, რომ არ დაკარგოთ ფული და შარში არ გაეხვეთ, დაელოდეთ ჩვენს ინფორმაციას, უეფას გადაწყვეტილებას და იმ კომპანიას, რომელსაც ბილეთების გაყიდვის უფლება ექნება.

„მივმართეთ უეფას, რომ მოეცათ ნება, აგვეღო პასუხისმგებლობა და ჩვენ გაგვეყიდა ჩვენი გულშემატკივრისთვის ბილეთი, რაზეც მივიღეთ პასუხი, რომ უეფამ შეისწავლა ბაზარი საქართველოში“

- რა გახდა ტექნიკური ხარვეზის მიზეზი?

- როდესაც ჩვენ მათ ვეკითხებოდით, წარმოედგინათ თუ არა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ისინი აცხადებდნენ, რომ ყველანაირად მზად იყვნენ. ბილეთების გაყიდვის დაწყების დღეს თქვეს, რომ ჰაკერული შემოტევა ჰქონდათ, შემდეგ კი დიდი იყო მსურველთა რაოდენობა, რომლებიც ამ საიტზე შედიოდნენ ბილეთების შესაძენად. აჟიოტაჟი და ინტერესი დიდია ამ თამაშზე, მინდა დავარწმუნო გულშემატკივარი, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ბილეთები მივიდეს გულშემატკივართან და არა გადამყიდველებთან. იმიტომ იყო ეს შეზღუდვები, ერთ კაცზე ოთხი ბილეთი, პატარა ფასი და ა.შ. ამ ყველაფერმა გამოიწვია რეზონანსი. როდესაც სუპერთასი კეთდება, კეთდება იმისთვის, რომ შენი ქალაქი, ქვეყანა, გაიცნოს მთელმა მსოფლიომ. თუ უცხოელ გულშემატკივრებს არ ექნებათ საშუალება, ჩამოვიდნენ და თამაში ნახონ, გაეცნონ შენს ქალაქს, შენს კულტურას, რა აზრი აქვს სუპერთასს? მარტო ქართველებს არ აქვთ მატჩზე დასწრების სურვილი, შემოსულია მოთხოვნები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან, ქურთისტანიდან, არაბეთიდან, თურქმენეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან. ჩემმა კოლეგებმა მომწერეს, ფედერაციის პრეზიდენტებმა, რომლებიც მზად არიან 5 აგვისტოს ჩამოვიდნენ თბილისში, გვეხვეწებიან და მხოლოდ სასტუმრო უნდათ, მაგრამ ამის პრობლემაც არის დღეს. თუ ბილეთები ონლაინ არ გაიყიდება, რა აზრი აქვს ამ ყველაფერს.

- ანუ ის 3 ათასი ბილეთი, რაც ბილეთები.გე-ს უნდა გაეყიდა, მხოლოდ ქართველი გულშემატკივრისთვის არ იყო?

- არა, რა თქმა უნდა. ჩვენ ახლა ალტერნატივას ვეძებთ, რომ არ დაზარალდეს ჩვენი გულშემატკივარი. დიდი საშიშროებაა იმის, რომ ამ ბილეთებს მაინც იყიდის გადამყიდველი. ხომ ხედავთ, რუსული და უცხოური საიტები 500 ევროდან იწყებენ 7 ევროიანი ბილეთის გაყიდვას. ამიტომ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, არ შევიძინოთ ასე ბილეთი. ბილეთების მაქსიმალურად დიდი რაოდენობა იქნება ქართველ გულშემატკივარზე გაყიდული.

„ბევრჯერ გავაფრთხილე უეფა, რომ საშიშროება არსებობს“

- ბილეთები.გე-ს უეფასთან დადებული კონტრაქტით 45 ათასი ევრო უნდა მიეღო, მიიღო თუ არა ამ კომპანიამ ეს თანხა და რატომ ადანაშაულებს გულშემატკივრების დიდი ნაწილი ბილეთებთან დაკავშირებით სფფ-ს?

- ეს ფული უეფამ გადმორიცხა ჩვენთან. ფედერაციას ბილეთები.გე-სთვის თანხა წინასწარ არ გადაუხდია, რადგან ვიცოდი, რაც მოხდებოდა. ამიტომ თავი დავიზღვიე. აბა, ასე რომ ვიძლეოდე ფულებს, კარგად იქნებოდა ფედერაციის საქმე. სხვა რამეზეა საუბარი. გერმანიის თამაშის წინ, კომპანიას შევუკვეთეთ ონლაინ ბილეთები, გადავიხადეთ ფული და გავაკეთეთ ეს ყველაფერი, ისე, როგორც საჭიროა. მივმართეთ უეფას, რომ მოეცათ ნება, აგვეღო პასუხისმგებლობა და ჩვენ გაგვეყიდა ჩვენი გულშემატკივრისთვის ბილეთი, რაზეც მივიღეთ პასუხი, რომ უეფამ შეისწავლა ბაზარი საქართველოში. ამ სფეროში ყველაზე მეტი გაყიდვები კონცერტების, კინოთეატრების, თეატრებისა და „დინამოს“ თამაშების, სწორედ ბილეთები. გე-ს ჰქონდა გაყიდული, ამიტომ უეფამ გადაწყვიტა, რომ ხელშეკრულება დაედო არა ფედერაციასთან, არამედ ბილეთები.გე-სთან. ბევრჯერ გავაფრთხილე უეფა, რომ საშიშროება არსებობს. მარტო „ბარსელონას“ 100 ათასი გულშემატკივარი ჰყავს საქართველოში. თქვენ გახსოვთ, ორი თვით ადრე ასეთი აჟიოტაჟი ყოფილიყოს საქართველოში რომელიმე თამაშზე? თავიდან „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონი იყო გამოცხადებული. სამი თვე დასჭირდა ფედერაციას, რომ დაგვერწმუნებინა უეფას საშეჯიბრო, რომ მოეცა უფლება, ეს თამაში „დინამო არენაზე“ ჩატარებულიყო. სუპერთასზე სტადიონი არასდროს არის შევსებული, მათ აქვთ ამის გამოცდილება, მაგრამ მათ ვუთხარი, რომ პირველი ტაიმი რომ მესხზე ჩაეტარებინათ, მეორე „დინამო არენაზე“, დამატებითი დრო - გორში და პენლები რუსთავში დაერტყათ, ყველგან გაივსებოდა ტრიბუნა. სტადიონს გაავსებს არა მარტო „ბარსელონას“ გულშემატკივარი, არამედ ლამაზი ფეხბურთის მოყვარული ადამიანები. რატომ მოდიან მეზობელი ქვეყნებიდან? იმიტომ, რომ ბევრ მათგანს არ აქვს საშუალება წავიდეს ევროპაში, გააკეთოს ვიზა, შემდეგ იშოვოს ბილეთი. აქ მეზობლები ვართ და ბევრს აქვს ჩამოსვლის სურვილი, ამ თამაშის ხილვა და ჩვენი მეგობრული და მეზობლური განწყობისგან სიამოვნების მიღება. მე სიტყვას გაძლევთ, რომ ყველაფერი დალაგდება. იმიტომ არა, რომ ჩვენ ჩავერთეთ ამაში, იმიტომ, რომ უეფაც გვაწყნარებს და საერთოდ არ ნერვიულობს. ისინი იძახიან, რომ მატჩამდე თვენახევარი აქვთ და ეს ბილეთები მაინც გაიყიდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE „ასორტის“

„აუცილებლად უნდა ვნახო, გავესაუბრო პატარძალს, რომ მივხვდე რა უნდა. ტორტი ქორწილის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია“

my View
ნინო მჭედლიშვილი

თბილისელმა მომხმარებელმა კარგად იცის, რომ ქალაქის 6 უბანში არის ძალიან გემრიელი ნამცხვრებისა და ტორტების მაღაზია „ასორტი“, მაგრამ ცოტამ იცის, ვინ დგას ამ გემრიელობების უკან. ქალბატონი ნატა ცომაია დღეს ჩვენი სტუმარია და თავად გიამბობთ, როგორ იქმნება ხელმისაწვდომი და გემრიელი ტორტები მის სამფლობელოში. როგორ უსრულებს ოცნებებს უცნაურ მომხმარებელს და რა არის „ასორტის“ წარმატების საიდუმლო.

„არასდროს მიფიქრია იმაზე, რომ ეს იაფფასიანია და მივაფუჩეჩო, ან ის მეტს იხდის და უკეთ გავუკეთო“

„თუ ვინმემ ყურადღება მოგვაქცია და შემოიხედა, ეს ხარისხის დამსახურებაა. ეს არ არის ზუსტი ბიზნესი. ბევრი რამ სწორედ კეთების პროცესში ვისწავლე“

- აფხაზეთიდან ვარ, მეუღლე თბილისელი მყავს, წლების განმავლობაში პეტერბურგში ვცხოვრობდით, მაშინ ჯერ კიდევ ლენინგრადი ერქვა (იღიმება). საქართველოში ჩამოვედით, რომ შვილები ქართულად გაგვეზარდა. სამედიცინო განათლება გვაქვს მეც და ჩემს ქმარსაც. საქართველოში დაბრუნებულებს კარგი სიტუაცია არ დაგვხვდა ქვეყანაში. სამსახური არც მიძებნია. კარგად ვაკეთებდი ყოველთვის სადილებს, ნამცხვრებს, ტორტებს. მიყვარს ეს საქმე, როგორც ამბობენ, კარგი ხელიც მაქვს. სპონტანურად დავიწყე ნამცხვრების ცხობა. რას ვაკეთებდი, თვითონაც არ ვიცოდი. პირველი მაღაზია აბაშიძეზე გავხსენი. იტალიიდან ჩამოვატანინე დიდი ღუმელი და დავიწყე ცხობა. ჩემი ახლობლები ავიყვანე, სხვათა შორის, მეგრელები. მეგრელებს სეპარატიზმი გვახასიათებს (იცინის). მოკლედ, სამმა ადამიანმა დავიწყეთ ბიზნესი. მაშინ ამ სიტყვის მნიშვნელობაც არ ვიცოდი. თითქოს მეუხერხულებოდა ამ ყველაფრის გაკეთება. თავად არ ვაცხობდი, მაგრამ ამაში ფულს რომ მიხდიდნენ ისიც კი დისკომფორტს მიქმნიდა. იმ მხრივ გამიმართლა, რომ გვერდით ძალიან კარგი ადამიანები მედგნენ.

- პირველ ეტაპზე, სანამ გაგიცნობდნენ, სანამ თქვენი ნუგბარის გემოს გასინჯავდნენ, ალბათ, რთული იყო ამ საქმის კეთება...

- ნებისმიერი საქმე საწყის ეტაპზე ძალიან რთულია. თუ ვინმემ ყურადღება მოგვაქცია და შემოიხედა, ეს ხარისხის დამსახურებაა. ეს არ არის ზუსტი ბიზნესი. ბევრი რამ სწორედ კეთების პროცესში ვისწავლე. რა თქმა უნდა, რთული იყო. მომხმარებელს ყველანაირ პირობას ვუქმნიდით იმისთვის, რომ შემოსულიყო. ერთ რამეს თუ იყიდდა, ორს ვჩუქნიდით, რომ დაეგემოვნებინა. იცი, როგორი დამოკიდებულება მქონდა? სტუმარი რომ მოგივა სახლში და უმასპინძლდები, გინდა საუკეთესო შესთავაზო. სწორად გამიგებს, ალბათ, მკითხველი, ანაზღაურებაზე, მოგებაზე არ ვფიქრობდი, მთავარი იყო ხარისხი, კმაყოფილი მომხმარებელი.

- რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო?

- ხარისხის შენარჩუნება ძალიან რთულია. არ გამოვირჩევი არც ჭკუით, არც რაიმე ფენომენალური ნიჭით, უბრალოდ, მაქვს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და შრომისმოყვარეობა. 8 წელია ამ საქმეს ვემსახურები. რვა წლის განმავლობაში 8 დღე არ დამისვენია. ეს აუცილებელია... ყოველთვის ვეუბნები ჩემს თანამშრომლებს, ნუ შესთავაზებ ადამიანებს იმას, რასაც შენ არ შეჭამ, შენ არ მოგეწონება.

- რა არის ის, რაც გამოგარჩევთ სხვებისგან?

- ვერ ვიტყვი, რომ რაიმე გამომარჩევს სხვებისგან. საქმისადმი დამოკიდებულება, პასუხისმგებლობის გრძნობა, მხოლოდ ეს. არასდროს მიფიქრია იმაზე, რომ ეს იაფფასიანია და მივაფუჩეჩო, ან ის მეტს იხდის და უკეთ გავუკეთო. ყოველთვის ვეუბნები ჩემს გოგოებს, რომ არასდროს მოატყუონ მომხმარებელი, არასდროს გაიკეთონ უხარისხო პროდუქცია. გაფუჭდა? ჩამოვწერ, ხელფასიდანაც არ დაგიქვითავ, ოღონდ არ მოატყუო მომხმარებელი.

- ვიცი, რომ ზედმიწევნით კარგად ითვალისწინებთ მომხმარებლის მოთხოვნებს, განსაკუთრებით სადღესასწაულო ტორტის შეკვეთისას...

- აუცილებლად უნდა ვნახო, გავესაუბრო პატარძალს, რომ მივხვდე რა უნდა. ტორტი ქორწილის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია.

- უცნაური, სასაცილო მოთხოვნებით თუ მოგმართავთ მომხმარებელი...

- ეს უფრო კორპორატიული საღამოებისთვის შეკვეთებზე ხდება. ბევრი გვაქვს უცნაური და სახალისო შეკვეთები „მალჩიშნიკების“ და „დევიშნიკების“-თვის.

- ვიცი, რომ სადგამების შექმნის საოცარი ტექნოლოგია გაქვთ...

- მართლაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩვენთან ტორტის სადგამებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

წარმატების საიდუმლო

„რვა წელია ამ საქმეს ვემსახურები და ამ წლების განმავლობაში 8 დღე არ დამისვენია“

მარიამ ქუთათელაძე: „ასორტი“ ოცნებებს აგიხდენთ. სწორედ ასეთად წარმომედგინა, ტორტი, რომელიც ჩემი ბედნიერების დღეს კიდევ უფრო სასიამოვნოს გახდიდა“

არის შეკვეთები, როცა ტორტი გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე მისი სადგამი. ჩვენთან ძალიან დიდი კონკურენციაა, მოდუნების უფლება არ გაქვს, სულ ახლის ძიებაში ვარ. არ მენანება ამაში დრო, ენერგია. მოდუნდები თუ არა, დამთავრდება ყველაფერი. ვერ წარმოიდგენთ რა რეჟიმში მვუშაობ და მაინც რამდენი რამ არ არის ისე, როგორც მინდა, რომ იყოს.

- „ჩეპე“ გქონიათ?

- ამის გარეშე არ არსებობს, ყველაფერი ხდება. მაგრამ ამ დროს ჩვენი მთავარი კონდიტერი, ნინო გვრიტიშვილი სასწაულებს ახდენს. ასეთი ადამიანები დღეს ძალიან იშვიათია. პასუხისმგებლობისა და შრომისმოყვარეობის საოცარი უნარითაა სავსე. დიზაინერების, მენეჯერების სერიოზული გუნდი გვყავს. ვცდილობთ, კარგი ადამიანები შემოვიკრიბოთ. დღის დიდ ნაწილს ადამიანი სამსახურში ატარებს და თუ საქმე და გვერდში მდგომი ადამიანები არ უყვარს, გაუჭირდება.

- როგორი ხელმძღვანელი ხარ?

- ძალიან მკაცრი (იცინის), ოღონდ სამართლიანად მკაცრი. უხარისხობას და უპასუხისმგებლობას გამოვყავარ მდგომარეობიდან.

- „ასორტის“ რამდენი ფილიალი გაქვთ?

- ექვსი: აბაშიძის 81, მცხეთის 8, ნიკოლაძის 5ა, მოსაშვილის 1, პეკინის 22 და ნუცუბიძის 86.

- გემრიელი და ხელმისაწვდომია თქვენი ნუგბარი. დაახლოვებით რა თანხებთან არის დაკავშირებული, მაგალითად, საქორწინო ტორტი?

- ინდივიდუალურია, ყოველთვის ვეკითხები მომხმარებელს, რა თანხაში უნდა ჩაეტიოს და თანხის მიხედვით ვთავაზობთ არჩევანს. 150 ლარიდან ზემოთ, გააჩნია ნამუშევარს, დეტალებს.

- მაგალითად, საღამოს ჩაიზე მინდა დავპატიჟო მეგობრები და „ასორტის“ ტორტი დავაგემოვნებინო, რა თანხაში ჩავეტევი?

- 15 ლარიდან გვაქვს ტორტები. გვაქვს მშვენიერი ნამცხვრები, ხაჭაპური, სამარხვო ნუგბარი. ახლა ჯიქიაზე ვაშენებთ საკონდიტროს, უცხოელები მინდა ჩამოვიყვანო და მეტ სასიამოვნო სიახლეს შევთავაზებთ მომხმარებელს.

P.S.

„ასორტის“ ულამაზესი და უგემრიელესი ტორტი ამშვენებდა თაკო ფხაკაძის ქალიშვილის, მარიამ ქუთათელაძის საქორწინო მაგიდას. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა სადგამი, რომლითაც ტორტი დარბაზში შემოიტანეს.

მარიამ ქუთათელაძე:

- შემიძლია გითხრათ, რომ „ასორტი“ ოცნებებს აგიხდენთ. სწორედ ასეთად წარმომედგინა, ტორტი, რომელიც ჩემი ბედნიერების დღეს კიდევ უფრო სასიამოვნოს გახდიდა. ნატა ზუსტად ითვალისწინებს მომხმარებლის ინტერესსა და მოთხოვნებს. მადლობა მინდა გადავუხადო მას ამ ულამაზესი და უგემრიელესი სიურპრიზისთვის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის

მაგდა კლდიაშვილი
ტაშკენტიდან

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა უზბეკეთის დედაქალაქში, ტაშკენტში, მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდთან ორი ამხანაგური თამაში ჩაატარა. ქართველი ფეხბურთელები მსოფლიოს ჩემპიონატის მეინ-რაუნდისთვის ემზადებიან, მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში კი ეს პირველი ამხანაგური მატჩი იყო. „პრაიმტაიმი“ ტაშკენტში დაესწრო ორივე ამხანაგურ შეხვედრას და თვალი ადევნა ნაკრების მოსამზადებელ სამუშაოებს.

ლევან გრიგოლიას გუნდმა ტაშკენტამდე 12 საათი იფრინა და უზბეკეთში, 26 ივნისს, დილის 12 საათზე ჩამოფრინდნენ. შესვენება ალმა-ატაში 6 საათს გაგრძელდა, ამის გამო, ფეხბურთელებმა ვერც გამოძინება შეძლეს და ვერც დასვენება. პირველი შეხვედრა კი, ჩამოფრენიდან 4 საათში იყო დაგეგმილი.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული გუნდი ასე დაღლილ-დაქანცული იყო, მაინც კარგი თამაში აჩვენა და რომ არა მასპინძელთა მეკარის დამაჯერებელი თამაში, ქართველები გოლების გატანასაც შეძლებდნენ.

„თვალნათლივ დავინახეთ, რა მინუსები გვაქვს, რა პლიუსები, რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, როგორ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა შემდგომში“

EXCLUSIVE

რა თქმა უნდა, ილუზია არავის ჰქონია, რომ ამ დამღლელი მგზავრობის შემდეგ, ჩვენ გუნდს უზბეკების დამარცხება შეეძლო, ამიტომ პირველი მატჩი მასპინძლების გამარჯვებით - 3:0 დასრულდა.

მეორე შეხვედრა 27 ივნისს იყო დაგეგმილი. გუნდმა დაისვენა და შესაბამისად, ძალიან კარგი თამაშიც აჩვენა. პირველ შეხვედრაში, ნაკრების კაპიტანმა, დავით ბობოხიძემ თითი მოიტეხა, მიუხედავად ტრავმისა და ექიმების გაფრთხილებისა, კაპიტანმა და გამოცდილმა მოთამაშემ, ნაკრები არ მიატოვა და თაბაშირში ჩასმული ხელით მაინც დაეხმარა გუნდს და გარდა დახმარებისა, ორი გოლიც მიითვალა უზბეკთა კარში.

მეორე მატჩი ქართველების უპირატესობით დაიწყო და ანგარიშიც მალევე გაიხსნა, თუმცა, რამდენიმე წუთში უზბეკებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. შემდეგ მდევრის რანგში საქართველო აღმოჩნდა, პენალტის ნიშნულიდან ვახო ჯვარაშვილმა ზუსტად გაიტანა, შემდეგ კი ბობოხიძემ გუნდი წინ გაიყვანა. მატჩის დასრულებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, როდესაც მსაჯმა მოედნიდან ლუკავა ორი ყვითლის გამო გააძევა, ქართველები კი მოედანზე სამი კაცით დარჩნენ. მიუხედავად კაცნაკლულობისა, ქართველმა ფეხბურთელებმა იმ მონაკვეთში მაინც არ გაატანინეს გოლი

რატომ იბეგრება

ნელი თორდია

13 ივნისის ეკოლოგიურმა კატასტროფამ მთელი საქართველო სტიქიით დაზარალებულთა დახმარებისთვის გააერთიანა. მობილურმა ოპერატორებმა – „მაგთიმ“, „ჯეოსელმა“ და „ბილაინმა“ სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად სპეციალური ანგარიშები გახსნეს. გავრცელებული ინფორმაციით, სპეციალურ ნომრებზე ზარის განხორციელების შემთხვევაში, 1 ლარი მთლიანად სტიქიით დაზარალებულთა დახმარებისთვის შექმნილ ფონდში გადაირიცხება. არასამთავრობო ორგანიზაცია „იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა – ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე სტიქიით დაზარალებულთა მიმართ გამოჩენილ გულისხმიერებას დადებითად აფასებს, თუმცა აღნიშნავს, რომ მსგავსი დამოკიდებულება აუცილებელია ნებისმიერი საქველმოქმედო აქციის მიმართ. გიორგი ბურჯანაძის თქმით, ბავშვებს, რომლებსაც სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროებათ,

გიორგი ბურჯანაძე

„ყველამ, ვინც ქველმოქმედების მიზნით მობილურიდან თანხებს რიცხავს, არ იცის, რომ მისი გადარიცხული თანხიდან ადრესატამდე მხოლოდ 60% აღწევს, 40% კი მობილურ ოპერატორებთან რჩება“

მკურნალობის დაწყება მხოლოდ იმიტომ უგვიანდებათ, რომ მათთვის გადარიცხული თანხის 40% მობილური ოპერატორების ანგარიშებზე რჩება.

თუკი პაატა ბურჭულაძის ფონდისთვისაა დასაშვები, და ასეც უნდა იყოს – ქველმოქმედებაში გადარიცხული თანხები არ უნდა იჭრებოდეს, მაშინ რატომ იბეგრებიან სხვა ფონდები?

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი საჭიროებს ქველმოქმედების სახით დახმარებას. დახმარებას საჭიროებენ მძიმე დაავადების მქონე ადამიანები, რომლებიც გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებენ. დახმარება სჭირდებათ უსახლკაროდ დარჩენილ და მარჩენალდაკარგულ ადამიანებს. რომელი ერთი ჩამოვთვალო... მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას უჭირს, როდესაც ჩვენზე შეჭირვებულ ადამიანებს ვხედავთ, ბოლო კაპიკებს ვიღებთ მათ დასახმარებლად. ქველმოქმედების არსიც ზუსტად ესაა... საჭიროებამ მოითხოვა და გაჩნდა მშვენიერი იდეა, რომელიც ქველმოქმედების სახით მობილურიდან თანხის გადარიცხვას ითვალისწინებს. იდეა ძალიან კარგია, მაგრამ შეიძლება ყველამ, ვინც ქველმოქმედების მიზნით მობილურიდან თანხებს რიცხავს, არ იცის, რომ მისი გადარიცხული თანხიდან ადრესატამდე მხოლოდ 60% აღწევს, 40% კი მობილურ ოპერატორებთან რჩება. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისა თუ უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების პარალელურად, ეხმარებიან უძლიერეს და ფინანსურად გამართულ კომპანიებს, რომლებიც არავის დახმარებას არ საჭიროებენ. როგორც ვიცი, ერთადერთი ფონდი, რომელსაც საქველმოქმედო გადარიცხვებზე თანხა არ ეჭრება, პაატა ბურჭულაძის ფონდია. თუკი პაატა ბურჭულაძის ფონდისთვისაა დასაშვები, და ასეც უნდა იყოს – ქველმოქმედებაში გადარიცხული თანხები არ უნდა იჭრებოდეს, მაშინ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში უზბეკეთში ითამაშა

ლევან გრიგოლია უზბეკეთში ჩატარებული თამაშებით კმაყოფილია

„გუნდი მთელი წლებია თამაშობს დაცვიდან და გადმოგვყავს შეტევაში, საერთოდ ვცვლით სათამაშო სისტემას, რასაკვირველია, ამ პერიოდში იქნება სირთულეები“

უზბეკებს, ყველაზე დასანანი კი ის იყო, რომ მატჩის დასრულებამდე, 11 წამით ადრე, ბუკიას მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანეს და შეხვედრა ფრედ - 3:3 დასრულდა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ორივე თამაშს დაესწრო საქართველოს საელჩოს წარმომადგენლობა უზბეკეთში, რომლებიც ორივე შეხვედრაში გულმხურვალედ ქომაგობდნენ მშობლიური ქვეყნის ნაკრებს.

ამხანაგური შეხვედრების შემდეგ, ნაკრების თავკაცმა, ლევან გრიგოლიამ უზბეკური ვოიაჟი შეაფასა:

ლევან გრიგოლია, ფუტსალის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

- პირველი საერთო მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ, აუციელებლი იყო გვენახა ჩატარებული სამუშაოს შედეგი. თვალნათლივ დავინახეთ, რა მინუსები გვაქვს, რა პლუსები, რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, როგორ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა შემდგომში.

- პირველ შეხვედრაში ძალიან ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდა გუნდს, მაგრამ რეალიზება ვერ მოახერხა, ეს დაღლილობის ბრალი იყო თუ ზოგადად გვიჭირს საგოლე მომენტების გამოყენება?

- ყველაფერი ერთად იყო. შეიქმნა ძალიან ბევრი მომენტი, რომელმაც უარყოფითად იმუშავა ჩვენზე. რასაკვირველია, მზგავრობა საშინელი იყო, შემდეგ ბიჭების მდგომარეობა, რამდენიმე მოგვეწამლა, ვერ მოვახერხეთ მათი შესაბამის ფორმაში მოყვანა, ეს ერთი, და მეორე - გუნდი მთელი წლებია თამაშობს დაცვიდან და გადმოგვყავს შეტევაში, საერთოდ ვცვლით სათამაშო სისტემას, რასაკვირველია, ამ პერიოდში იქნება სირთულეები, მაგრამ ძალიან კარგია, რომ ეს გამოიკვეთა აქ, ამ ამხანაგურ თამაშებში. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის ნაკრები ამხანაგურ თამაშებში მსოფლიოს ჩემპიონი იყო, მაგრამ შედეგებში არასდროს არაფრისთვის მიუღწევით.

- ბოლო, მეორე შეხვედრაში, გუნდმა ბოლო წამებზე წააგო, 11 წამი იყო დარჩენილი შეხვედრის დასრულებამდე, რა დააკლდა გუნდს?

- ეს იყო ყველაზე საწყენი, ემოციური ფონი ძალიან მაღალი იყო, რასაკვირველია, ამაზე უნდა ვიმუშაოთ, ეს არის მინუსები და პლუსები, ეს დავინახეთ და დავიწყებთ მუშაობას.

- ანუ კმაყოფილი ხართ უზბეკეთთან ამხანაგური მატჩებით?

- რასკავირველია, აქ შედეგზე არ მივდივართ, ჩვენ გვაინტერესებს, რა პრობლემები გვაქვს, რაზე უნდა ვიმუშაოთ და რა უნდა გავაგრძელოთ.

ქველმოქმედება

**„მაგთიმ“ და „ჯეოსელმა“ ფონდ „ქველმოქმედებისთვის“ ერთ-ერთ ინიციატივაზე ერთმანეთს ეჯიბრებიან, ანუ ორივე ერთ-ერთ ინიციატივაზე ერთ ფონდს ეხმარებიან. ეს ინიციატივა ბავშვებზე ზრუნვაა. ეს ფონდი ბავშვებზე ზრუნავს, ბავშვებს ეხმარება,

PRIME Time

N25 (326) ორშაბათი, 29 ივნისი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„ასორტის“ წარმატების საიდუმლო

„ასორტი“ ოცნებებს აგიხდენთ. სწორედ ასეთად წარმომედგინა, ტორტი, რომელიც ჩემი ბედნიერების დღეს კიდევ უფრო სასიამოვნოს გახდიდა“

exclusive

„ქუჩაშიც მიმღერია, მიწისქვეშა გადასასვლელშიც. ეს იყო იმ მუსიკოსების მხარდაჭერა, რომლებიც „პადზემკებში“ მღეროდნენ“

რატომ ვერ უმღერა ფსიქიკურად დაავადებულებს ნინო ბაშარულმა

exclusive

ჯიფონის კინოფესტივალი საქართველოში ჩატარდება

„არ არის მარტივი, მოიპოვო ნდობა, რომ ამ ფესტივალის შენს ქვეყანაში ჩატარება განდონ“

exclusive

ბაჩო ცხადაძე ბაქოს „ინტერს“ ფიფაში უჩივის

„ყველაზე ცუდია, უგუნდოდ რომ ხარ და გაურკვევლობაში იმყოფები. ყოველდღე მზად უნდა იყო“

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

რას ვერ იტანს და რა ანიჭებს ყველაზე დიდ ბედნიერებას თიკო ელისაშვილს?

„რთულია, როცა გათხოვილი გოგო უკან, სახლში, შვილთან ერთად ბრუნდები და ოჯახს კისერზე აწვები“

exclusive

„ცხუმის“ ჩამქრალი ოცნება

სოხუმელებმა პირველი ლიგის საგზური ვერ მოიპოვეს

exclusive

ზვიად სიჭინავა: „დიდი საშიშროებაა იმის, რომ ამ ბილეთებს მაინც იყიდის გადამყიდველი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება